European Commission

ჩვენი მომავალი: ლამაზი, მდგრადი, ერთიანი

ითვინინგი და ახალი ევროპული ბაუჰაუსი

#eTwinning

Erasmus+

ცხოვრებისეული თვალსაწიერის გამდიდრება, გონების გახსნა.

სპორტი
ეან მონე
ახალგაზრდობა
უმაღლესი განათლება
პროფესიული განათლება და სწავლება
ზრდასრულთა განათლება

eTwinning

სასკოლო განათლება

Erasmus+

More information about the European Union is available online (http://europa.eu).

ლუქსემბურგი: ევროკავშირის გამომცემლობა, 2023 წელი

ბეჭდვა	ISBN 978-92-9484-879-6	doi: 10.2797/562887	EC-07-22-150-KA-C
PDF	ISBN 978-92-9484-861-1	doi: 10.2797/412885	EC-07-22-150-KA-N
EPUB	ISBN 978-92-9488-001-7	doi: 10.2797/639948	EC-07-22-150-KA-E

© ევროკავშირი, 2023 წელი

პატერაკის, ასი ჰონკანენის მიერ, რომლებიც ითვინინგის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლები არიან. სამსახურს მართავს „ევროპის სქულნეტი“ (ან EUN პარტნიორობა), ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ კონტრაქტორს და არ წარმოადგენს დამკვეთი ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას.

ევროკომისიის დოკუმენტების გამოყენების პოლიტიკა ხორციელდება 2011 წლის 12 დეკემბერს ევროკომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების 2011/833/EU „კომისიის დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ (OJ L 330, 14.12.2011, გვ. 39) შესაბამისად. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოცემული დოკუმენტის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ „შემოქმედებითი საზოგადოების საავტორო უფლებების 4.0 საერთაშორისო ლიცენზიის“ (CC BY 4.0) (https://creativecommons.org/licenses/by/4.0/). Tთანახმად, რაც ნიშნავს, რომ დოკუმენტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ავტორისა და შეტანილი ცვლილებების მითითების საფუძველზე.

ისეთი ელემენტის გამოყენების ან გამრავლების შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს ევროკავშირის საკუთრებას, საჭიროა ნებართვის მიღება უშუალოდ ავტორისაგან. ევროკავშირი არ ფლობს საავტორო უფლებას იმ გამოსახულებებთან დაკავშირებით, რომელსაც არ ახლავს შემდეგი საავტორო უფლების ნიშანი © European Union.

საავტორო უფლებები
თავფურცელზე გამოსახული ფოტოსურათი: © Pololia, Robert Kneschke
სხვა ფოტოსურათები: © Nataliaderiabina, Bettapoggi, Syda Productions, Alphaspirit, Halfpoint, Yanadjan, Gorodenkoff, Davide Angelini, Insta_photos, GVS, Nabodin
გრაფიკული დიზაინი: Cecilia Brugnoli

ჩვენი მომავალი:
ლამაზი, მდგრადი, ერთიანი

ითვინინგი და ახალი ევროპული ბაუჰაუსი

Contents

წინასიტყვაობა p. 6

ახალი ევროპული ბაუჰაუსი p. 12

2.1. „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ ოთხი ძირითადი თემა

2.2. განათლება — უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედი

2.3. შემდეგი ეტაპები: სასწავლო დაწესებულებების ტრანსფორმაცია და 2023 წლის „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ პრიზი.

შეჯამება p. 80

დანართი p. 84

შესავალი p. 8

„ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ ითვინინგის პროექტებში p. 20

3.1. მისია #ბუნების მკვლევრები

3.2. E.S.B.F – დედამიწა არ არის ტაფა

3.3. SMILE – სკოლა ჯადოსნური და შთამაგონებელი სასწავლო გამოცდილებით

3.4. ევროპული ხელოვნება 2.0

3.5. ფუტურტოპია

3.6. იყავი ჭკვიანი – მიიღე მონაწილეობა!

ბიბლიოგრაფია p. 83

წინასიტყვაობა

მარია გაბრიელი
ევროკომისარი ინოვაციების, კვლევების, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებში

„ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ გიწვევთ ოცნებების, წარმოსახვისა და ექსპერიმენტების სამყაროში. ეს არის მოძრაობა, რომელიც ეძიებს გზებს, თუ როგორ შევქმნათ მდგრადი და ინკლუზიური მომავალი იმ ღირებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც ევროპას აერთიანებს. აღნიშნული ძალისხმევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა 2022 წელს, როდესაც ომი კვლავ დაბრუნდა ევროპის კონტინენტზე.

წელს, ითვინინგის (eTwining) გამოცემის მთავარი თემაა „ახალი ევროპული ბაუჰაუსის ინიციატივა“. 2021 წლის სექტემბერში, ევროკომისიის მიერ დაფუძნებული ინიციატივა არის ინტერდისციპლინური მოძრაობა, რომელიც აერთიანებს მოქალაქეებს, ექსპერტებს, პოლიტიკოსებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ინიციატივა მოუწოდებს ყველას, რომ გავხდეთ ერთიანი დიალოგის ნაწილი და გავუზიაროთ ერთმანეთს იდეები. ინიციატივა ასევე არის მოწოდება ექსპერიმენტირებისა და აქტიური მოქმედებისაკენ. ერთად, ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ მომავალი, რომელიც იქნება მდგრადი, ინკლუზიური და ლამაზი.

დღევანდელ რეალობაში, სკოლა ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ სასწავლო, არამედ ასევე ყოფით სივრცეს. ეს ის ადგილია, სადაც ბავშვები და მოზარდები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ და იძენენ ცოდნას, ივითარებენ სხვადასხვა უნარებს და ყალიბდებიან დემოკრატიულ მოქალაქეებად. შესაბამისად, მდგრადობა, ხარისხიანი გამოცდილება და ინკლუზიურობა უნდა წარმოადგენდეს ჩვენი სკოლების მთავარ საზრუნავს.

წინამდებარე პუბლიკაციაში გაეცნობით ექვს გამორჩეულ პროექტს, რომლებსაც შეუძლია, შთააგონოს მასწავლებლები და სკოლის პერსონალი, რათა მათ პრაქტიკაში გამოცადონ ახალი აქტივობები ან სასწავლო მეთოდები, უფრო ხელშესახები შედეგების მისაღებად. აღნიშნული პროექტები გვთავაზობს ინოვაციურ მიდგომებს სკოლებისა და განათლების მიმართ და კონკრეტულ იდეებს საგაკვეთილო აქტივობებისთვის, კერძოდ, ითვინინგის პროექტებს. აქტივობები მოიცავს როგორც მზა იდეებს, ასევე იძლევა პედაგოგიურ პრაქტიკაზე რეფლექსირების საშუალებას.

ყველა პროექტი მომზადდა ითვინინგის ფარგლებში, რომელიც არის პლატფორმა, საზოგადოება და უნიკალური სივრცე შექმნილი ახალი სასწავლო აქტივობების შესამუშავებლად და პრაქტიკაში დასანერგად, ასევე ევროპისა და მონაწილე ქვეყნების სკოლებთან თანამშრომლობის ხელშესაწყობად.

2005 წლიდან, ითვინინგი გვთავაზობს ონლაინპლატფორმას, სადაც შესაძლებელია ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და ერთობლივი პროექტების შემუშავება. ამ თვალსაზრისით, ითვინინგმა საკუთარი წვლილი შეიტანა „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ მოძრაობაში. ითვინინგი სთავაზობს მასწავლებლებსა და სკოლებს შესაძლებლობას, განივითარონ უნარები, პრაქტიკაში დანერგონ ახალი სასწავლო აქტივობები და ითანამშრომლონ საზღვარგარეთ არსებულ სკოლებთან.

მსურს, მადლობა გადავუხადო ყველა ითვინერს (eTwinners), კერძოდ კი, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ წიგნში აღწერილი პროექტების განხორციელებაში. ეს პროექტები არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეგვიძლია გარდავქმნათ ჩვენი სკოლები და ვაქციოთ ოცნებები რეალობად. ახალი პედაგოგიური მეთოდების, საკლასო აქტივობების ექსპერიმენტირების, დანერგვის და ასევე მოსწავლეთა ჩართულობის გზით, ჩვენ შეგვიძლია, სასწავლო პროცესი უფრო ნაყოფიერ და თანამედროვე გამოცდილებად ვაქციოთ.

იმედი მაქვს, წიგნში აღწერილი, გამორჩეული პროექტები თქვენი შთაგონების წყარო გახდება. გეძლევათ შესაძლებლობა, თვალი გადაავლოთ საკუთარ პრაქტიკას და დახვეწოთ თქვენი პედაგოგიური საქმიანობა. ითვინინგი ამისთვის გთავაზობთ შესანიშნავ გარემოს, სადაც შეძლებთ, დაუკავშირდეთ სხვა მასწავლებლებს, უწყვეტ რეჟიმში გაუზიაროთ მათ თქვენი ცოდნა და გამოცდილება, ისწავლოთ ერთმანეთისგან და შეიმუშაოთ ახალი, ინოვაციური პროექტები თქვენს გუნდებთან ერთად.

ვიმედოვნებ, რომ გამოეხმაურებით მოწოდებას, გახდებით მოძრაობის ნაწილი და ჩვენ, ერთად შევქმნით უფრო მდგრად, ინკლუზიურ და ლამაზ მომავალს.

.



1

მესავალი

პრეისტორია

ინიციატივა „ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ შემუშავდა ევროკომისიის მიერ, როგორც გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და კულტურული პროექტი, რომლის მიზანია „ევროპული მწვანე შეთანხმების“ დაახლოება ჩვენს საცხოვრებელ სივრცესთან და გამოცდილებასთან, რათა მოხდეს ევროპის ტრანსფორმაციის ხელშეწყობა კოვიდ-19 პანდემიის შემდგომ. „ევროპის საბჭოს რეკომენდაცია შერეული სწავლების მიდგომების შესახებ“, განათლების სფეროში ხარისხიანი და ინკლუზიური დაწყებითი და საშუალო განათლების უზრუნველსაყოფად, მიზნად ისახავს ციფრული მზაობის მიღწევას გრძელვადიან პერსპექტივაში, სასწავლო გარემოსა და შესაბამისი ინსტრუმენტების შერწყმის გზით. აღნიშნული რეკომენდაცია გვირჩევს, გამოვიყენოთ სხვადასხვა სასწავლო გარემო, მაგალითად, საჯარო ბიბლიოთეკები და საზოგადოებრივი სივრცეები, მოსწავლეთა კეთილდღეობის, ავტონომიისა და პერსონალიზებული სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, წინადადება, რომელიც თან ერთვის ევროსაბჭოს რეკომენდაციას გარემოს მდგრადი განვითარების სწავლების შესახებ, მიზნად ისახავს, დაეხმაროს მასწავლებლებს, აითვისონ ის პედაგოგიური მეთოდები, რომლებიც გააუმჯობესებს მათ ინტერდისციპლინარულ მიდგომებს გარემოს მდგრადი განვითარების სწავლების პროცესში, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ ცვლილების მონაწილეები და გაიგონ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას უფრო მდგრადი სამყაროს შესაქმნელად.

რასაკვირველია, განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში, ვინაიდან პედაგოგებს შეუძლიათ მოსწავლეების მხარდაჭერა და შთაგონება, რათა მათ ერთად მოიფიქრონ და შექმნან მდგრადი, ლამაზი და ინკლუზიური მომავალი. უკვე მრავალი წელია, ითვინინგი გვთავაზობს პროექტებს, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას:

- წარმოიდგინონ საოცნებო სკოლა და საოცნებო ქალაქი/ქვეყანა/სამყარო;
- იმოქმედონ კლიმატის ცვლილების საპასუხოდ და შეიმუშავონ მდგრადი გადაწყვეტილებები;
- იგრძნონ თავი პროცესის მონაწილედ, ასაკის, სქესის ან სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობისა თუ საგანმანათლებლო სირთულეების მიუხედავად;
- გაეცნონ ევროპის კულტურულ მემკვიდრეობას და აღფრთოვანდნენ ხელოვნების ნიმუშებითა და კულტურით;
- იმუშაონ სხვადასხვა ონლაინ თუ რეალურ სასწავლო სივრცეში.

პანდემიის დროს, ითვინინგის პროექტების მონაწილეები (ითვინერები) მარტივად გადაერთვნენ სავალდებულო დისტანციურ სწავლებაზე და მოსწავლეებს ხარისხიანი და ინკლუზიური სასწავლო პროცესი შესთავაზეს. ამ წიგნის მომზადებისას ჩატარდა გამოკითხვა კონკრეტული პროექტების შესახებ,

რომლის ფარგლებშიც, ბევრმა ითვინერმა აღნიშნა, რომ ითვინინგში მონაწილეობის წყალობით, ისინი უკვე იცნობდნენ ონლაინ სწავლებისათვის საჭირო პლატფორმებს, ინსტრუმენტებს და სასწავლო სტრატეგიებს, რის გამოც თავდაჯერებულად გრძნობდნენ თავს ონლაინრეჟიმში მუშაობისას და მოსწავლეებისთვის ერთობლივი ონლაინ აქტივობების ორგანიზებისას. გარდა ამისა, ისინი უკვე იყენებდნენ საკუთარ პრაქტიკაში სხვადასხვა სასწავლო სივრცეს, კერძოდ, სასკოლო მოედნებს, მუზეუმებს, კულტურულ ცენტრებს და ონლაინ სასწავლო სივრცეებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც პანდემიის გამო, ადამიანებს ეკრძალებოდათ ფიზიკურად ამ ადგილების მონახულება.

წინა წლების მსგავსად, ითვინინგის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, განეხორციელებინათ პროექტები და დასწრებოდნენ პროფესიული განვითარების სემინარებს ისეთ თემებზე, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობა, ინკლუზია, კლიმატის ცვლილება, მედიაწიგნიერება და დეზინფორმაცია. ითვინინგის 2022 წლის თემა, „ახალი ევროპული ბაუჰაუსი“, აერთიანებს მთელ ამ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ და გააანალიზონ საკუთარი სკოლა იმ ასპექტებისა და ელემენტების გათვალისწინებით, რომლებიც მათ სასწავლო გარემოს ლამაზ, ინკლუზიურ და მდგრად სივრცედ აქცევს. მაგალითად, იტალიის ქალაქ, მატერდონა მოროს საშუალო სკოლის პირველკლასელმა კარლოტამ, შემდეგნაირად აღწერა სკოლა თავის ნახატში: „ჩემი ოცნების სკოლა არის სკოლა, რომელიც იყენებს ენერგიის ალტერნატიულ წყაროს და გარშემორტყმულია ხეებით. მოსწავლეები ველოსიპედებით მიდიან სკოლაში. ჩემი საოცნებო სკოლა არის უაღრესად ინკლუზიური, სტერეოტიპებისგან თავისუფალი ადგილი, სადაც ყველა მოსწავლეს უხარია ყოფნა.“

რას გვთავაზობს ეს წიგნი?

წინამდებარე გამოცემის მიზანია, სიღრმისეულად შეისწავლოს „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ ინიციატივა და მისი ძირითადი ღირებულებები — მდგრადობა, ესთეტიკა და ინკლუზიურობა — რამაც ასახვა პოვა მასწავლებლებისა და მოსწავლეების ითვინინგ პროექტებში მთელი ევროპის მასშტაბით.

პირველ თავში, მკითხველი გაეცნობა „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ კონცეფციას და მის კავშირს განათლების სფეროსთან. მეორე თავში, განხილულია ითვინინგის ექვსი პროექტი, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებთან. პროექტების მომზადებისას, ყურადღება გამახვილდა „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ რამდენიმე მიმართულებაზე, მათ შორის, მდგრადობა, კეთილდღეობა, ესთეტიკა და ინკლუზიურობა, და შეიქმნა

აქტივობები, რომელთა დახმარებით, მოსწავლეებმა სიღრმისეულად გააანალიზეს სხვადასხვა გამოწვევები და განივითარეს კრიტიკული აზროვნების უნარი და კრეატიულობა, ანუ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ ცვლილებების განსახორციელებლად დასჭირდებათ.

რაც შეეხება კონკრეტული პროექტების კვლევას, პროექტებში ჩართულმა მასწავლებლებმა შეავსეს კითხვარი და უპასუხეს უშუალოდ ითვინინგის პროექტების მონაწილე სკოლის დირექტორების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის განკუთვნილ რამდენიმე შეკითხვას. გარდა ამისა, თითოეული პროექტის ორ პედაგოგთან ჩატარდა ონლაინ გასაუბრება, რომლის ფარგლებშიც მათ დაუსვეს კითხვები, პროექტის აქტივობების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მისაღებად. თემატური კვლევის დასრულების შემდგომ, თითოეული პროექტის თემატიკასთან დაკავშირებით მოწვეულ იქნენ ექსპერტები, რომლებმაც შეაფასეს პროექტების შინაარსი და აქტივობები, გამოთქვეს მოსაზრებები და დაასახელეს დამატებითი რესურსები და მასალები, რომლებიც, მათი აზრით, შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს მასწავლებლებისათვის.

პროექტების შესახებ გაეცნობით შემდეგ ინფორმაციას:

- როექტის იდეა და კონცეფცია;
- პროექტის თემატიკა და მისი ინტეგრირება სასწავლო გეგმაში;
- მოსწავლეთა კომპეტენციების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული და განხორციელებული აქტივობები (ციფრული, თანამშრომლობითი, კომუნიკაციური და ა.შ.);
- ითვინინგის პროექტის კავშირი „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ კონცეფციასთან;
- მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ აღწერილი ოცნების სკოლა.

შესწავლილი მაგალითები წარმოადგენს ითვინინგის პროექტების მხოლოდ ნაწილს ზემოხსენებულ თემებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, იმედი გვაქვს, რომ პროექტები მასწავლებლებისთვის იქნება სასარგებლო რესურსი და შთაგონების წყარო.

არ დაგვავიწყდეს, თუკი გვსურს **ლამაზი** და **მდგრადი მომავალი**, ჩვენ, ყველამ ერთად უნდა **ვიმოქმედოთ**.

2

ახალი ევროპული ბაუჰაუსი

ექსპერტი: ვერა ვინთაგენი, ევროკომისია

პოლიტიკური მოღვაწე ვერა ვინთაგენი მუშაობს პოლიტიკის დიზაინის შემუშავებაზე ევროკომისიაში, რაც ნიშნავს სამოქმედო პრინციპების შესაქმნელად ახალი გზების ძიებას ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. პროფესიით სამრეწველო დიზაინერი, ვერა უმთავრესად ფოკუსირდება ადამიანზე ორიენტირებულ პროექტებზე და თანამშრომლობით მეთოდებზე. ის ამჟამად მუშაობს „ახალ ევროპულ ბაუჰაუსზე“, კრეატიულ და ტრანსდისციპლინურ ინიციატივაზე, რომელიც აკავშირებს „ევროპულ მწვანე შეთანხმებას“ ჩვენს საცხოვრებელ სივრცესთან და გამოცდილებასთან, ასევე აერთიანებს მდგრადობას, ინკლუზიურობასა და სილამაზეს, რათა შეიქმნას ახალი სამომავლო გადაწყვეტილებები.

„ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ მიზანია, „ევროპული მწვანე შეთანხმების“ მისწრაფებები აქციოს კულტურულ, ადამიანზე ორიენტირებულ და ხელშესახებ ქმედებებად, მოქალაქეებისა და მომავალი თაობების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით. ინიციატივა გამოხატავს ევროკავშირის ამბიციას, დაინერგოს ლამაზი, მდგრადი და ინკლუზიური გარემო, პროდუქცია და ცხოვრების წესი, ჩვენი საზოგადოებისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. ინიციატივა მიზნად ისახავს, ყველა მოქალაქეს მიაწოდოს გადამუშავებადი და ნახშირბადის მინიმალური შემცველობის მქონე პროდუქცია, რაც ხელს შეუწყობს ბუნების რეგენერაციას და ბიომრავალფეროვნების დაცვას.

„ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ ნოვატორული პროექტია, რომელიც ამატებს კულტურულ და შემოქმედებით მიმართულებას „ევროპულ მწვანე შეთანხმებას,“ განავითარებს რა მდგრად და ინკლუზიურ ინოვაციებს ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე. ისევე როგორც ისტორიული ბაუჰაუსი — 1919 წელს დაფუძნებული ინტერდისციპლინარული სახელოვნებო სკოლა, რომელსაც საფუძველი ღრმა გარდაქმნების დროს ჩაეყარა — ჩვენც, ახალი ეპოქის მიჯნაზე ვიმყოფებით. ინიციატივის თავდაპირველმა დამფუძნებლებმა აღნიშნული ტრანსფორმაცია თავიანთ საქმიანობაში ასახეს, ეძიებდნენ რა იმედისმომცემ, ოპტიმისტურ გადაწყვეტილებებს ახალი გამოწვევების საპასუხოდ. ბაუჰაუსი სწრაფად იქცა გლობალურ, კულტურულ მოძრაობად, რომელმაც გააერთიანა ხელოვანები, დიზაინერები, არქიტექტორები და სხვადასხვა სფეროს ოსტატები. სწორედ ძველი ბაუჰაუსის შთაგონებით გადაწყდა ტრანსდისციპლინური მიდგომის აღორძინება, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი ეპოქის გამოწვევების დასაძლევად, რადგან ჩვენ კვლავ ვიმყოფებით სიღრმისეული გარდაქმნების პირისპირ.

ზემოთ აღნიშნული საინიციატივო პროექტის ფარგლებში, პირველი ნაბიჯი, რაც ევროკომისიამ გადადგა თანაპროექტირების ეტაპზე, იყო სამოქალაქო საზოგადოებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედება. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა საჯაროდ გვაუწყა პროექტის დაწყების შესახებ 2020 წლის სექტემბერში, ევროკომისიამ გამოაცხადა ღია კონკურსი წინადადებების მისაღებად იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ყოფილიყო „ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ და რა გამოწვევები უნდა მოგვარებულიყო მისი მეშვეობით, ასევე არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გასაზიარებლად, თუ რა გზებით იქნება აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელი. „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ კონცეფცია ზემოთ აღნიშნული ფაზის განმავლობაში შემოსული წინადადებების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ინიციატივამ საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა გასულ წელს, ხოლო 2021 წლის სექტემბერში, ევროკომისიამ დაამტკიცა კომუნიკე, რომელშიც გაწერილია ინიციატივის კონცეფცია და შემდგომი ეტაპები.

2.1. „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ ოთხი ძირითადი თემა

მოძრაობის შექმნა, ზოგადად ნიშნავს ადამიანებთან მუშაობას და მათი ინტერესების, საჭიროებებისა და მოტივაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. თანაპროექტირების ეტაპზე მიღებული მონაცემების გაანალიზების შემდეგ, კომისიამ გამოავლინა შემდეგი ოთხი თემა, რომელიც გამოყენებული იქნება „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ განხორციელების პროცესში.

ბუნებასთან დაბრუნება

შემოსულმა წინადადებებმა აჩვენა, რომ ადამიანები კარგად ინფორმირებულნი არიან და დიდი სურვილი აქვთ მოგვარდეს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემები და შემცირდეს გარემოს დაბინძურება. ადამიანის ბუნებასთან დაბრუნების გააზრებული მოთხოვნილება, მათ შორის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მიზნებისთვის, კვლევებითაც დადასტურდა; მწვანე, საჯარო სივრცეებთან კონტაქტის მეტი შესაძლებლობა აუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობას და ამცირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უთანასწორობას, რაც მეტწილად დაბალი შემოსავლებით არის განპირობებული. გამწვანებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები მოაგვარებს წყალდიდობების და სხვადასხვა სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ პრობლემებს ქალაქებში და ამავე დროს, უფრო მიმზიდველს გახდის ურბანულ გარემოს. კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა უკვე განიხილება არა როგორც აბსტრაქტული, არამედ როგორც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რომელსაც შეუძლია ჰაერის, წყლის და ნიადაგის ხარისხის და ზოგადად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. აუცილებელია ადამიანზე ფოკუსირებული პერსპექტივიდან ცხოვრებაზე ფოკუსირებულ პერსპექტივაზე

გადასვლა, ბუნებისგან შთაგონების მიღება და მისგან სწავლა. თანაპროექტირების ფაზის დროს მიღებული წინადადებები ნათლად აჩვენებს, რომ განათლებას და კულტურას გადამწყვეტი ფუნქცია ეკისრება ახალი ქცევებისა და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში.

სიახლოვის შეგრძნების დაბრუნება

წინადადებების ავტორებმა დიდი სურვილი გამოთქვეს, აღდგეს ადამიანებს შორის ურთიერთობები. ეს მოითხოვს თაობათაშორისი სოლიდარობის წახალისებას, განათლებასა და ხელოვნებას შორის კავშირების განვითარებას ადგილობრივ დონეზე, ასევე საჯარო სივრცეებისა და შეხვედრების ადგილების გაუმჯობესებას. „სიახლოვის ეკონომიკა“ ეფუძნება ცნებას, როგორიცაა „15-წუთიანი ქალაქი“, სადაც მოქალაქეებს სასიცოცხლოდ აუცილებელი სერვისები და ობიექტები საკუთარ სახლთან ახლოს აქვთ, რაც ადამიანებს შორის ურთიერთობის და ჯანსაღი, მდგრადი და აქტიური მობილობის განვითარებას უწყობს ხელს.

ზოგადად, კონკრეტული ადგილის უნიკალურობას განაპირობებს კულტურა (კულტურული მემკვიდრეობა, ხელოვნება, ადგილობრივი ნაკეთობები, ექსპერტული ცოდნა და ა.შ.), ბუნება (ლანდშაფტი, ბუნებრივი რესურსები და ა.შ.) და სოციალური ინფრასტრუქტურა (სოციალური საწარმოები, ადგილობრივი ორგანიზაციები და ასოციაციები და ა.შ.). კულტურული ცხოვრება, სახელოვნებო ღონისძიებები და კონცერტები წარმოადგენს ადამიანებს შორის ურთიერთობებისა და სოციალური ურთიერთქმედების საშუალებას; ეს ის აუცილებელი კომპონენტებია, რომლებიც, საბოლოო ჯამში, სიახლოვის განცდას აძლიერებს.

ადგილები და ადამიანები, რომლებსაც ინიციატივა ყველაზე მეტად დაეხმარება

თანაპროექტირების ეტაპზე, რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ „ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ უნდა იყოს ინკლუზიური, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ასევე მათ საცხოვრებელ ადგილებს. ლამაზი და მდგრადი გადაწყვეტილებები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და

ფინანსურად ხელსაყრელი. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისა და ინდივიდების სპეციფიკურ მდგომარეობას, მაგალითად, მარტოობის ან სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფ ან უსახლკარო ადამიანებს.

გრძელვადიანი, სასიცოცხლო ციკლზე ორიენტირებული აზროვნების დანერგვა სამრეწველო ეკოსისტემაში

თანაპროექტირების ფაზაში, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია მეტი ციკლურობა რესურსებისა და ნარჩენების არამდგრადი გამოყენების პრობლემის მოსაგვარებლად, მათ შორის, ძველი შენობებისთვის ან ინფრასტრუქტურისთვის ახალი დანიშნულების მოძიება. მაგალითად, თუკი ეს შესაძლებელია, არსებული შენობა-ნაგებობების ხელახალი გამოყენება, აღორძინება, სიცოცხლის გახანგრძლივება და ტრანსფორმაცია უნდა გახდეს მეტად პრიორიტეტული, ვიდრე ახალი შენობების აგება. ციკლური, მდგრადი კონსტრუქციები და არქიტექტურა ახალ ნორმად უნდა იქცეს.

2.2. განათლება — უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედი

მაშ ასე, რა კავშირშია ეს ყველაფერი განათლებასთან? თანაპროექტირების ეტაპზე, ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა იყო განათლება, გარდა „ძველი“ ბაუჰაუსისა, რომელიც თავდაპირველად სასწავლო დაწესებულებად დაფუძნდა. ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ განათლება არის ნებისმიერი ცვლილების საწინდარი და რომ ბავშვებს მცირე ასაკიდან უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ იცხოვრონ უფრო მდგრად და ლამაზ სამყაროში. განათლებისა და ცოდნის მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია, გავაერთიანოთ სხვადასხვა თაობის ადამიანები საერთო ღირებულებების გარშემო, რათა მათ შეიძინონ პრაქტიკული ცოდნა და გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. რესპონდენტებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახალი რეალობისთვის საჭიროა თანამედროვე უნარ-ჩვევები. მაგალითად, არქიტექტორებმა და სამშენებლო სფეროს წარმომადგენლებმა უფრო ინტენსიურად უნდა იმუშაონ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც მათ თავიდან ააცილებთ მატერიალურ ზარალს, ხოლო მდგრადი განვითარება და სასიცოცხლო ციკლის ფილოსოფია უნდა გახდეს პროფესიული გადამზადებისა და პრაქტიკული სწავლების ძირითადი მამოძრავებელი ღერძი.

გარდა ამისა, არაფორმალური განათლების შესაძლებლობები ქმნის ახალ სოციალურ ჯგუფებს, ხელს უწყობს ემპათიის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს კომპლექსური თემების შესახებ ცოდნის გაზიარებას და გაცნობიერებას ადგილობრივ დონეზე. ეს წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს ისეთი სისტემური პრობლემების მოსაგვარებლად, როგორიცაა მდგრადობა, რათა შეიქმნას საერთო

მოძრაობა ადგილობრივ დონეზე ლამაზი, მდგრადი და ინკლუზიური მომავლის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, ჩვენი საერთო მიზანია აზროვნების, ქმედებებისა და საქმიანობის ტრანსფორმაცია, რათა გავუმკლავდეთ ჩვენს საზოგადოებებში მდგრადობისა და დიგიტალიზაციის კუთხით არსებულ გამოწვევებს.

თანაპროექტირების ეტაპზე გაკეთებული დასკვნები, ზუსტად ესადაგება ევროკომისიის ყოვლისმომცველ ხედვას, რომელიც გამოქვეყნებულია ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში. ევროკომისია გეგმავს დაეხმაროს ევროპის საგანმანათლებლო სტრუქტურებს მწვანე და ციფრული მომავლისკენ სვლაში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს უნდა იყოს ინკლუზიური პროცესი. ამ გარდამავალი პროცესის შემადგენელი კომპონენტი კი არის ევროკავშირის პროგრამის განათლების, ტრენინგების, ახალგაზრდობისა და სპორტის საკითხებში, „ერასმუს+“-ის (Erasmus+) პრიორიტეტები (მაგ. ინტეგრაცია და მრავალფეროვნება, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა). „ერასმუს+“ ქმნის სამოქმედო ჩარჩოს იმ მონაწილეებთან ურთიერთობით, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი შესაძლებლობები და ასევე იმ ორგანიზაციების მხარდაჭერით, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ინკლუზიურობასთან დაკავშირებული დაბრკოლებების გადალახვაზე. პროგრამა ასევე მხარს უჭერს ინოვაციური მწვანე პრაქტიკის დანერგვას, რათა მოსწავლეები, სკოლის პერსონალი და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე პირები ნამდვილად იქცნენ ცვლილების შემოქმედებად (მაგ. რესურსების დაზოგვა; ენერგიის მოხმარების, ნარჩენების და ნახშირბადის კვალის შემცირება და მდგრადი საკვებისა და ტრანსპორტის გამოყენება). „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ უნიკალური მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული ცვლილებები და ქმედებები მიმართული უნდა იყოს ჩვენი მომავალი საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისაკენ.

.

2.3. შემდეგი ეტაპები: სასწავლო დაწესებულებების ტრანსფორმაცია და 2023 წლის „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ პრიზი.

„ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ არის მოძრაობა, რომელიც მოიცავს რამდენიმე თემას და მიმართულებას. ამასთან, ადგილები, სადაც ადამიანები იკრიბებიან ცოდნის მისაღებად — ეს იქნება საკლასო ოთახი თუ ქუჩა, სათამაშო მოედანი თუ ბიბლიოთეკა — ასევე წარმოადგენს განვითარების საკვანძო პუნქტებს. ასეთ ადგილებს, ვიზუალურად ყველაზე მეტად ეტყობათ გარდაქმნის აუცილებლობა და ნათლად ამტკიცებენ, რომ ცვლილების განხორციელება შესაძლებელია. სწორედ ამიტომ, 2022 წლის დასაწყისში, „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ ფარგლებში, ევროკომისიამ, „კლიმატის სწავლების შესახებ კოალიციასთან“ ერთად, გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდაქმნის მიზნით. კონკურსის მიზანია, მოიძიოს მიმდინარე ან ახალი ტრანსფორმაციული პროექტები, რომლებიც იზიარებენ „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ ღირებულებებს განათლების, ტრენინგების, ახალგაზრდობისა და ცოდნის მიმართულებით და რომელთა მიზანია განათლებისა და ცოდნის მიღების ფიზიკური სივრცეების, სასწავლო პროცესის ან სკოლების ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთქმედების ტრანსფორმაცია.

კონკურსში ჩართულობით, მონაწილეები შეძლებენ პროექტების თანამოაზრე ინიციატორებთან და პოტენციურ პარტნიორებთან კომუნიკაციას, მათი ძალისხმევის მხარდასაჭერად გამართულ შეხვედრებსა და ღონისძიებებზე დასწრებას შესაბამისი პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, მონაწილეებს ასევე მიეცემათ შესაძლებლობა, გაზარდონ საკუთარი პროექტების ცნობადობა. მომავლის სასწავლო გარემოს შესახებ საუკეთესო გადაწყვეტილებების, აპრობირებული კონცეფციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მოძიების შემდეგ, კონკურსი გეგმავს დიდი თანამშრომლობითი ქსელის შექმნას. შესაბამისად, ეს ყველაფერი დააჩქარებს განათლების მიღების (უწყვეტი გადამზადების) ლამაზი, მდგრადი და ინკლუზიური საშუალებების დანერგვას საკლასო ოთახში და მის ფარგლებს გარეთ. მონაწილეებისთვის კონკურსი არის ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც მათ შეუძლიათ, წარადგინონ განათლების საკითხებზე შემუშავებული პროექტები და იბრძოლონ 2023 წლის „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ პრიზის მოსაპოვებლად.

„ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ ითვინინგის პროექტებში

წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ ითვინინგის ექვს პროექტს, რომლებიც განხორციელდა ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული პროექტები შეირჩა მათი თემატიკისა და ინოვაციური მახასიათებლების გამო, ასევე მასწავლებლების შთაგონების მიზნით. წიგნის ამ ნაწილში, ითვინინგის პროექტების ძირითადი კომპონენტების აღწერის გარდა, პარტნიორი მასწავლებლები საუბრობენ ითვინინგში მიღებული გამოცდილების შესახებ, ხოლო ექსპერტები გვთავაზობენ საკუთარ მოსაზრებებს პროექტების კონკრეტულ ელემენტებთან დაკავშირებით. თითოეული პროექტის შესახებ გამოიკითხა ორი მონაწილე მასწავლებელი, რათა დაცული ყოფილიყო ქვეყნების წარმომადგენლობა, ხოლო მოსწავლეებმა და პარტნიორებმა მონაწილეობა მიიღეს წერილობით გამოკითხვაში. პროექტებში მონაწილე პარტნიორების სრული სია შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

3.1. მისია #ბუნების მკვლევრები

მონაწილე ქვეყნები: საბერძნეთი, ისლანდია, იტალია და ლატვია

მოსწავლეთა ასაკი: 3-6 წელი

გამოკითხული მასწავლებლების სახელი და გვარი, სკოლა და ქვეყანა: შტეინუნ სიგურგეირსდოთირი, ალფაჰეიდის საბავშვო ბაღი, კოპავოგური, ისლანდია; კრისტინა ბერნანი, პრიკულის სკოლამდელი დაწესებულება „მეჟმალინა“, პრიკული, ლატვია.

პროექტის შესახებ

პროექტის კონცეფცია გულისხმობს სკოლის გარშემო ბუნების წიაღში დამალული საგანძურის მოძიებას და ტრანსფორმირებას. როგორც პროექტის პარტნიორებმა აღნიშნეს, „ბუნება საგანძურია, რომელიც უნდა აღმოვაჩინოთ და დავიცვათ, ხოლო ბუნების შესწავლა საველე საგანმანათლებლო პრაქტიკის საშუალებით, ძალზე სასარგებლო აქტივობაა“. უფრო კონკრეტულად, მოსწავლეებმა შეისწავლეს მათთვის ნაცნობი ადგილები (სკოლის ეზო, ზღვა, ტყე, ზღვის სანაპირო და ა.შ.) და თვითიდენტიფიცირება მოახდინეს ბუნების ელემენტებთან (ძირითადად, წყალი და ნიადაგი). განხორციელდა მოსწავლეთა აუთენტური გამოცდილების რეკონსტრუქცია და რეორგანიზაცია. ამან ხელი შეუწყო რეალურ სწავლებას ბუნებრივ და ინკლუზიურ გარემოში, ვინაიდან მოსწავლეებს თავისუფლად შეეძლოთ, გამოეთქვათ საკუთარი აზრი, განეხორციელებინათ ექსპერიმენტები და ცვლილებები, მიეღოთ შთაგონება, გაეკეთებინათ არჩევანი და შეეფასებინათ რისკები დაბრკოლებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პროექტის თემები და მათი ინტეგრირება სასწავლო გეგმაში

მუდმივად ცვალებად სამყაროს სჭირდება ისეთი მოქალაქეები, რომლებიც არიან ყურადღებიანი, სათანადოდ რეაგირებენ და ინოვაციურად უდგებიან 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ერთობლივ და მონათესავე მიზნებს. პროექტის აქტივობებმა საშუალება

მისცა მოსწავლეებს, გაცნობოდნენ მათ გარშემო და სკოლის სიახლოვეს არსებულ ფლორას და ფაუნას. კერძოდ, მოსწავლეებმა შეაგროვეს ბუნებრივი მასალები, აღმოაჩინეს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ცხოველები და ერთიანი ძალებით შექმნეს ბაღი და ხელოვნების ნიმუშები. პროექტის მიმდინარეობისას, მოსწავლეებმა გამოავლინეს ცნობისმოყვარეობა, სილაღე და გახსნილობა ბუნებისგან ცოდნის მიღების მიმართ. პროექტში შემავალი სხვადასხვა აქტივობები დაუკავშირდა მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებს:

- მიზანი 3 — ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
- მიზანი 14 — სიცოცხლე წყლის ქვეშ;
- მიზანი 15 — ცოცხალი ბუნების დაცვა ხმელეთზე.

პროექტში მონაწილეობა მიიღეს როგორც ისლანდიელმა, ასევე ლატვიელმა

მასწავლებლებმა, ვინაიდან პროექტის თემები სრულად შეესატყვისებოდა მათი სკოლების მიზნებსა და ღირებულებებს. მათი თქმით, „ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები ბუნების კვლევის პროცესში არის ზრუნვა, შემწყნარებლობა და პატივისცემა“. სასწავლო გეგმაში პროექტის ინტეგრაციასთან დაკავშირებით, კრისტინამ აღნიშნა, რომ პროექტი მშვენივრად მოერგო ლატვიის სასწავლო გეგმას, ვინაიდან ის მიზნად ისახავს მოსწავლეების ციფრული, პრაქტიკული ცოდნის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების მოგვარების და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებას მოსწავლეების მშობლიურ ენაზე არსებული მასალების გამოყენებით. გარდა ამისა, ბავშვებმა გაიუმჯობესეს სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის გზით, მაგალითად, გარემოს გაუმჯობესებისა და შენარჩუნების მეთოდების შესახებ.

პროექტის აქტივობები და თანამშრომლობა

პროექტის საკვანძო აქტივობები მასწავლებლებმა ერთობლივად შეიმუშავეს, ხოლო შემდეგ, თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებლად გადაწყვიტა, როგორ განეხორციელებინა ისინი თავის მოსწავლეებთან. თავდაპირველად, მოსწავლეების პროექტის აქტივობებში ჩართვით, მასწავლებლები შეეცადნენ მოსწავლეების ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაღვივებას. მაგალითად, პარტნიორი სკოლების მოსწავლეებმა შექმნეს პროექტის ლოგოს ვარიანტები, შემდეგ კი, კენჭისყრის საფუძველზე, აირჩიეს ის კონკრეტული ლოგო, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენდა პროექტის სულისკვეთებას. როგორც აღმოჩნდა, ორმა ლოგომ ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, ამიტომ მასწავლებლებმა ისინი გააერთიანეს და ერთ ლოგოდ აქციეს. ამ აქტივობაში, მოსწავლეები გაეცნენ დემოკრატიის თემას. მოგვიანებით, სასწავლო პროცესის ფორმირებისათვის, მოსწავლეებს დაუსვეს განმავითარებელი შეკითხვები, როგორიცაა „რა უნდა გავაკეთოთ შემდეგ?“ და „ხომ არ გაგვიზიარებდით თქვენს შეხედულებას?“.

ამის შემდეგ, მოსწავლეები გაეცნენ ცნებას „კვლევა“, რამაც საშუალება მისცა მათ, გამოეყენებინათ დაკვირვების უნარი, შეესწავლათ ზედაპირები, მოეძიებინათ და შეეგროვებინათ საინტერესო მასალები, გაეკეთებინათ აღმოჩენები და დაესვათ კითხვები. აქტივობის შედეგების შესაჯამებლად, მომზადდა Padlet, Genially და Prezi პრეზენტაციები. მოსწავლეებმა ასევე მოუსმინეს სიმღერებს, ითამაშეს მეხსიერების გასაუმჯობესებელი თამაშები, მონაწილეობა მიიღეს კონკურსებში, ჩაატარეს მცენარეთა ზრდისა და გადარგვის ექსპერიმენტები

და გაეცნენ აუგმენტირებულ რეალობას QuiverVision-ის დახმარებით. გარდა ამისა, სიზმრების შესახებ ჯგუფური დისკუსიის შემდეგ, მოსწავლეები გავიდნენ ბუნებაში სასეირნოდ და შეაგროვეს მასალები „დრიმქეჩერების“ (სიზმრისგან დამცავის) დასამზადებლად, რომლებიც შემდეგ მშობლებს აჩუქეს საშობაოდ.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა ასევე წაიკითხეს წიგნი წყლის მნიშვნელობაზე და მეტი შეიტყვეს ბუნების დაბინძურების შესახებ. მასწავლებლების დახმარებით, მოსწავლეებმა განახორციელეს აქტივობა, რომლის ფარგლებშიც მათ ჭუჭყიანი წყლით დაბინძურებული კონტეინერები გაასუფთავეს. ერთ-ერთ აქტივობაში, მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია ფუტკრების შესახებ, ააგეს სკა და მოაწყვეს ფუტკრებისთვის აუცილებელი ჰაბიტატი. მათ ასევე შეისწავლეს პეპლები ButterflyCount აპლიკაციის საშუალებით, შექმნეს პეპლები STEAM უნარების დახმარებით და შეისწავლეს ზღვის ცხოველები, მაგალითად, სელაპი „ბერი“. პროექტის დასასრულს, მოსწავლეებმა დახატეს სურათები იმის



შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მათი სკოლამდელი დაწესებულების კუთხე ეზოში, სადაც გამოსახეს საცალფეხო ბილიკები და სათბური. ლოქდაუნის დროს, ერთ-ერთი აქტივობის ფარგლებში, მოსწავლეებს სთხოვეს, შეესწავლათ ბუნება და გადაეღოთ ფოტოსურათები. აღნიშნული ფოტოების გამოყენებით, ფოტოკოლაჟი მომზადდა.

მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს შემოქმედებით და ფერად აქტივობებში, როგორიცაა სკოლის მოედნის კედლებისა და ღობეების მოხატვა, გაფორმება. მოსწავლეები ასევე გაეცნენ მდგრადი განვითარების მიზნებს პროექტის „იფიქრე ბუნებაზე“ ანიმაციის საშუალებით, სადაც განმარტებულია, თუ რას ნიშნავს ბუნებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები და როგორ გეგმავს პროექტი და პლატფორმა მათ გამოყენებას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების დასაძლევად. და ბოლოს, მოსწავლეებმა მიიღეს ცოდნა ჯანსაღი ცხოვრების წესის, მათ შორის, ყოველდღიურად ხილის მირთმევის, ღია ცის ქვეშ თამაშის და ველოსიპედით სეირნობის შესახებ.

შემდეგ, მოსწავლეებმა მასწავლებლებს აღუწერეს მათი რჩეული აქტივობები და დასამახსოვრებელი მომენტები.

მე სურათი დავხატე, რომელიც პროექტის ლოგო გახდა.
ისეი, ისლანდია.

ჰოთ-დოგის წვეულება ძალიან სახალისო იყო.
ვიგდსი, ისლანდია.

ზოგადად, საკმაოდ რთულია სკოლამდელი აღზრდის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი უნარების განვითარება, რადგან ამ ასაკში, ბავშვების უმეტესობას არ შეუძლია უცხო ენაზე საუბარი ან წერა და ვერც „თვინსფეისს“ იყენებს მიზნობრივად. როგორც შტეინუნმა და კრისტინამ აღნიშნეს, მასწავლებლები ასრულებდნენ შუამავლის და „მთარგმნელის“ ფუნქციას, ეხმარებოდნენ მოსწავლეებს მასალის გააზრებასა და პროექტში მონაწილეობაში. მოსწავლეებმა შექმნეს ისეთი პროდუქტები, რომლებიც მათი პარტნიორების შექმნილ პროდუქტებს

დაუკავშირდა. მაგალითად, ერთ-ერთ გაკვეთილზე, მოსწავლეებმა დაწერეს მოთხრობის ერთი ნაწილი, ხოლო მეორე კლასმა გააგრძელა და დაასრულა მოთხრობის წერა, ასევე ერთი ჯგუფის მოსწავლეებმა შექმნეს პერსონაჟის ნაწილი, ხოლო მეორე ჯგუფმა კი დაასრულა ამ პერსონაჟის პორტრეტი. ონლაინ შეხვედრები, ზოგადად, კარგი საშუალება აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის, რადგან ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს და ერთობლივად მუშაობდნენ მასწავლებლების დახმარებით და მხარდაჭერით. ამასთან დაკავშირებით, შტეინუნმა და კრისტინამ აღნიშნეს: „ბავშვებმა ერთმანეთი გაიცნეს ონლაინ შეხვედრების და ერთობლივ პროექტზე მუშაობის დროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გაკვეთილი აღმოჩნდა 5 წლის ასაკის ბავშვებისთვის, რომლებსაც პროექტის ფარგლებში მიეცათ პირველი, რეალური, საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის შესაძლებლობა“.

კავშირი ყოველწლიურ თემატიკასთან

2022 წლის ითვინინგის თემის პრიორიტეტებია ესთეტიკა, მდგრადი განვითარება და ერთიანობა. პროექტმა ხაზი გაუსვა საველე და გარემოსდაცვითი სწავლების მნიშვნელობას, რაც საშუალებას აძლევს სკოლამდელი ასაკის მოსწავლეებს, ერთობლივად აღმოაჩინონ ბუნება. როგორც იტალიელმა პარტნიორებმა, კლაუდია მურელიმ, ვალერია ჯაკომელიმ, სილვია გისონდამ და ანა მონოპოლიმ აღნიშნეს, „ექსპერიმენტალური და ესთეტიკაზე ფოკუსირებული კვლევის საფუძველზე, რომელშიც გამოყენებული იქნა ბუნებრივი

მასალები, მათ შორის, ხელმისაწვდომი და გაზიარებადი საგანძური, შეიქმნა ბუნებით შთაგონებული, ძალიან მარტივი, დროებითი, მხატვრული ინსტალაციები და ექსპრესიული აქტივობები მხატვრებისა და დიზაინერების მიერ, რომლებმაც შთაგონება უშუალოდ ბუნებისგან მიიღეს“. გარდა ამისა, გამოკითხულმა მასწავლებლებმა ისაუბრეს „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ შესახებ, თუ რას ნიშნავს ეს ინიციატივა მათთვის და მათი მოსწავლეებისათვის. შტეინუნმა აღნიშნა: „ბუნება ჩვენი მომავლის უდიდესი ნაწილია. ჩვენი პროექტი ბავშვებს ასწავლის გარემოზე ზრუნვას და სილამაზის დანახვას როგორც ბუნებაში, ასევე ერთმანეთში. მდგრადი განვითარება გვასწავლის ბუნებასთან მუშაობას, რაც უმნიშვნელოვანესი გაკვეთილია 5 წლის ასაკის ბავშვებისათვის“.

გარდა ამისა, პროექტის პარტნიორებმა ქალაქ ოპერის (იტალია) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან ისაუბრეს პროექტსა და „ახალ ევროპულ ბაუჰაუს“ შორის არსებული კავშირის შესახებ და აღნიშნეს, რომ „გადაწყვეტილებები, რომლებიც აღმოჩენილი იქნა გარემოსდაცვითი აქტივობის დროს, რომლის მიზანი იყო ჩვენი სკოლის ბაღში პეპლებისა და ფუტკრების დაბრუნება, აღმოჩნდა ეკოსისტემის აღდგენის მარტივი, ბუნებრივი და ეკოლოგიურად სუფთა გზა, რამაც ბავშვებს ნათლად დაანახა ბუნების მნიშვნელობა“. კრისტინამ ასევე აღნიშნა, რომ ბუნება და მდგრადი განვითარება არ იყო პროექტის ერთადერთი მთავარი თემა; მეორე საკვანძო მიმართულებას წარმოადგენდა ხელოვნება, რაც თვალსაჩინოდ წარმოჩინდა აქტივობებში, სადაც მოსწავლეებმა შექმნეს სხვადასხვა ნამუშევრები, ასევე აქტივობებში, რომლის დროსაც მათ მოხატეს სკოლის კედლები „სკოლის გარემოს გალამაზების მიზნით“.

აღნიშნულ კონტექსტში, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მოახდინეს რეფლექსირება მათი ოცნების სკოლის და საოცნებო სასწავლო სივრცის შესახებ. კერძოდ, ორივე გამოკითხული მასწავლებელი შეთანხმდა იმაზე, რომ მათი საოცნებო სკოლა ბუნებით იქნება გარშემორტყმული. კრისტინამ დასძინა: „ჩემი საოცნებო სასწავლო სივრცე არის ლამაზი, მწვანე და მზიანი ადგილი, სადაც თავს ყველა დაცულად და ბედნიერად გრძნობს, სადაც ყველას შეუძლია, გაიზარდოს საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე“, ხოლო შტეინუნმა აღნიშნა: „სკოლაში იქნება ბევრი სათამაშო ადგილი ბავშვებისთვის, ხოლო პერსონალის ყველა წევრი იქნება სერტიფიცირებული მასწავლებელი“. მოსწავლეებმაც აღუწერეს მასწავლებლებს თავიანთი ოცნების სკოლები და გაუზიარეს იდეები.

ჩვენ გვაქვს სათამაშოები და გვყავს ბავშვები და მასწავლებლები. ბავშვებმა და მასწავლებლებმა სკოლა თავად ააშენეს.
რაკელი, ისლანდია.

კედლებზე ლამაზი ნახატებია, სკოლას ექნება საცურაო აუზი, სადაც ბავშვები ცურვას ისწავლიან. კლასში ექვსი გოგო და ათი ბიჭი გვეყოლება, ხოლო ეზოში კი გასართობი პარკი გვექნება.
რასა, ლატვია.

საკლასო ოთახში მთვარე გვექნება, რომელსაც ჩვენ თვითონ დავამზადებთ და ჩვენვე დავკიდებთ. ასევე გვექნება ვარსკვლავები.
საგა, ისლანდია.

სკოლა ცისარტყელას ფერებში იქნება მოხატული. ყველა ბავშვი ძალიან მეგობრულია და ერთმანეთს ეხმარება, მასწავლებლებიც ძალიან გვეხმარებიან. დასასრული.
ელიზაბეტი, ლატვია.

სკოლის მახლობლად იდგება ორი ნაძვის ხე, რომელსაც საშობაოდ მოვრთავთ ხოლმე. სკოლაში ყველას ექნება თამაშის და კლასელებთან მეგობრობის დრო.
ალისე, ლატვია.

ეს იქნება სახლი დიდი ფანჯრებით და სოკოს ფორმის სახურავით. ბავშვებს შეგვეძლება სახურავზე თამაში და სირბილი.
ელინა, ლატვია.

დასასრულს, იტალიელმა პარტნიორებმა, მონაკა როზა მარიამ, კალდინი ნატალინამ, ბრანკა ლორედანდამ, მილანა ანტონელამ, კალვო ანტონინამ და სარტა ემანუელამ, ასევე აღწერეს თავიანთი ოცნების სკოლა, როგორც ადგილი, სადაც „მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეუძლიათ, თვითონ იყვნენ სივრცის დიზაინერები, რათა ყურადღებით და დაკვირვებით შექმნან მაქსიმალურად ღია და ინოვაციური სასწავლო გარემო ფიზიკური, ურთიერთობითი და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, სკოლა იქნება მუდმივი და დინამიკური კვლევითი ლაბორატორია“.

ექსპერტის მოსაზრება პროექტის შესახებ

ექსპერტი: კრისტინა მედსენი, „ეკო-სკოლები“

კრისტინა მედსენი არის დანიის ქალაქ კოპენჰაგენში მდებარე „გარემოსდაცვითი განათლების ფონდის“, ერთ-ერთი პროგრამის, „ეკო-სკოლების“ საერთაშორისო კოორდინატორი. პროგრამა „ეკო-სკოლები“, აღიარებული გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ, როგორც მსოფლიო ლიდერი მდგრადი განვითარების სწავლების მიმართულებით, წარმოადგენს საგანმანათლებლო მოდელს, რომელიც მოსწავლეებს ანიჭებს ცენტრალურ როლს მდგრადი განვითარებისკენ მიმართული ცვლილების განხორციელების პროცესში, რა დროსაც მოსწავლეები უკეთ ეცნობიან საზოგადოებაში არსებულ რეალურ პრობლემებს.

რა განაპირობებს პროექტის თემის აქტუალურობას დღეს?

საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ არსებობს გლობალური ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების გადაუდებელი აუცილებლობა, რაც საჭიროებს ყველა

ადამიანის მტკიცე ძალისხმევას. თუმცა, აღნიშნული ძალისხმევა ვერ განხორციელდება, თუ არ მოხდება ზრუნვისა და პატივისცემის ფუნდამენტური ღირებულებების დაცვა ადამიანების, ცხოველების და მწერების, ანუ კომპლექსური ეკოსისტემის მიმართ. ეს პროექტი შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ აკავშირებს საველე სწავლება მცირეწლოვან ბავშვებს ბუნებასთან. ბუნებაში მიღებული პოზიტიური გამოცდილების შედეგად, ისინი ხდებიან ცნობისმოყვარენი, უვითარდებათ თანამშრომლობის უნარი და ბუნების აღქმა. ადრეულ ასაკში მიღებული გამოცდილება ბავშვებში აძლიერებს ზრუნვის მოთხოვნილებას და სურვილს, რომ როცა გაიზრდებიან, საკუთარი წვლილი შეიტანონ თავიანთი საცხოვრებელი სახლებისა და უბნების გარშემო არსებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საქმეში.

როგორ ფიქრობთ, რა სახის საუკეთესო პრაქტიკას და მაგალითებს გვთავაზობს პროექტი თემის სწავლებისათვის?

პროექტში ჩემი ყურადღება მიიპყრო საუკეთესო პედაგოგიურმა მაგალითებმა, თუ როგორ გადასცემდნენ მასწავლებლები მოსწავლეებს პროცესის მართვის სადავეებს, რათა ბავშვებს რეფლექსირება მოეხდინათ აქტივობებზე, თავისუფლად გამოეხატათ საკუთარი აზრები და მოეფიქრებინათ იდეები გარემოს დაცვის მიმართულებით. მასწავლებლებმა გააცნობიერეს გარემოსდაცვითი პროექტების მნიშვნელოვნება, თუმცა ამავე დროს, დააფასეს ის სასწავლო შესაძლებლობები, რომლებიც ამ პროცესში გამოიკვეთა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსგავსი პროექტების მთავარი მიზანი არა მხოლოდ მწერებისთვის ლამაზი და თანამედროვე საცხოვრებლის აგებაა, არამედ პოლინატორების მნიშვნელობაზე საუბარი, ბავშვების ძალისხმევის ხაზგასმა და მხარდაჭერა, რათა ისინი დარწმუნდნენ, რომ სასიკეთო საქმეს აკეთებენ.

როგორ ფიქრობთ, რა არის პროექტის ძლიერი მხარე?

როგორც ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, კოვიდ-19 პანდემიამ ბევრი ჩვენგანი აიძულა, გაცნობოდა ონლაინ საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტებს. მიუხედავად სასწავლო სირთულეებისა, პანდემიამ საერთაშორისო კოლაბორაცია უფრო ხელმისაწვდომი გახადა და ამ კუთხით, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოთხი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა მასწავლებელმა, რომლებმაც მოახერხეს ისეთი სასწავლო პროცესის შეთავაზება, სადაც სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე მცირეწლოვანმა ბავშვებმა შეძლეს თანამშრომლობა და ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარება. გარდა ამისა, მშობლების ჩართულობაც პროექტის ძლიერი კომპონენტი აღმოჩნდა. მშობლებს შვილების მოსწრების შესახებ მიეწოდებოდათ ინფორმაცია და უკუკავშირი, რაც ძალიან დადებითი მომენტი იყო. ვიმედოვნებ, აღნიშნული ფორმით, მშობლებს საშუალება ჰქონდათ, გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და რჩევები, ხოლო პრაქტიკული სავარჯიშოები შეესრულებინათ სახლში, შვილებთან ერთად.

რა სახის რესურსებს ან მასალებს გვირჩევდით თემის სწავლებისათვის?

ჩვენს ონლაინ სასწავლო პლატფორმაზე — „გარემოსდაცვითი განათლების ფონდი“ — მასწავლებლებს შეუძლიათ, მოიძიონ უფასო კურსები

ისეთ თემებზე, როგორებიცაა ბიომრავალფეროვნება, სწავლება ღია სივრცეში, გარემოსდაცვითი წიგნიერება და მდგრადი განვითარების მიზნები. კურსების მიმოხილვა, ასევე ინფორმაცია ვადების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ გარემოსდაცვითი განათლების ფონდის ვებგვერდზე. „ეკო-სკოლების“ დამხმარე პროგრამა, „შევისწავლოთ ტყე“, ხელს უწყობს საველე სწავლებას და პრაქტიკული გამოცდილების შეძენას, რომლის მიზანია, სიღრმისეულად გააცნოს და ჩართოს მოსწავლეები სამყაროს შემეცნებაში. კონკრეტული იდეების მისაღებად, თუ როგორ ვაქციოთ ბუნება საკლასო ოთახად, მასწავლებლებს შეუძლიათ, ჩამოტვირთონ უფასო ბუკლეტი ვებგვერდზე „შევისწავლოთ ტყე“.

3.2. E.S.B.F – დედამიწა არ არის ტაფა

მონაწილე ქვეყნები: საბერძნეთი და იტალია

მოსწავლეთა ასაკი: 10 -12 წელი

გამოკითხული მასწავლებლების სახელი და გვარი, სკოლა და ქვეყანა: ანგელიკი კუგიურუკი, 1-ლი ექსპერიმენტული დაწყებითი სკოლა, ალექსანდროპოლისი, საბერძნეთი
მარინა სკრეპანტი, ვიალე აბრუცოს დაწყებითი სკოლა, კიეტის 3 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, იტალია

პროექტის შესახებ

აგონა აპელმა ერთხელ თქვა, „ნუ გგონიათ, რომ გლობალური დათბობა დასრულდება იმით, რომ დედამიწა ხეების ჩრდილს შეაფარებს თავს, თუმცა, აუცილებლად დასრულდება, თუკი ჩავჭიდებთ ერთმანეთს ხელს და გავერთიანდებით“. პროექტის მთავარი მიზანია ბავშვების წახალისება, რათა მათ გამოხატონ წუხილი გლობალური დათბობისა და კლიმატის ცვლილების შესახებ, გააცნობიერონ თანამშრომლობის მნიშვნელობა საერთო მიზნების მისაღწევად, ხმა აიმაღლონ და ხელი შეუწყონ ცნობიერების გავრცელებას მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიურად სუფთა ცხოვრების წესის შესახებ, გამოთქვან სურვილი მოხალისეობისა და აქტიური მოქალაქეობის მიმართ.

პროექტი გეგმავს მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციას, აქტივობებში და კამპანიებში მონაწილეობით და 21-ე საუკუნის განათლების ხელშეწყობით, რაც მოიცავს კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას, კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას და აქტიურ მოქალაქეობას, მოსწავლეთა კრეატიულობისა და წარმოსახვითი აზროვნების განვითარებას მათი შემეცნებითი უნარების წახალისების გზით.

პროექტის თემები და მათი ინტეგრირება სასწავლო გეგმაში

პროექტს საფუძვლად დაედო იტალიელი და ბერძენი მოსწავლეების შემოთავაზება, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ერთად მუშაობდნენ. წინა ითვინინგის პროექტის შეფასებისას, მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, დაგვეწყო მუშაობა გარემოსთან დაკავშირებულ თემაზე. იმ პერიოდში, გრეტა თუნბერგი მწვავედ გამოხატავდა თავის შეშფოთებას კლიმატის ცვლილების შესახებ, ხოლო მოსწავლეები თვალყურს ადევნებდნენ მის საქმიანობას სხვადასხვა პლატფორმაზე. თავისი აქტივობით, გრეტამ შთააგონა მოსწავლეები და მასწავლებლები, მიჰყოლოდნენ მის მაგალითს. ორივე ინიციატორმა მასწავლებელმა, მარინამ და ანგელიკიმ, მოუწოდა მოსწავლეებს, ჩართულიყვნენ პროექტში, ხოლო საკუთარი როლი შემდეგნაირად აღწერეს: „ჩვენ ვეხმარებოდით მოსწავლეებს, გამხდარიყვნენ ისეთი მოქალაქეები, რომლებიც აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას და არა ისეთები, რომლებსაც მხოლოდ შეცდომების გაკრიტიკება შეუძლიათ“. ამ მიზნით, პროექტის მთავარ თემად შეირჩა გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება, ხოლო უფრო კონკრეტული თემები იყო ნარჩენების მართვა, სინათლის ენერგია, წყალი, პოლიეთილენი, ქაღალდი და გარემოზე ზრუნვა. პროექტი ასევე მოიცავდა მომიჯნავე თემებს, როგორიცაა ელექტრონული უსაფრთხოება, ციფრული ეტიკეტი და საავტორო უფლებები.

ზემოთ აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, პროექტის ფარგლებში, განხორციელდა რამდენიმე აქტივობა. მაგალითად, მოსწავლეებმა ყურადღებით შეისწავლეს წინადადების აგების წესი ბერძნული და იტალიური ენების გრამატიკაში და შეასრულეს სავარჯიშოები გრეტას გამოსვლებზე დაყრდნობით (მაგ. იდიომების, სინონიმების და ბრძანებითი წინადადების გამოყენება). დამატებითი აქტივობები ეხებოდა გარემოსთან დაკავშირებულ მათემატიკურ

ამოცანებს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ხელოვნებას, სამეცნიერო ექსპერიმენტებს და წიგნიერებას. გარემოს დაცვა და სამოქალაქო განათლება ფაქტობრივად სახელმძღვანელო თემას წარმოადგენდა მთელი წლის განმავლობაში და აერთიანებდა ყველა დისციპლინასა და ღონისძიებას. ზემოთ აღნიშნული აქტივობების მაგალითები აღწერილია შემდეგ ქვეთავებში.



წიგნიერება

დღეს, იტალიური ენის გრამატიკა გვქონდა, გრეტასთან ერთად. მოვისმინეთ მისი გამოსვლა კონფერენციაზე (სუბტიტრების თანხლებით იტალიურ ენაზე), შემდეგ გავაანალიზეთ სიტყვები „აქტივისტი," „აქტიური," „არააქტიური," „მოქმედება" [და] „აქტიურად." აღნიშნულმა ხუთმა სიტყვამ დისკუსია გამოიწვია ორ სიტყვასთან დაკავშირებით გრამატიკის ჭრილში. „აქტივისტი" არის არსებითი სახელი. „მოქმედებაც" ასევე არსებითი სახელია, „აქტიური" და „არააქტიური" ზედსართავი სახელებია, ხოლო „აქტიურად" კი ზმნიზედა. შევადგინეთ რამდენიმე მაგალითი იტალიურ ენაზე. შემდეგ მოსწავლეებმა დაწერეს 5 არსებითი სახელი, 4 ზედსართავი სახელი და 4 ზმნიზედა გრეტას შესახებ და მის გამოსვლასთან დაკავშირებით. დასასრულს, მოსწავლეებმა შერჩეული სიტყვების გამოყენებით ავტობიოგრაფიული ტექსტი მოამზადეს.

მათემატიკა

კოვიდ-19 პანდემიის დროს, პროექტის ფარგლებში, ბერძენმა მოსწავლეებმა შეასრულეს რამდენიმე მათემატიკური სავარჯიშო. ერთ-ერთ სავარჯიშოში, მათ გულდასმით შეისწავლეს ცხრილი, რომელშიც მოცემული იყო ნარჩენების პროცენტული რაოდენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში და დაწერეს კომენტარები აღნიშნულთან დაკავშირებით. დიაგრამების შესაქმნელად, მოსწავლეებმა მოამზადეს „გუგლის“ კითხვარი, რომელიც ატვირთეს საბერძნეთის განათლებისა და რელიგიის საქმეთა სამინისტროს ონლაინ ციფრულ პლატფორმაზე, და თანაკლასელებს სთხოვეს მისი შევსება. პასუხებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა დიაგრამები მოამზადეს.



გრეტას გამოსვლამ და ჩვენი პარტნიორების მაგალითმა სხვა თვალით დაგვანახა ბერძნული ენის გრამატიკა. მოვისმინეთ კონფერენციაზე გრეტას მიერ გაკეთებული მოხსენება. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, თუ როგორ გამოიყენა გრეტამ ერთ-ერთი იდიომი, კლიმატის ცვლილების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. მან აღნიშნა, რომ ახლა „ხაზის გავლების“ დროა. მისი სიტყვებისა და მათი რეალური მნიშვნელობის გაანალიზებით, მოსწავლეები შეეცადნენ, ეპოვნათ სინონიმები და სხვანაირად გადმოეცათ იდიომის, „ხაზის გავლების“ შინაარსი. მაგალითად, „შეწყვიტე რამის კეთება“, „დანერგე ახალი რამ საკუთარ ცხოვრებაში“, „გააკეთე რამე ახალი“, „დაასრულე რამე] ან წამოიწყე ახალი რამ“. შემდეგ, გრამატიკულ სავარჯიშოში, მოსწავლეებმა გამოიყენეს ბრძანებითი ფორმა და შეადგინეს წინადადებები ბერძნულ ენაზე.

მეცნიერება

ზემოთ აღნიშნული სკოლების სახელმძღვანელოების ერთ-ერთი თავი ეხება ენერგიას. გრეტას გამოსვლა აღმოჩნდა ავთენტური შესაძლებლობა ენერგიის დადებითი და უარყოფითი ასპექტების გასაცნობად, რადგან გრეტას მოხსენება კონფერენციაზე ეხებოდა ტოქსინებით გაჯერებულ ჰაერს, დაბინძურებას და CO2-ის ემისიას. მოსწავლეებმა გონებრივი შტურმით ჩამოთვალეს ენერგორესურსების ელემენტები და მათი ზეგავლენა გლობალურ დათბობაზე. მაგალითად, მოსწავლეებმა გამოარკვიეს, თუ რამდენად დიდია ბირთვული ენერგიის წილი CO2-ის ემისიის პროცესში და რა ზიანს აყენებს ქიმიური ენერგია ეკოსისტემას. როგორც ანგელიკიმ აღნიშნა, „მოსწავლეებისთვის უჩვეულო აღმოჩნდა ენერგიის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მეთოდი“. ერთ-ერთმა მოსწავლემ ხაზგასმით თქვა: „ეს არის სასწავლო მასალისა და ენის ინტეგრირებული სწავლება (CLIL)! მე მეგონა, რომ ამ ყველაფერს მხოლოდ გეოგრაფიის გაკვეთილზე ვისწავლიდით ინგლისური ენის მასწავლებლის დახმარებით!“

პროექტის აქტივობები და თანამშრომლობა

პროექტის აქტივობების უმეტესობა მოსწავლეთა იდეებზე დაყრდნობით შემუშავდა. ქვემოთ მოცემულია იმ აქტივობების მაგალითები, რომელთა მეშვეობითაც შევქმენით საბოლოო პროდუქტი. ხუთი თავდაპირველი პროდუქტი შეიქმნა საერთაშორისო ჯგუფების მიერ, ყველა მათგანი მომზადდა მოსწავლეების მიერ ისტ-ის ინსტრუმენტების გამოყენებით. მოსწავლეებმა აირჩიეს ის პროექტები, რომელთა შექმნასაც ისურვებდნენ და ვებ ინსტრუმენტები, რომლებსაც გამოიყენებდნენ სამუშაო პროცესში. ასევე, მოსწავლეებმა იდეები შესთავაზეს თავიანთ პარტნიორებს და შემდეგ შეარჩიეს საუკეთესო წინადადებები ფორუმის მეშვეობით. ამ ინსტრუმენტების გამოყენების ინსტრუქცია (ტუტორიალი) მომზადდა

მასწავლებლების მიერ მოსწავლეების მშობლიურ ენაზე კოვიდ-19 პანდემიის დროს. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, „ჩვენი სურვილი იყო მაქსიმალური სარგებლის მიღება Web 2.0 ინსტრუმენტებისგან, ამიტომ, მოვუწოდეთ მოსწავლეებს, ეს ინსტრუმენტები გამოეყენებინათ სასწავლო გეგმის სხვა კომპონენტებშიც“. ხუთმა თემატურმა ჯგუფმა საკუთარი იდეები და წინადადებები დაუკავშირა შემდეგ თემებს: ნარჩენები, პოლიეთილენი და ქაღალდი, სინათლის ენერგია, წყალი და გარემოზე ზრუნვა.

კიდევ ერთი აქტივობა, რომელიც დაეხმარა მოსწავლეებს გარემოზე ზრუნვის შესახებ ცნობიერების გავრცელებაში იყო **სამი სატელევიზიო შოუს** მომზადება. მასწავლებლების სურვილი იყო, მოსწავლეებს გაეაზრებინათ პლანეტის წინაშე არსებული პრობლემები და მიმხვდარიყვნენ, რომ ყველაზე პატარა ასაკის მოსწავლესაც კი შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა სამყაროს შეცვლაში, პირველ რიგში, საკუთარი ქცევების ცვლილებით, შემდეგ კი, ხმის ამაღლებით და სხვა ადამიანების წახალისებით, რათა მათაც მისდიონ მის მაგალითს. ყოველ სამ თვეში ერთხელ, მოსწავლეებს ევალებოდათ სამი სატელევიზიო შოუს მომზადება ინგლისურ ენაზე, რეალური საინფორმაციო გადაცემის ფორმატში, მწვანე ეკრანის გამოყენებით. ინტერვიუები, აქტივობები, იდეები და წინადადებები გარემოს დაცვის თემატიკაზე, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად მოამზადეს. შეიქმნა ერთობლივი ონლაინრესურსი (ვიკი), რათა მოსწავლეებს ჰქონოდათ თემის კვლევისა და ცოდნის გაღრმავების საშუალება. აქ მნიშვნელოვანი მომენტი იყო ის, რომ სკოლების დახურვის გამო, მოსწავლეები და მასწავლებლები იძულებულები გახდნენ, მეორე და მესამე სატელევიზიო შოუს შექმნაზე დისტანციურად ემუშავათ.

კიდევ ერთი საინტერესო აქტივობა იყო ითვინინგის პროექტისა და კლიმატის სამოქმედო პროექტის დაკავშირება. ბერძენმა და იტალიელმა მოსწავლეებმა შეისწავლეს კლიმატის ცვლილების მიზეზები დისკუსიებისა და გონებრივი შტურმის მეშვეობით თავიანთ კლასებში, ხოლო მოსაზრებები ერთმანეთს გაუზიარეს. შემდეგ, იტალიელმა მოსწავლეებმა უყურეს ვიდეო რგოლს და მოისმინეს ბერძენი მოსწავლეების შეხედულება კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესახებ.

მოსწავლეების მიერ შემოთავაზებული და პროექტის დროს განხორციელებული დამატებითი აქტივობები ასევე მოიცავდა გრეტა თუნბერგის მჯდომარე აქციას, რომლის მიზანი იყო პლანეტის წინაშე არსებული პრობლემების გააზრება. ასევე მოეწყო მარში სკოლის გარეთ, ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტის დასამყარებლად. იტალიაში,



მოსწავლეებმა დაარწმუნეს ბევრი მასწავლებელი და კლასი, მონაწილეობა მიეღოთ მჯდომარე აქციაში და მარშში, განურჩევლად იმისა, იყვნენ ისინი პროექტის მონაწილეები, თუ არა. საბერძნეთში, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს გაფიცვაში კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ, რომელიც ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა დააორგანიზეს. სხვა აქტივობები მოიცავდა რეფლექსიურ დისკუსიებს ფორუმზე (მაგ. პროექტის სათაურის მნიშვნელობის ირგვლივ), ვიკის და კონცეპტუალური რუკების მომზადებას, დებატებსა და ერთობლივი წერითი ნამუშევრების შექმნას.

ასევე მოეწყო რამდენიმე პირდაპირი ტრანსლაცია და ფორუმი, მოსწავლეთა შორის საკმარისი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, გაიმართა ვიდეო კონფერენცია ბერძენ და იტალიელ მოსწავლეებს შორის საერთაშორისო გუნდებში, რათა მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა, შეხვედროდნენ ერთმანეთს ონლაინრეჟიმში და მიეღოთ გადაწყვეტილებები თავიანთი პროექტების შესახებ.

კოვიდ-19 პანდემიის დროს, იტალიელმა მოსწავლეებმა წერილები გაუგზავნეს ბერძენ პარტნიორებს, რომლებმაც პასუხად წერილების ავტორებს მიაწოდეს საკუთარი მოსაზრებები პარტნიორების შესახებ. დასასრულს, გაიმართა ონლაინ შეხვედრა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, სადაც მოხდა პროექტის განხილვა და შეფასება მასწავლებლების მიერ მომზადებული თამაშისა და მენტიმეტრის (Mentimeter) მეშვეობით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები ითვნინგის პროექტის შესახებ.

პროექტში ჩართული იყვნენ ასევე პროექტის მონაწილეების კოლეგებიც. კერძოდ, იტალიელმა მასწავლებელმა, რაფაელა დ'ამიკოდატრიმ, რომელიც ასწავლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მონაწილეობა მიიღო პროექტის აქტივობებში, მაგალითად,

მჯდომარე პროტესტსა და მარშში. დისტანციური სწავლების დროს, იგი ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ საერთაშორისო გუნდს. მან აღნიშნა: „კოვიდ-19 გამო დაწესებული ლოქდაუნის დროს, შესაძლებლობა მომეცა, გავცნობოდი ითვინინგის პლატფორმას და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტრუმენტებს. ასევე, გავიღრმავე ცოდნა, შევისწავლე და მეტი ვიფიქრე ახალ პედაგოგიურ სტრატეგიებზე, აზროვნებისა და სწავლების ახალ მეთოდებზე. გარდა ამისა, ლოქდაუნის წყალობით, მეტი დრო მქონდა, მემუშავა ჩემს კოლეგა მარინასთან ერთად, რომელმაც უდიდესი დახმარება გაიმიწია ითვინინგის პროექტში მონაწილეობის დროს“.

საბერძნეთში, მოსწავლეების უწყვეტ მხარდაჭერას უზრუნველყოფდა ისტ-ის მასწავლებელი, ხოლო დაწყებითი სკოლის ერთ-ერთმა მასწავლებელმა და დირექტორმა მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეების მიერ ჩატარებულ გასაუბრებაში. პანდემიის დროს, მასწავლებლებმა მშობლებს სთხოვეს, დოკუმენტურად აღენუსხათ დისტანციური სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაო ეტაპები და გადაეგზავნათ მასწავლებლებისთვის ბავშვების ნამუშევრები, ფოტოსურათები და ვიდეო რგოლები (იხილეთ შემდეგი ქვეთავი). მასწავლებლების თქმით, „მშობლები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ წინადადებას, რადგან, როგორც რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, მათ გაუჩნდათ განცდა, რომ ისინიც მონაწილეობდნენ აქტივობებში და შვილებთან ერთად ზრუნავდნენ დედამიწაზე“. მშობლებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტის დასასრულს გამართულ ლაივ ღონისძიებაში, სადაც გაიმართა დასრულებული პროექტის პრეზენტაცია.

ჩემი წვლილი პროექტში იყო მხარდაჭერის გაწევა. პრაქტიკულად, ჩემი დახმარებით, ჩემმა ქალიშვილმა მოამზადა ვიდეო რგოლი სატელევიზიო ახალი ამბების გადაცემისათვის, მე მას სულ ვამხნევებდი და ვეუბნებოდი, რომ ემუშავა გუნდურად და ყოფილიყო უფრო თავდაჯერებული.



მე ჩემს ქალიშვილს დავეხმარე დისტანციური სწავლისა და პროექტზე მუშაობის პერიოდში მის მიერ შესრულებული აქტივობების დოკუმენტირებაში. ასევე, მომეცა შესაძლებლობა დავრწმუნებულიყავი, თუ რამდენად სასარგებლოა ითვინინგში მუშაობა. დიდი ინტერესით დავესწარი 2020 წლის 6 აპრილს, იტალიის ეროვნული სააგენტოს მიერ კონფერენციის ფარგლებში გამართულ ვებინარს, სადაც ჩემი ქალიშვილის პედაგოგმა მარინამ და ბერძენმა პარტნიორმა, ანგელიკიმ ისაუბრეს პროექტის შესახებ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათ შორის არსებულმა თანამშრომლობამ და ითვინინგის შესაძლებლობებმა.

ჩემს ჩართულობას პროექტში განგრძობადი ხასიათი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ჩემს შვილს ვეხმარებოდი ყველა დავალებისა და ეტაპის შესრულებაში, რაც მას პროექტის ფარგლებში ევალებოდა. ასევე, მისივე თხოვნით, გავუზიარე მას ჩემი მოსაზრება ერთ-ერთ დავალებასთან დაკავშირებით: გლობალური დათბობა ან ადამიანების ქცევები, რომლებიც კლიმატის ცვლილებას იწვევენ. პანდემიის დროს, როდესაც ჩემი გოგონა ამზადებდა ვიდეო რგოლს სატელევიზიო ახალი ამბებისთვის, მე მას ვუჩვენე, თუ როგორ გადაეღო კადრები და შემდეგ როგორ გადაეგზავნა მომზადებული მასალა მასწავლებლისთვის.

კავშირი ყოველწლიურ თემატიკასთან

მასწავლებლების პასუხებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროექტი სრულად შეესატყვისება ყოველწლიურ თემას, ვინაიდან გარემოს დაცვა და სამოქალაქო ჩართულობა არის პროექტის უმთავრესი კონცეფცია, რომელიც კარგად ერწყმის გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და საერთაშორისო გუნდების თემებს

(ნარჩენები, პოლიეთილენი და ქაღალდი, სინათლის ენერგია, წყალი და გარემოზე ზრუნვა). იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ჯგუფი მუშაობდა ერთ კონკრეტულ თემაზე, რის შესახებაც უნდა მოეფიქრებინათ კონკრეტული ღონისძიებები ზიანის თავიდან აცილების ან მოხმარების შემცირების მიზნით, „მოსწავლეებმა მართლაც შეიმუშავეს მშვენიერი და მდგრადი სამყაროს მოდელი, რომელიც იქნება იდეალური ადგილი ცხოველებისთვის, ადამიანებისთვის და მცენარეებისათვის. მათ ასევე ერთად მოიფიქრეს, თუ როგორ დაგეგმონ კონკრეტული ნაბიჯები ამ ოცნების ასასრულებლად და საჭირო ან არასაჭირო ნაბიჯების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად“. ქვემოთ მოცემულია პროექტის მონაწილე მოსწავლეების კომენტარები მათი საოცნებო სკოლის შესახებ.

ჩემი ოცნების სკოლა სავსეა ბუნების ფერებით. ჩვენ მოვხატავთ სკოლის კედლებს მწვანე და ლურჯ ფერებში და გავაფორმებთ უზარმაზარი ნახატებით. სწორედ ამის შემდეგ, გახდება სკოლა ისეთი ადგილი, სადაც წამდვილად სასიამოვნოა ყოფნა.

გიადა, იტალია.

ვფიქრობ, სკოლას შეუძლია, დაგვეხმაროს, რომ სამყარო უფრო მდგრადი გავხადოთ, საყოველთაო დასუფთავების დღის ორგანიზებით ან ნარჩენების გადამუშავების მეთოდების სწავლებით და ა.შ.

სარა, იტალია.

ჩემი აზრით, მომავლის იდეალური სკოლა იქნება მეგობრული სივრცე ყველა მოსწავლისთვის. ეს ნიშნავს, რომ სკოლაში ისწავლიან სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ასევე, შესაძლოა განსხვავებული გენდერული იდენტობის მქონე [ადამიანები] პირები. ლამაზი სკოლა ასევე იქნება ეკოლოგიურად სუფთა, რომელიც გააღრმავებს მოსწავლეების ცოდნას კლიმატის ცვლილების, გლობალური დათბობისა და მსგავსი პრობლემების თავიდან აცილების გზების შესახებ.

ირიანა, საბერძნეთი.

მასწავლებლებმაც გაგვანდეს საკუთარი იდეები საოცნებო სკოლის შესახებ. ანგელიკისთვის ოცნების სკოლა არის „ადგილი, სადაც მოსწავლეები ყოველდღიურად სიამოვნებით ერთვებიან სასწავლო პროცესში, სადაც არ არსებობს შეფასებით ან მშობლების მოლოდინებით გამოწვეული წნეხი, სადაც მოსწავლეები განათლებას იძენენ და ინიციატივას იღებენ საკუთარი და საზოგადოების მომავლის წინაშე“. მარინასთვის საოცნებო სკოლა „არის დაწესებულება, სადაც მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა რესურსებს უნარ-ჩვევების განსავითარებლად, იფართოებენ თვალსაწიერს და სწავლობენ პრაქტიკული აქტივობების მეშვეობით, პრაქტიკაში ეცნობიან ცხოვრებას და პატივს სცემენ მრავალფეროვნებას, რაც თანამშრომლობის საწინდარია მდგრადი სამყაროს შექმნის გზაზე“.

ინტერვიუს დროს, ასევე გაჟღერდა საოცნებო სკოლის შემდეგი ელემენტები: ლაბორატორიები, რომლებიც არჩევითი იქნება მოსწავლეებისათვის; თემატური გაკვეთილები კონკრეტული აქტივობებით, რომლებსაც მოსწავლეები აირჩევენ და დაესწრებიან თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე; ფერადი სკოლა, სადაც არ იქნება მერხები მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის; მოქნილი სივრცე, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ თამაში; დიდი სასკოლო ბიბლიოთეკა და განახლებული ისტ-ის ლაბორატორიები; მეტი გაკვეთილი ღია სივრცეში; ნაკლები ბიუროკრატიული პროცედურა; და ფიზიკური კულტურის წახალისება შესაბამისი ინფრასტრუქტურის (აუზი ან კორტები) მეშვეობით.

ექსპერტის მოსაზრება პროექტის შესახებ

ექსპერტი: ლუიზ ჰედენრიხი, ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (EIT) მიერ დაფინანსებული „კლიმატის ცოდნისა და ინოვაციების ქსელი“ (EIT Climate-KIC)

ლუიზ ჰედენრიხი არის გამოცდილი და თავის საქმეზე შეყვარებული ნოვატორი, რომელსაც ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება აქვს საერთაშორისო განათლებისა და სწავლების მიმართულებით. ის ამჟამად მუშაობს განათლებისა და სწავლების თანახელმძღვანელად „კლიმატის ცოდნისა და ინოვაციების საგანმანათლებლო ქსელში“, შეიმუშავებს და მართავს საერთაშორისო პროგრამებს, რომლებიც ეხმარება ადამიანებს, განივითარონ უნარები სისტემური ინოვაციებისა და მეწარმეობის განხრით, ასევე განახორციელონ კლიმატის დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ერთ-ერთი პროგრამის დასახელებაა „ახალგაზრდა ნოვატორების პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავს სისტემური აზროვნების უნარების განვითარებას საშუალო სკოლებში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში.

რა განაპიროობებს პროექტის თემის აქტუალურობას დღეს?

მომავალი ათწლეული გადამწყვეტი იქნება მომავალი თაობების მოსამზადებლად, რათა მათ შექმნან წარმატებული, ინკლუზიური და მოქნილი საზოგადოება, რომელიც დაფუძნებული იქნება ნულოვანი დონის ნახშირბადის მწარმოებელ ეკონომიკაზე. მთელ მსოფლიოში, ახალგაზრდები მოითხოვენ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას ისეთი მოძრაობებით, როგორიცაა „პარასკევი დღე მომავლისთვის“, „ხუთშაბათი კლიმატის დასაცავად“ და „ახალგაზრდების გაფიცვა კლიმატის დასაცავად“. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ დღევანდელი ბავშვები და მოზარდები სამომავლოდ გახდებიან იმ საზოგადოების წევრები, რომლებიც 2030 წლისთვის, ყველაზე მეტად დაზარალდებიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების გამო. ჩვენ ასევე ვიცით, რომ ახალი უნარ-ჩვევები და ახალი ქცევები არის ის ორი აუცილებელი ფაქტორი, რომელიც საჭიროა ეკოლოგიური ცხოვრების წესზე გადასასვლელად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ განათლების სისტემა წარმოადგენს სისტემური ცვლილებებისთვის საჭირო საკვანძო ელემენტს. მნიშვნელოვანია, შევქმნათ შესაძლებლობები ტრადიციულ სასწავლო დაწესებულებებში ახალი უნარ-ჩვევების ასათვისებლად. თუმცა, ბევრი სკოლისთვის გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ კლიმატთან დაკავშირებული ინოვაციები ჯერ კიდევ არ არის მათი კურიკულუმის ნაწილი, არამედ რჩება მხოლოდ სკოლების, მასწავლებლების, მშობლებისა და საზოგადოების საზრუნავი, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელიდან ვუშვებთ არაჩვეულებრივ შესაძლებლობას, გამოვიყენოთ მოზარდების კრეატიულობა და მივცეთ მოსწავლეებს ინსტრუმენტები საკუთარი პოტენციალის გამოსავლენად. პროექტი „დედამიწა არ არის ტაფა“ არის მოსწავლე — მასწავლებლის მიერ მართული პროექტის შესანიშნავი მაგალითი, რომელიც ხელს უწყობს კლიმატის კრიზისის დასაძლევად საჭირო სხვადასხვა უნარებისა და ქცევების განვითარებს.

როგორ ფიქრობთ, რა სახის საუკეთესო პრაქტიკას და მაგალითებს გვთავაზობს პროექტი თემის სწავლებისათვის?

პროექტი აერთიანებს ბევრ ისეთ ელემენტს, რომელიც პრაქტიკულ გამოცდილებას აწვდის მოსწავლეებს და მასწავლებლებს. პროექტში მათ საშუალება აქვთ, შეისწავლონ სხვადასხვა თემები განსხვავებული პერსპექტივიდან, განივითარონ არსებითი უნარები და კომპეტენციები, რაც საბოლოოდ მათ ცვლილების აგენტებად აქცევს. აღნიშნული პროექტის სასწავლო გეგმაში ინტეგრირებით, მოსწავლეებს შეეძლებათ კლიმატთან დაკავშირებული საკითხების სხვადასხვა საგნის ჭრილში შესწავლა, როგორიცაა წიგნიერება, მეცნიერება და მათემატიკა, ამასთან, მხიარული, შემეცნებითი მეთოდებითა და პრაქტიკული აქტივობებით. მოსწავლეებს განუვითარდებათ შემდეგი უნარები:

- ცნობიერების ამაღლება;
- ციფრული უნარები;
- კრეატიულობა;
- პრობლემის გადაჭრის უნარი;
- პრაქტიკული სწავლება;

- შეჯიბრებაზე ორიენტირებული სწავლება;
- კომუნიკაციის უნარი;
- კრიტიკული აზროვნება;
- ადამიანების შთაგონების უნარი.

როგორ ფიქრობთ, რა არის პროექტის ძლიერი მხარე?

პროექტი „დედამიწა არ არის ტაფა“ არის მოსწავლისა და მასწავლებლის მიერ მართული პროექტის შესანიშნავი მაგალითი, რომელიც ხელს უწყობს კლიმატის კრიზისის დასაძლევად საჭირო სხვადასხვა უნარებისა და ქცევების განვითარებას. პროექტის ძლიერი კომპონენტებია მწვანე და ციფრული უნარების კომბინირება და მონათესავე საგნების ელემენტების სწავლება. პროექტი შთამბეჭდავად იყენებს კვლევაზე დაფუძნებული სწავლების, ერთმანეთისგან სწავლისა და თამაშით სწავლების სტრატეგიებს. კოვიდ-19 პანდემიის დროს, შეიქმნა მიმზიდველი ციფრული სასწავლო სივრცეები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლეებმა მოახერხეს ინტერაქცია და კოლაბორაცია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანატოლებთან.

რა სახის რესურსებს ან მასალებს გვირჩევდით თემის სწავლებისათვის?

უამრავი ხელმისაწვდომი რესურსი არსებობს ინტერნეტ სივრცეში, მაგალითად, კლიმატის სწავლების ოფისის ან მსოფლიოს უდიდესი გაკვეთილის მიერ შემუშავებული მასალები, მათ შორის, ბევრი ვიზუალური ინსტრუმენტი, რესურსი და გაკვეთილის გეგმა მასწავლებლებისათვის, რათა მოხდეს მოსწავლეებში პრობლემის გადაჭრისა და სისტემური აზროვნების კომპლექსური უნარების განვითარება, შეჯიბრზე დაფუძნებული სწავლების და სხვა სახალისო მეთოდების გამოყენება, რომლებიც შემუშავებული იქნა ახალგაზრდა ნოვატორების პროგრამის და მისი პარტნიორების მიერ.

3.3. SMILE – სკოლა ჯადოსნური და შთამაგონებელი სასწავლო გამოცდილებით

მონაწილე ქვეყნები: ავსტრია, ჩეხეთი, ირლანდია, მოლდოვა, პოლონეთი, ესპანეთი და თურქეთი

მოსწავლეთა ასაკი: 10 -14 წელი

გამოკითხული მასწავლებლების სახელი და გვარი, სკოლა და ქვეყანა: ლილიანა ნედერიტა, თანამედროვე ენებისა და მართვის უმაღლესი სკოლა, კიშინიოვი, მოლდოვა
სანდრა სტეინბოკი, ინის ბრაუნაუს ფედერალური გიმნაზია და ინის ბრაუნაუს უმაღლესი ფედერალური გიმნაზია, ავსტრია

პროექტის შესახებ

პროექტი „SMILE“ წარმოადგენს წიგნ „ჰარი პოტერში“ აღწერილი წარმოსახვითი ჰოგვარტსის სკოლის ანალოგს. პროექტი შეიქმნა თინეიჯერებისათვის, რომლებსაც აინტერესებთ მაგია, სწავლა და პიროვნული ზრდა. „SMILE“-ის მიზანი იყო ვირტუალური სასკოლო საზოგადოების შექმნა პოზიტიური ფსიქოლოგიის პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც მოსწავლეებს აძლევს სწავლის, პიროვნული თვისებების გაძლიერების, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და სხვადასხვა ეროვნების ჯგუფების შექმნის შესაძლებლობას. პროექტის დამფუძნებლებმა პროექტი შეიმუშავეს მოსწავლეების ჰარი პოტერისადმი ინტერესის გამო, რათა შეეთავაზებინათ პოზიტიური სასკოლო გარემო და გაეძლიერებინათ მოსწავლეთა მოტივაცია. პროექტი აუმჯობესებს მოსწავლეთა კეთილდღეობას და ხელს უწყობს მრავალმხრივი ინტერესების მქონე მოსწავლეების ჩამოყალიბებას, რომლებიც ორიენტირებულები არიან თვითგანვითარებასა და წარმატებაზე, გრძელვადიანი ძალისხმევისა და სწავლის გზით.

პროექტის თემები და მათი ინტეგრირება სასწავლო გეგმაში

პროექტი „SMILE“-ის მიზანი იყო მოსწავლეების საკომუნიკაციო, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება და მათი პიროვნული ზრდის ხელშეწყობა, პოზიტიური, მისაღები და შთამაგონებელი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფით. პიროვნული განვითარება ახალი საგანია, რომელიც მოლდოვის სასწავლო გეგმას 2018 წელს დაემატა. პროექტმა „SMILE“ ჯადოსნურობა შესძინა მოსწავლეთა სასწავლო გამოცდილებას და მიზნად დაისახა მათი პიროვნული ხასიათის ძლიერი მხარეების გამოვლენა. მოსწავლეებს უყვართ ჰარი პოტერი, რომელიც ებრძვის ბოროტ ვოლდემორს და მის ბნელ სულებს. ჰარის მსგავსად, პროექტში მონაწილე მოსწავლეებსაც აღმოაჩნდათ საკუთარი ბნელი მხარეები, მათ შორის შიშები, ონლაინ ბულინგი, ტელეფონზე, საკვებზე და თამაშებზე დამოკიდებულება. პროექტის მიზანი იყო „ჯადოსნური ძალების“ დახმარებით მოსწავლეების მხარდაჭერა ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან ბრძოლაში. პიროვნული ხასიათის ძლიერი მხარეების განვითარების გარდა, პროექტი ასევე ორიენტირებული იყო სხვადასხვა უნარების, მაგალითად, ლინგვისტური და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებაზე. ვინაიდან პროექტში მონაწილეობდა შვიდი ენის მასწავლებელი (ინგლისური ენის ხუთი მასწავლებელი, ერთი ფრანგულის მასწავლებელი და ერთი გერმანულის მასწავლებელი), პროექტ „SMILE“-ის აქტივობების უმრავლესობა ინგლისური ენის გაკვეთილებზე განხორციელდა, რა დროსაც ხდებოდა პროექტის ამოცანების სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან დაახლოება. მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ საკუთარი უნარების განვითარება შემდეგი მიმართულებით.

- პიროვნული განვითარებაj
  - პიროვნული ხასიათის ძლიერი მხარეების — როგორიცაა კრეატიულობა, სწავლისადმი სიყვარული, სოციალური ინტელექტი, ლიდერობა, შეუპოვრობა, გუნდური მუშაობა და თვითდისციპლინა — აღმოჩენა და განვითარება.
- მეცნიერება
  - ჯადოსნური ხრიკების სამეცნიერო საფუძვლების შესახებ ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია.
  - ზოგიერთი ფოკუსისა და ექსპერიმენტის შესრულება და მათი ლოგიკის ახსნა ფიზიკისა და ქიმიის ჭრილში.
- ლინგვისტიკა
  - კონკრეტული ტერმინოლოგიის გამოყენება სხვადასხვა მეცნიერების ჯადოსნურობის შესახებ საუბრისა და განმარტების (პროცესების ახსნა) დროს.
  - რეკლამის (ვიდეო რგოლი და პოსტერი) მომზადება

„სახლების“ ტრანსპორტის გასარეკლამებლად.

- სამოტივაციო წერილის სტრუქტურის დასწავლა („SMILE“-ის სამოტივაციო წერილი).

- ინგლისური/ფრანგული/გერმანული ენის გამოყენება საკომუნიკაციო და სხვა დავალებების შესრულების დროს.

- სოციალური/სამოქალაქო განათლება

  - ჰოგვარტსის მსგავსი სასკოლო გარემოს შესახებ ინფორმაციის მოძიება და შექმნა.

  - სასკოლო საზოგადოებაში — „SMILE“-ის სახლები — გაწევრიანება კომუნიკაციის, კოლაბორაციის და სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების შექმნის მიზნით.

  - „SMILE“-ის ყველა ღონისძიებაში (შემოდგომის, ზამთრის და გაზაფხულის ტურნირები) მონაწილეობა.

პროექტის აქტივობები და თანამშრომლობა

პროექტის ფარგლებში, მასწავლებლებმა შექმნეს ექვსი ონლაინ „სახლი“, ჰარი პოტერის წიგნებში აღწერილი


We can't all go to Hogwarts and try the Sorting Hat, but here's the next best thing - SMILE's very own Sorting Experience. So, which house do you belong to?

Are you courageous and persistent (Courage House)?

Are you curious and creative (Wisdom House)?

Are you fair and organized (Justice House)?

Are you careful and cautious (Temperance House)?

Are you optimist and spiritual (Transcendence House)?

Are you human and generous (Humanity House)?

ჰოგვარტსის სახლების მსგავსად. „SMILE“-ის სახლებს დაერქვა შემდეგი, ექვსი ჭეშმარიტების სახელი: სიბრძნე, გამბედაობა, ჰუმანურობა, სამართლიანობა, ზომიერება და ტრანსცენდენტურობა, რომელთაგან თითოეული ბევრ პიროვნულ თვისებასთან ასოცირდება.

პროექტის დასაწყისში, მოსწავლეებს გააცნეს სახლები, რის შემდეგაც გაიმართა „გამწესრიგებელი ქუდების ცერემონია“, რომელიც ყველა კლასში ცალ-ცალკე ჩატარდა. მოსწავლეებმა შეავსეს კითხვარი პიროვნული მახასიათებლების შესახებ, რის საფუძველზეც ისინი კონკრეტულ სახლებში გამწესდნენ. ეს აქტივობა დაეხმარა მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობასა და საკუთარი პიროვნული თვისებების


SMILE Classes

- Etiquette Class with Mr. Bonachera
- DADA Class with Mrs. Nederita
- Mrs Luca's Herbology Class
- Magic of Numbers with Borom...
- Mrs Khan's Charms Class
- Divination Class
- Mrs Barlas' Transfiguration Class
- Potion Class
- Professor Fynn's History of Magic

უკეთ გაცნობიერებაში. „SMILE“-ის პროექტის თითოეული, ექვსი სახლის მართვა ევალებოდა ერთ ან ორ მასწავლებელს. მასწავლებლებმა ასევე შექმნეს „SMILE“-ის პროექტის სივრცე თვინსფეისის ვებგვერდზე, რომელიც ასრულებდა ონლაინ კლასის ფუნქციას პროექტის მიმდინარეობისას. თითოეული კლასისთვის განკუთვნილი იყო სასწავლო აქტივობები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს ევალებოდათ ინფორმაციის მოძიება კონკრეტული თემის შესახებ და ამ ინფორმაციის გამოყენება, ჩვენება და დაკავშირება პირად გამოცდილებასთან და წიგნთან „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“. მოსწავლეებს შეეძლოთ ვებგვერდზე, „SMILE-ის კლასები“, შესვლა და მასწავლებლების მიერ შექმნილი სხვადასხვა დავალების არჩევა. თითოეული კლასის ვებგვერდზე მოცემული იყო ფორუმის თემა, სადაც მოსწავლეებს ევალებოდათ უკუკავშირის გამოქვეყნება სასწავლო პროცესის შესახებ.

„SMILE“-ის გაკვეთილების მიზანი იყო ფიზიკურ და ვირტუალურ სამყაროში არსებული „ბნელი ძალების“ იდენტიფიცირება და მათთან დაპირისპირება. მაგალითად, მოსწავლეებს სთხოვეს, მოეძებნათ საშიში სურათი, დაერედაქტირებინათ ის და გაეხადათ სახალისო. ერთმა მოსწავლემ, მაგალითად, აიღო თაგუნიას სურათი, რომელსაც ხელში საქსოფონი დააჭერინა. მეორე აქტივობაში, მოსწავლეებს სთხოვეს ეფიქრათ ისეთ რამეებზე, რაც მათ აბედნიერებთ. ერთ-ერთმა მოსწავლემ ფორუმზე დაწერა: „ყოველთვის ბედნიერი ვარ, როდესაც წვიმს ან მარტო ვარ, საბანში ვარ გახვეული და მუსიკას ვუსმენ ან წიგნს ვკითხულობ, ამ დროს სიამაყით ვივსები, რადგან როცა ამ ყველაფერს ვაკეთებ, ვგრძნობ, რომ ბევრი ვიშრომე და ახლა დროა, განვიტვირთო“.

აგრესიასთან და ბულინგის პრობლემასთან გასამკლავებლად, მოსწავლეებმა უყურეს ვიდეოებს, რათა მეტი გაეგოთ, თუ როგორ გაუმკლავდნენ ამგვარ ემოციებს. ვიდეოების ნახვის შემდეგ, მათ გასცეს პასუხი ფორუმზე მასწავლებლების მიერ გამოქვეყნებულ შეკითხვებს და ისაუბრეს საკუთარ ემოციებზე. მოსწავლეებმა ამომწურავად გამოიყენეს ფორუმი, გამოთქვეს მოსაზრებები აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, გაუზიარეს ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება ბულინგის და ბრაზის მართვის მეთოდების შესახებ. თავიანთი სახლების წევრებთან ერთობლივი აქტივობის დროს, სახელწოდებით „წინასწარმეტყველების წიგნი“, მოსწავლეებმა ჩამოწერეს წინასწარმეტყველებები მომავლის შესახებ. პროგნოზები იყო ამგვარი: „ყველა ქვეყანა გამოიყენებს სუფთა ენერგიას განახლებადი რესურსებიდან“

- ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, ადამიანებს პოლიეთილენის ყიდვას ავუკრძალავდი. გარემო სულ უფრო და უფრო ბინძურდება.
- ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, მსოფლიოში შიმშილს მოვსპობდი, ყველას ექნებოდა საკვები და სასმელი წყალი.
- ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, ადამიანებს შორის დაპირისპირებას შევაჩერებდი, რადგან ისინი მხოლოდ ტკივილს აყენებენ ერთმანეთს.
- ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, ოჯახურ აგრესიას და ძალადობას შევაჩერებდი.
- ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, საკუთარ თავს მეტ დროს დავუთმობდი და ჩემი საყვარელი საქმიანობით დავკავდებოდი.

და „ჩვენ აღარასოდეს ვიქნებით მოწყენილები“.

აქტივობის, სახელწოდებით „ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს“ ფარგლებში, მოსწავლეებს სთხოვეს, ეფიქრათ ჩვენს სამყაროში არსებულ პრობლემებზე და მათთან ბრძოლის გზებზე. მოსწავლეებმა ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კოვიდ-19 პანდემია, განახლებადი ენერგია, ომი, ბუნება, კლიმატის ცვლილება, რასიზმი, ჰომოფობია, ბულინგი და ძალადობა. აქტივობის მიზანი იყო მოსწავლეების ინფორმირება, რომ ეს პრობლემები ნამდვილად არსებობს და რომ ცნობიერების ამაღლება პირველი ნაბიჯია პრობლემის გადაჭრისაკენ, ხოლო შემდეგ ეტაპს კი წარმოადგენს კონკრეტული ზომების მიღება პრობლემის აღმოსაფხვრელად. აქტივობის ფარგლებში, მოსწავლეებმა დაასრულეს წინადადება „ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, ...“. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი.

პროექტში ჩართულობის გარდა, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ასევე პროექტის დაგეგმვის ეტაპშიც. მოსწავლეების დახმარებით შეირჩა პროექტის სახელწოდება, ბავშვებმა მოიფიქრეს სხვადასხვა ვარიანტი, ხოლო საბოლოოდ საუკეთესო კენჭისყრის მეშვეობით გამოავლინეს. მასწავლებლები დაინტერესდნენ, თუ რა აქტივობის ჩართვას ისურვებდნენ მოსწავლეები ჰარი პოტერის პროექტში. მასწავლებლებმა განიხილეს მოსწავლეების იდეები, ხოლო დისკუსიის შემდეგ, საინტერესო მოსაზრებები პროექტის თვინსფეისში ასახეს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მოსწავლის კომენტარი აქტივობებთან და პროექტთან დაკავშირებით.

ჩემი გადმოსახედიდან, პროექტი იყო უნიკალური. მსგავს პროექტში არასდროს მიმიღია მონაწილეობა. ევროპის მასშტაბით სხვადასხვა ადამიანთან დავიწყე მუშაობა, გავიცანი სხვადასხვა ადამიანი და რაც მთავარია, ინგლისური ენის ცოდნა განვიმტკიცე. ახლა უფრო კარგად შემიძლია ამ ენაზე საუბარი, პროექტმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. ძალიან მიხარია, პროექტში რომ მოვხვდი.
ალექსანდრინა, მოლდოვა.

მომეწონა ის ფაქტი, რომ დავალებები იყო საინტერესო და ვთანამშრომლობდით სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებთან.
ემილია, მოლდოვა.

მომეწონა ის, რომ სახლებში გაგვამწესეს (მე მოვხვდი ტრანსცენდენსის სახლში) და ქულებს ვუგროვებდი ჩემს გუნდს. გავაცნობიერე, თუ რა მსურდა და როგორ მსურდა ამ მიზნის მიღწევა. ძალიან ბევრი აქტივობა გვქონდა ასარჩევი და ისინი მართლაც საინტერესო იყო.
ფილიპი, პოლონეთი.

სანდრამ და ლილიანამ პროექტში სხვა სკოლის მასწავლებლებიც მიიწვიეს; ორივე დირექტორმა უზრუნველყო ის, რომ პროექტის მნიშვნელოვანი მომენტები გაზიარებული ყოფილიყო სკოლის სოციალური მედიის ვებგვერდებზე და მოსწავლეებს ჰქონოდათ კომპიუტერული ლაბორატორიების გამოყენების შესაძლებლობა ლოქდაუნის დროს, იმ პირობით, თუკი კოვიდ-19 საწინააღმდეგო ყველა

უსაფრთხოების წესი იქნებოდა დაცული. სვეტლანა ალუნამ, მოლდოვური სკოლის დირექტორმა, აღნიშნა: „ითვინინგი არის პლატფორმა ამოუწურავი შესაძლებლობებით. ითვინინგი არის თანამშრომლობის და სწავლის საშუალება, როგორც ჩვენი მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისათვის. ითვინინგში მონაწილეობით, ჩვენი მასწავლებლები მუდმივად ეცნობიან განათლების სფეროში არსებულ უახლეს მიდგომებსა და მეთოდებს, ივითარებენ საკუთარ პროფესიულ უნარებს სხვა ქვეყნების მასწავლებლებთან ურთიერთობით და გამოცდილების გაზიარების გზით“. ავსტრიული სკოლის დირექტორმა, სებასტიან პლანმა, აღნიშნა: „ერასმუს+ არის ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა, ხოლო ითვინინგი კი მისი განუყოფელი ნაწილი. მოსწავლეები ხვდებიან თანატოლებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ერებს შორის ღრმა ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას“.

პროექტის სახელწოდებაზე სამსჯელოდ მშობლებიც მოიწვიეს. გარდა ამისა, მშობლები დაეხმარნენ შვილებს, შეეძინათ ან საჯარო ბიბლიოთეკიდან გამოეტანათ ჰარი პოტერის წიგნი, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში, მშობლებმა ფოტოებიც კი გადაუღეს საკუთარ შვილებს ჰარი პოტერის წიგნის კითხვის პროცესში სამკითხველო დარბაზის აქტივობის ფარგლებში, „ჩემი კითხვის პოზა“. მშობლებმა პროექტის აქტივობებში მონაწილეობა შემდეგნაირად შეაფასეს:

ჩემმა შვილმა პროექტის განმავლობაში ბევრი სამეცნიერო ექსპერიმენტი ჩაატარა. ჩვენ ვეხმარებოდით მას ყველა საჭირო აღჭურვილობის მოძიებასა ან საჭირო მასალების შეძენაში. მთელი პროექტის განმავლობაში, მზად ვიყავით, დახმარება გაგვეწია, თუკი რაიმე სირთულეს წააწყდებოდა, თუმცა მას მაქსიმალურად დამოუკიდებლად სურდა დავალებების შესრულება. თუკი გაუჩნდებოდა სურვილი, მეტი გაეგო კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, ჩვენ ერთად ვატარებდით კვლევებს და ვცდილობდით, გვეპოვა YouTube-ზე ვიდეო რგოლები, წიგნები ან ვებსაიტები.

მასწავლებელმა მომაწოდა მითითებები, თუ რა და როგორ უნდა გამეკეთებინა. ეს იყო ჩემი პროექტში მონაწილეობის პირველი გამოცდილება. ყველაფერი იყო ახალი, ჩემს შვილებს თითოეულ ეტაპზე მხარს ვუჭერდი. რა თქმა უნდა, მასწავლებელთან შედარებით ნაკლებად ვიყავი ჩართული, თუმცა მაინც კარგი გუნდი შევქმენით.

კავშირი ყოველწლიურ თემატიკასთან

მასწავლებლებმა დეტალურად განმარტეს, თუ როგორ უკავშირდება მათი პროექტი ითვინინგის ყოველწლიურ თემას და როგორ აერთიანებს იგი საკვანძო იდეებს: ლამაზი, მდგრადი, ერთიანი და ინკლუზიური. პროექტის მიმდინარეობისას, სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეები ერთად მუშაობდნენ აქტივობებზე, რათა შეექმნათ საოცნებო სასკოლო გარემო. მაგალითად, ფატმა ბარლასი, პარტნიორი მასწავლებელი თურქეთიდან, აღნიშნავს „პროექტმა სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცა, შეკრებილიყვნენ, გაეზიარებინათ, განეხილათ და ერთობლივად შეემუშავებინათ იდეები“, ხოლო მონიკა ხანი, პროექტის პარტნიორი პოლონეთიდან, აღნიშნავს, „SMILE“-ის სკოლა არის ადგილი, სადაც ყველა მშვიდობიანად თანაარსებობს, ერთად სწავლობს და მხარს უჭერს საკუთარ და სხვების ზრდას. სკოლა აერთიანებს ყველას: მასწავლებლებს, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ, გამოავლინონ აღმზრდელობითი უნარები და მოსწავლეებს, რომლებსაც შეუძლიათ, განვითარდნენ საკუთარი საჭიროებების მიხედვით. მოსწავლეები ვითარდებიან მეგობრულ გარემოში, რომლის მიზანია მათი თავდაჯერებულ და თვითკმარ ახალგაზრდებად ფორმირება“. და ბოლოს, მარია ლუკამ, მოლდოვიდან, ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტი ეფუძნება ერთიანობის ცნებას და დაამატა: „პანდემიის დროს, ჩემი მოსწავლეები არ გრძნობდნენ თავს მარტოსულად ან იზოლირებულად, პირიქით, მათ დაინახეს, თუ როგორ აერთიანებს მათ ტექნოლოგიები და აძლევს შანსს, რომ დაუკავშირდნენ მოსწავლეებს მთელ მსოფლიოში“.

პროექტმა „SMILE“ შემოგვთავაზა პოზიტიური სასკოლო მოდელი, სადაც ყველა მოსწავლეს თბილად ხვდებიან, სადაც მულტიკულტურული გარემოა და მოსწავლის კეთილდღეობა უმთავრესი საზრუნავია. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, „ითვინინგის პროექტები აერთიანებს სხვადასხვა ეროვნების, სკოლისა და კულტურის მოსწავლეებს, რაც განაპირობებს კულტურათშორის ურთიერთგაგებას, ტოლერანტობას და მიმღებლობას. კაცობრიობის წინაშე არსებული პრობლემების გაცნობით, მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ჩვენ ერთად ვართ და მხოლოდ ერთად შეგვიძლია, შევცვალოთ სამყარო უკეთესობისაკენ“. გარდა ამისა, სკოლა ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებას და საფუძველს უყრის ფართო ინტერესების მქონე მოსწავლეების აღზრდას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში, მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება. მაგალითად, პროექტში მონაწილე მასწავლებლებმა თავიანთი სკოლების მთლიანი შემადგენლობა ჩართეს ერთობლივ დემოკრატიულ აქტივობაში, „2019 წლის ითვინინგის კვირეულის“ კამპანიის ფარგლებში, სადაც მოსწავლეებმა იმსჯელეს საკუთარი სასკოლო გამოცდილების გაუმჯობესების გზებზე, ხოლო საუკეთესო იდეები კენჭისყრის შედეგად გამოავლინეს.

მოსწავლეებმა ასევე რეფლექსირება მოახდინეს „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ შესახებ და გამოთქვეს მოსაზრებები, თუ რას ნიშნავს და როგორ ხედავენ ისინი აღნიშნულ ინიციატივას. ქვემოთ მოცემულია მოსწავლეების კომენტარები.

თემატიკიდან გამომდინარე ვხვდები, რომ ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია, თუკი დავრწმუნდებით საკუთარ ძალებში და ერთობლივად ვიმოქმედებთ.

ახალი ევროპული ბაუჰაუსი, ახალი და მეგობრული საზოგადოების დასაწყისს ჰგავს. სწავლის ახალი შესაძლებლობა, საინტერესო გზაა.

ცხადია, რომ მოსწავლეებმა „ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ აღიქვეს, როგორც შესაძლებლობა, გააუმჯობესონ საკუთარი სასკოლო საზოგადოება და გარემო ისე, რომ სკოლაში ყველა ბედნიერად გრძნობდეს თავს. მასწავლებლებს და მოსწავლეებს ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა, გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულებები საოცნებო სკოლის შესახებ პროექტისა და ყოველწლიური თემის კონტექსტში. ყველა მოსწავლე შეთანხმდა, რომ მათი ოცნების სკოლა იქნება მდგრადი და ინკლუზიური. მათი საოცნებო სკოლა წაახალისებს მეგობრულობას მოსწავლეებს შორის და დანერგავს სწავლების მოქნილ მეთოდებს. ანალოგიურად, გამოკითხულმა მასწავლებლებმაც ხაზი გაუსვეს მოსწავლეებისთვის პოზიტიური სასკოლო გარემოს მნიშვნელობას და შეთანხმდნენ, რომ მათ საოცნებო სკოლებს ექნება ბევრი ფანჯარა, ბუნებრივი განათება, სივრცე და მოქნილობა, რათა შესაძლებელი იყოს საკლასო ოთახის შეცვლა მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით. მოსწავლეებმა გამოთქვეს შემდეგი მოსაზრებები თავიანთი საოცნებო სკოლის შესახებ.

ჩემი ოცნების სკოლა არის ადგილი, სადაც ყველა ბედნიერია და სკოლაში მისვლა უხარია, გვყავს მხიარული მასწავლებლები და ყველაფერი სახალისო და სასიამოვნოა, გაჯერებული სხვადასხვა მხიარული აქტივობებით.

ლიზი, მოლდოვა.

ჩემს საოცნებო სკოლაში ყველა მეგობრულია და იღებენ ერთმანეთს ისეთს, როგორებიც არიან.

ვიქტორია, მოლდოვა.



ჩემი ოცნების სკოლაში შემიძლია, ვისწავლო რაც მინდა და როცა მინდა. მე ავირჩევ, რამდენი დრო მინდა გავატარო ერთ კონკრეტულ თემაზე ან აქტივობაზე.

ფილიპი, პოლონეთი.

ექსპერტის მოსაზრება პროექტის შესახებ

ექსპერტი: პროფესორი პოლ დაუნსი, განათლების ინსტიტუტი, დუბლინის უნივერსიტეტი

პროფესორი პოლ დაუნსი არის პროფესორი განათლების ფსიქოლოგიის დარგში და ირლანდიის, ქალაქ დუბლინის უნივერსიტეტის განათლების ინსტიტუტის საგანმანათლებლო სირთულეების ცენტრის დირექტორი. მას გამოქვეყნებული აქვს 110-ზე მეტი რეცენზირებული ნაშრომი განათლების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის და სამართლის მიმართულებით. გამომცემლობა რუთლიჯის მიერ (2020) ბოლოს გამოქვეყნდა მისი წიგნები სახელწოდებით: თვითინდეტიფიცირების რეკონსტრუქცია განმავითარებელ და საგანმანათლებლო ფსიქოლოგიაში: ინკლუზიური სისტემები, როგორც კონცენტრული სივრცე და კონცენტრული სივრცე, როგორც ცხოვრების პრინციპი შოპენჰაუერის, ნიცშესა და რიკორის მიღმა: მეორე ადამიანის ინკლუზია.

რა განაპირობებს პროექტის თემის აქტუალურობას დღეს?

პროექტი არის გააზრებული აღქმის, წარმოსახვის, სოციალური და ემოციური განვითარების ინტეგრირების ძლიერი მაგალითი, სადაც მოსწავლის ხმა გადამწყვეტია. ჰარი პოტერის თემის გამოყენებით, პიროვნული განვითარება ერწყმის მეცნიერებას, ენას და სოციალურ და სამოქალაქო მიმართულებებს, რაც ავითარებს კულტურათაშორის თანამშრომლობას სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის. პროექტის მიდგომა არა მხოლოდ რეგლამენტირებული პროგრამის შესრულებაა, არამედ თვითგამოხატვისა და აქტიური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა.

როგორ ფიქრობთ, რა სახის საუკეთესო პრაქტიკას და მაგალითებს გვთავაზობს პროექტი თემის სწავლებისათვის?

ევროპის მასშტაბით გაფართოების საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს (ა) კულტურულ ინტეგრაციას, (ბ) მოსწავლეთა იდეებსა და წარმოსახვაზე ძლიერ ფოკუსირებას, (გ) სოციალურ და ემოციურ

განათლებას და (დ) ინტერკულტურულ განათლებას. თხრობის უნარი, როგორც შინაარსის ფორმირების საფუძველი, წარმოადგენს სამომავლო განათლების ძირითად რესურსს, რაც ასევე ასახულია აწ უკვე გარდაცვლილი, პროფესორ ჯერომ ბრუნერის ნაშრომში.

როგორ ფიქრობთ, რა არის პროექტის ძლიერი მხარე?

პროექტის საკვანძო კომპონენტია მოსწავლეთა ემოციების, ისევე როგორც მათი წარმოსახვის გაღვივება, ვინაიდან სწორედ მოსწავლეებს შეუძლიათ შინაარსობრივი მნიშვნელობის მინიჭება საკუთარი გარემოსათვის. პროექტი მოსწავლეებს უღვიძებს მოქმედების ძლიერ სურვილს, რის გამოც ისინი უბრალოდ კი არ რეაგირებენ არსებულ გარემოებებზე, არამედ წარმოსახვის სასიცოცხლო რესურსის მეშვეობით ქმნიან გარშემო არსებული სამყაროს ნათელ სურათს.

რა სახის რესურსებს ან მასალებს გვირჩევთ თემის სწავლებისათვის?

ჰარი პოტერის წიგნების სერია მნიშვნელოვანი რესურსია, რომელიც ავითარებს მოსწავლეების წარმოსახვას ალტერნატიული სამყაროს ან რეალობის, ასევე სამომავლო სირთულეების გადალახვის გზების შესახებ. ამ მიდგომის საკვანძო ასპექტს წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ საკუთარი ემოციების გაცნობიერება ამბის თხრობის პროცესში და საკუთარ თავთან და სხვებთან ურთიერთობის გაღრმავება. მართალია, ჰარი პოტერზე მთელი სერიებია გადაღებული, თუმცა მე მაინც მოვუწოდებ მოსწავლეებს, პირველ რიგში წაიკითხონ წიგნი, რათა უკეთ აღიქვან შინაარსი და გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, მათ შორის, დრამატული და როლური თამაშების მეშვეობით. დრამატულ და როლურ თამაშებს შეუძლია ფუნდამენტური როლი შეასრულონ ემპათიისა და სხვისი თვალით რეალობის დანახვის კომპეტენციის ჩამოყალიბებაში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ცხოვრებისეული უნარების განვითარებას.

3.4. ევროპული ხელოვნება 2.0

მონაწილე ქვეყნები:	გერმანია, საბერძნეთი, ხორვატია და პოლონეთი
მოსწავლეთა ასაკი:	13 -16 წელი
გამოკითხული მასწავლებლების სახელი და გვარი, სკოლა და ქვეყანა:	ანდრეა ულრიხი, გეორგინუმის გიმნაზია, ჰილდბურგჰაუზენი, გერმანია ანდრეას გალანოსი, ადენდროს გიმნაზია (ყოფილი ჩალკიდონასის მე-2 გიმნაზია), ქსალკიდონა თესალონიკი, საბერძნეთი

პროექტის შესახებ

პროექტმა, რომელიც 2020-2021 სასწავლო წელს განხორციელდა, გააერთიანა 13-დან 16 წლამდე ასაკის მოსწავლეები (პროექტის მიმოხილვა შეგიძლიათ იხილოთ აქ). პროექტის ფარგლებში, რომლის საკვლევ საგანს წარმოადგენდა გაციფრულების ზეგავლენა ევროპული ხელოვნების პოპულარიზაციაზე, მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ, სწვეოდნენ ვირტუალური და იმერსიული ტიპის გამოფენებს, პრაქტიკულად გამოეყენებინათ არტ აპლიკაციები, დაფიქრებულიყვნენ იმაზე, თუ როგორ აუმჯობესებს ვირტუალური და აუგმენტირებული რეალობა ხელოვნების აღქმას და უკეთესად გაცნობოდნენ ევროპულ კულტურას. პროექტის მიზანი იყო მოსწავლეთა დაინტერესების გაზრდა ევროპული კულტურისადმი და ასევე იმის გაცნობიერება, თუ როგორ

უწყობს ხელს ციფრული ინსტრუმენტები ხელოვნების, მუსიკის, თეატრისა და სხვათა მიმართ ინოვაციური და მოტივაციური მიდგომების განვითარებას. ანდრეამ პროექტი მოამზადა გერმანული კონკურსის „ციფრული ევროკავშირი — და შენ?!“ ფარგლებში. ის სიამოვნებით შეუერთდა პროექტს, რადგან მას უკვე ჰქონდა ზემოთ აღნიშნულ თემებზე მუშაობის გამოცდილება თავის მოსწავლეებთან ერთად. მან აღნიშნა: „მე მტკიცედ მჯერა, რომ ხელოვნება არის საუკეთესო საშუალება, რომელსაც შეუძლია მოსწავლეთა კრეატიულობის გაუმჯობესება და თითქმის ყველა პრობლემის მოგვარება საზრიანი, მხიარული და სასიამოვნო გზით“.

პროექტის თემები და მათი ინტეგრირება სასწავლო გეგმაში

პროექტის მთავარი თემა იყო ევროპული ხელოვნება და კულტურა. რაც შეეხება სასწავლო გეგმასთან ინტეგრაციას, პროექტი იყო გერმანული სკოლის მე-10 კლასის სასწავლო გეგმის კომპონენტი, მედიის შესახებ გაკვეთილის სახით. რაც შეეხება ბერძნული სკოლის კურიკულუმს, პროექტმა მოიცვა რამდენიმე საგანი, ძირითადად, ინგლისური და თანამედროვე ბერძნული ენები, რადგან ორივე სასწავლო გეგმაში არის ხელოვნებასთან, გართობასა და ციფრულ ეპოქასთან დაკავშირებული გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში. გარდა ამისა, პროექტი ეხმიანებოდა კომპიუტერულ მეცნიერებებს, რომელთა მიზანია, გაუმჯობესდეს მოსწავლეების ციფრული უნარები მთელი რიგი აქტივობებით, მაგალითად, 2020 წლის ევროკავშირის კოდირების კვირეულში და „კონკურსში — შექმენი გიფი“ მონაწილეობით. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა გამოიყენეს ბევრი ციფრული სახელოვნებო რესურსი, მაგალითად, ითვინინგის ერთ-ერთი მხარდამჭერი პარტნიორი, „ევროპიანა“(Europeana).

პროექტის აქტივობები და თანამშრომლობა

აქტივობების შესასრულებლად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა თანამშრომლობა მოსწავლეებს შორის. ამიტომ, მოსწავლეები დაყვეს ტრანსნაციონალურ გუნდებად, რომლებსაც მბრუნავი ბორბლის საშუალებით შეურჩიეს ცნობილი მხატვრების სახელები და ასევე ზედსართავი სახელი, რომელიც იწყებოდა იმავე ასობგერაზე, მაგალითად, „ბრწყინვალე ბახი“. ტრანსნაციონალურმა გუნდებმა სახელების ვარიანტები ფორუმზე განიხილეს; ერთმა მოსწავლემ დაწერა: „გთავაზობთ (შემოგთავაზებთ) „მისტიკურ მიქელანჯელოს“, ვინაიდან მისი ზოგიერთი ნამუშევარი იდუმალებით მოცულია და არავინ იცის, თუ რას ფიქრობდა ოსტატი მათი შექმნისას და რისი ჩვენება სურდა“.

მოსწავლეებმა ასევე შექმნეს ლოგოს რამდენიმე ვარიანტი თავიანთი პროექტებისათვის ბეიჯმეიკერის მეშვეობით, ხოლო საუკეთესო კი კენჭისყრით გამოავლინეს. გარდა ამისა, იმისათვის, რომ მოსწავლეებს მეტი გაეგოთ „ევროპიანას“ და მისი რესურსების შესახებ, თავდაპირველად ისინი გაეცნენ „ევროპიანას“ კოლექციებს Genially პრეზენტაციებისა და ეუროპიანას ჩეთბოქსის მეშვეობით. მოგვიანებით კი, მოსწავლეებმა შექმნეს ონლაინ ფაზლები მათ მიერ შესწავლილი ხელოვნების ნიმუშების შესახებ.

მთლიანობაში, სამუშაო პროცესი მოიცავდა სამ ეტაპს: კვლევა, ჩართულობა და მომზადება. ჯგუფებმა მოიძიეს მათთვის უკვე კარგად ნაცნობი ციფრული ხელოვნების ნიმუშები, შეისწავლეს და დაათვალიერეს ხელოვნების ნიმუშების და მუზეუმების ვებგვერდების კატალოგები. აღნიშნული კატალოგები ატვირთეს ინტერაქტიურ რუკაზე და პროექტის თვინსფეისში. ამის შემდეგ, მოსწავლეებმა გამოიყენეს აპლიკაციები და ონლაინპლატფორმები, რომელთა მეშვეობით მათ მონაწილეობა მიიღეს და გაეცნენ ხელოვნებას ციფრულ რეჟიმში. მოსწავლეებმა შეძენილი გამოცდილება ერთმანეთს ფორუმზე და თვინბორდზე (TwinBoards) გაუზიარეს.

მომზადების ეტაპზე, მოსწავლეები თავად გახდნენ ციფრული პროდუქტების დიზაინერები. ხელოვნების ნამუშევრებისა და აქტივობებისთვის საჭირო ვებგვერდების შერჩევა მთლიანად მათზე იყო დამოკიდებული, რაშიც გამოვლინდა მათი გემოვნება და პრეფერენციები. მოსწავლეებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული აქტივობა იყო კონკურსი „შექმენი გიფი“. ამ აქტივობის ფარგლებში, მოსწავლეებს უნდა შეექმნათ „გრაფიკული ჩანაცვლების ფორმატი“ (GIF) ცნობილი ევროპული ნახატების შესახებ. აქტივობის დასასრულს, მოსწავლეებმა „გიფები“ თვინსფეისზე გამოაქვეყნეს და მოაწყვეს ონლაინ გალერეა ნამუშევრების სადემონსტრაციოდ. ზოგიერთი აქტივობის დროს, აქცენტი გაკეთდა ვიზუალური ხელოვნებისადმი კრეატიულ მიდგომებზე, როგორიცაა იმერსიული ხელოვნების გამოფენა. მოსწავლეებმა შეისწავლეს აუგმენტირებული და ვირტუალური



რეალობის ვარიანტები, რომლებიც რეალობასა და ხელოვნებას აერთიანებს. აქტივობებში ასევე გამოიკვეთა ის შესაძლებლობები, რასაც დიგიტალიზაცია სთავაზობს თანამედროვე ხელოვნებას.

მაგალითად, მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, შეესწავლათ ხელოვნური ინტელექტის (AI) შემქმნელი მხატვრები და საკითხები, რასაც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია წარმოშობს თანამედროვე ხელოვნებაში. პროექტის დასასრულს, მოსწავლეებმა მოამზადეს ციფრული ხელოვნების ნიმუშები. მოსწავლეებმა იმუშავეს ტრანსნაციონალურ ჯგუფებში, რათა შეექმნათ 3D აუგმენტირებული რეალობის ნიმუშები, სხვადასხვა ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით (მაგ. Quiver), ითამაშეს ციფრული თამაშები ევროპული ხელოვნების შესახებ და შექმნეს ევროპელ მხატვრებზე ონლაინ ქვესტოთახები.

სანამ ამ დავალების შესრულებას შეუდგებოდნენ, მასწავლებლებმა მიმართეს „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდს და მოსწავლეებს გაუზიარეს მასალა, რომელიც დაეხმარებოდათ მათ მხატვრების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში. მასალები მოიცავდა ტექსტურ, ვიზუალურ და აუდიო რესურსებს, რათა თითოეულ მოსწავლეს შეიძლებოდა მასალის არჩევა საკუთარი სასწავლო სტილის მიხედვით. ამის შემდეგ, ტრანსნაციონალურმა გუნდებმა

ერთად მოამზადეს პრეზენტაციები მათ მიერ შერჩეული მხატვრის შესახებ და გამოიყენეს „ქვესტოთახებში“ მითითებული ინფორმაცია. მეტოქე თანატოლების „ქვესტოთახიდან“ თავის დასაღწევად, მოსწავლეებს პასუხები აღნიშნულ პრეზენტაციებში უნდა მოეძებნათ. ქვემოთ გაეცნობით მოსწავლეების კომენტარებს აქტივობებისა და პროექტის შესახებ.

ყველაფერი მომეწონა! თანამშრომლობა, პროცესი, აქტივობები, შედეგები. გარდა ამისა, ეს იყო ჩემი პირველი გამოცდილება მსგავს პროექტში მონაწილეობის და მივხვდი, რომ ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მივიღე!
კონსტანტინა, საბერძნეთი.

„ქვესტ“ აქტივობაში მივიღე მონაწილეობა. ნამდვილად საინტერესო და გასართობი იყო.
ვასილისი, საბერძნეთი.

მე მევალებოდა ინფორმაციის მოძიება მხატვრების შესახებ და ზოგადად, ჩემი გუნდის დახმარება. ჩვენ, ყოველთვის გუნდურად ვმოქმედებდით!
აგელოსი, საბერძნეთი.

კავშირი ყოველწლიურ თემატიკასთან

გამოკითხული მასწავლებლების თქმით, პროექტი მჭიდროდ და ბევრი ასპექტით უკავშირდება ყოველწლიურ თემას და „ახალ ევროპულ ბაუჰაუსს“. ანდრეასმა განმარტა: „ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობა ეხმიანება სილამაზისა და მდგრადი განვითარების თემებს. დიგიტალიზაციას შეუძლია, უზრუნველყოს ნამუშევრების მდგრადი მომავალი და ზოგადად, ხელოვნებასთან ჩვენი ურთიერთქმედება. მეტიც, ციფრული ხელმისაწვდომობა მუზეუმებზე, გალერეებსა და ხელოვნების რესურსებზე, როგორიცაა ევროპიანა, ხელს უწყობს ჩვენი სამყაროს დემოკრატიზაციას და საშუალებას აძლევს მთელი მსოფლიოს მოსახლეობას. ვირტუალურად მოინახულონ სახელოვნებო დაწესებულებები, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, მოსწავლეებს გაეცნოთ ციფრული ხელოვნება და ციფრული ნამუშევრები, როგორც ცვლილებისა და მდგრადი განვითარების აუცილებელი ფაქტორი.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა შეისწავლეს ვირტუალური გამოფენები და სახალისო ფორმით ჩაერთნენ ხელოვნების აღქმაში ონლაინ გალერეებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. მცირე ტრანსნაციონალური გუნდების თანამშრომლობამ საშუალება მისცა მოსწავლეებს, ერთად ემუშავათ და აღმოეჩინათ ახალი ონლაინ სასწავლო სივრცეები. ამასთან დაკავშირებით, მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს ხელოვნების როლი მათ სასკოლო საზოგადოებაში: „არაფერი ისე არ ალამაზებს ჩვენს მომავალს (და ჩვენს სკოლებს), როგორც ხელოვნება. და არაფერი შეიძლება იყოს უფრო იმედისმომცემი და ოპტიმისტური, ვიდრე შესაძლებლობა, გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი სიყვარული ხელოვნებისა და ხელოვნების ნამუშევრების მიმართ. ხელოვნება არ ცნობს საზღვრებს ან დისკრიმინაციას და გვეხმარება უკეთესი სამყაროს მშენებლობაში“.

ყოველწლიური თემატიკის ფარგლებში, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა აღწერეს თავიანთი საოცნებო სკოლა და განმარტეს, თუ როგორ შეუძლია სიტყვებს „ლამაზი“, „მდგრადი“ და „ერთიანი“ დაეხმაროს მათ სკოლებს. მასწავლებლების საოცნებო სკოლაში სწავლობენ მოსწავლეები, რომლებიც პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარ განათლებას და სიამოვნებას იღებენ სასწავლო პროცესისაგან. მათი ოცნების სკოლაში ყველა მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა, იყოს ის ვინც არის, გააცნობიეროს საკუთარი ნიჭი და მიდრეკილება, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო სივრცეებისა და პროცესების დაგეგმარებაში, სადაც იქნება ძლიერი სოციალური ერთიანობა, გართობა, უსაფრთხოება, თანამშრომლობა და კრიტიკული აზროვნება. ამასთან დაკავშირებით, არიანა ბლაჟიჩმა, ხორვატმა პარტნიორმა მასწავლებელმა,

აღწერა თავისი ოცნების სკოლა, როგორც „სკოლა, სადაც ყველას აქვს სწავლისა და თანამშრომლობის თანაბარი შესაძლებლობები და სადაც ყველა მოსწავლე მზად არის, ისწავლოს და ამას დიდი სიხარულით აკეთებს“. ქვემოთ მოცემული კომენტარები ასახავს მოსწავლეების ხედვას.

ჩემთვის ყველაზე სასიხარულო ფაქტი იქნება ცეკვის სტუდიის არსებობა სკოლაში, ძალიან ბედნიერი ვიქნები! და კიდევ, დიდი სიამოვნებით მოვხატავდი სკოლის კედლებს უზარმაზარი ნახატებით. ვფიქრობ, რომ ამით იწყება ჩემი ოცნების სკოლა! იმედი მაქვს, რომ ჩემი საოცნებო სკოლა ერთ დღეს რეალობად იქცევა!

კონსტანტინა, საბერძნეთი.

ჩემი აზრით, ოცნების სკოლა სავსე იქნება ბედნიერი მასწავლებლებითა და მოსწავლეებით.

სტავრულა, საბერძნეთი.

ვისურვებდი, რომ ჩემი ოცნების სკოლა იყოს ციფრული. უნდა არსებობდეს ონლაინ საკლასო ოთახი, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება პერსონალური ელექტრონული მოწყობილობა. ასეთი გაკვეთილები უფრო სასიამოვნო და ინტერაქტიური გახდება.

აგელოსი, საბერძნეთი.

ჩემს საოცნებო სკოლაში, თითოეულ გაკვეთილს საუკეთესო მასწავლებლები ჩაატარებენ, ამიტომ მოსწავლეებს ყოველთვის ექნებათ საგნის სწავლის სურვილი. ლეპტოპებისა და ტელეფონების გამოყენება არ იქნება აკრძალული სასკოლო საათებში.

ვასილისი, საბერძნეთი.

ექსპერტის მოსაზრება პროექტის შესახებ

ექსპერტი: იზაბელ კრესპო, "ევროპიანა"

იზაბელ კრესპოს საქმიანობა გულისხმობს საგანმანათლებლო კავშირების დამყარებას შესაბამის აქტორებთან, მათ შორის, განათლების სამინისტროსთან, სამრეწველო სექტორთან და არაკომერციულ ორგანიზაციებთან, რათა მოხდეს ციფრული კულტურის პოპულარიზაცია. იზაბელი ფლობს ბაკალავრის ხარისხს პოლიტიკურ მეცნიერებებში, მაგისტრის ხარისხს ხელოვნების კულტურის მენეჯმენტსა და კორპორაციულ კომუნიკაციებში. იგი მუშაობს საჯარო სექტორისა და ბარსელონას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის კონსულტანტად.

რა განაპირობებს პროექტის თემის აქტუალურობას დღეს?

პროექტის აქტუალურობას განაპირობებს ძლიერი ციფრული აქცენტირება პროექტის სხვადასხვა აქტივობებში შემავალ ყველა ძირითად კომპეტენციაზე (თანამშრომლობა, კრეატიულობა, ენობრივი უნარები, ინტერკულტურული კომპეტენციები, კრიტიკული აზროვნება და ა.შ.).

პანდემიამ დაგვანახა, რომ აუცილებელია განათლების სფეროში ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარება და მეტად ინოვაციური სწავლა-სწავლების პრაქტიკის დანერგვა. პროექტის მონაწილე მასწავლებლები გახდნენ მაგალითი იმისა, რომ მათ არ გაუჭირდათ გაკვეთილების სწრაფად ადაპტირება პანდემიის დროს, რადგან მათ უკვე ჰქონდათ ციფრული ურთიერთობა ისეთ ქსელებთან, როგორიცაა ითვინინგი და „ევროპიანა".

როგორ ფიქრობთ, რა სახის საუკეთესო პრაქტიკას და მაგალითებს გვთავაზობს პროექტი თემის სწავლებისათვის?

ბევრი მაგალითის დასახელება შემიძლია, თუმცა, მათ შორის, აღსანიშნავია ის, თუ როგორ ეფექტურად მოახდინა პროექტმა ფიზიკური სასწავლო სივრცის, როგორიცაა სკოლის და კულტურული დაწესებულებების გაფართოება, ადაპტირება და შერწყმა ახალ ვირტუალურ სივრცეებთან (მაგალითად, ევროპიანას მუზეუმი-საცავი და მრავალი სხვა). ამ ყველაფერმა მასწავლებლებს და მოსწავლეებს მეტი მოქნილობა შესძინა, რათა სასწავლო პროცესი პანდემიის გამო შეცვლილ რეალობასთან მოერგოთ.

როგორ ფიქრობთ, რა არის პროექტის ძლიერი მხარე?

ორმა ფაქტორმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. პირველი, პროექტმა შეკრიბა მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყნებიდან, სხვადასხვა ყოფითი და სასწავლო გარემოდან, მათ შორის, მოსწავლეები დიდი ქალაქებიდან, სავარაუდოდ კარგად აღჭურვილი სკოლებიდან და ასევე სოფლად ან უფრო მოკრძალებულ სასწავლო

გარემოში მცხოვრები მოსწავლეები. მეორე, პროექტში ცენტრალური ადგილი უკავიათ მოსწავლეებს, რომლებსაც შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ საკუთარი სასწავლო კურსი, სასწავლო კონტენტის შერჩევისა და შექმნის გზით.

რა სახის რესურსებს ან მასალებს გვირჩევდით თემის სწავლებისათვის?
რასაკვირველია, გირჩევთ „ევროპიანას“, თუკი გსურთ, წვდომა გქონდეთ ევროპული მემკვიდრეობის საკმაოდ ვრცელ რესურსზე. თუმცა ამავე დროს, არ დაგავიწყდეთ თქვენი სკოლების შორიახლოს არსებული სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მოძიება; ყველა ქალაქში, დაბასა თუ რეგიონში არსებობს ციფრული რესურსებით აღჭურვილი დაწესებულებები, რასაც შეიძლება ასევე დაემატოს ფიზიკური ვიზიტები (როგორც ამ პროექტში მოხდა) სრულყოფილი გამოცდილების მისაღებად. უნდა გვესმოდეს, რომ ფიზიკური და ციფრული ვიზიტები სრულიად განსხვავებული გამოცდილებაა; ვერაფერი შეედრება და შეცვლის უშუალო შეხებით განცდილ სიამოვნებას, თუმცა ახლა ამაზე არც არავინ დავობს. მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ, მაქსიმალურად ისარგებლონ ორივე სამყაროთი, მათი გარემო პირობების, მეთოდების, ციფრული შესაძლებლობებისა და სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე.

3.5. ფუტურტოპია

მონაწილე ქვეყნები: საბერძნეთი, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები და პოლონეთი

მოსწავლეთა ასაკი: 15 -17 წელი

გამოკითხული მასწავლებლების სახელი და გვარი, სკოლა და ქვეყანა: კლოდინ კოატანეა (დამფუძნებელი), მიშლეს სახელობის ლიცეუმი, ვავი, საფრანგეთი
ლუცინა ნოკონ-კობიორი, პშინას პირველი სკოლა, პშინა, პოლონეთი

პროექტის შესახებ

„ჩვენი მომავალი: უტოპია თუ დისტოპია?“ ამ ორი ბერძნული სიტყვის დახმარებით, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა სამყარო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პერსპექტივიდან აღწერეს. პარტნიორმა მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, პროექტისთვის „ფუტურტოპია“ დაერქმიათ, ხოლო შეკითხვა კი ღიად დაეტოვებინათ, რათა მოსწავლეებს დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ, კატასტროფისკენ მივექანებით თუ მწვანე, მდგრადი და ინკლუზიური სამყაროსაკენ. პროექტი ეფუძნება კულტურულ და ლინგვისტურ აქტივობებს, რომელთა მიზანია მოსწავლეებს შორის ავთენტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის, ასევე ჯგუფური მუშაობისა და რეფლექსირების წახალისება. გარდა ამისა, პროექტის მიზანია მოსწავლეებს შორის აქტიური მოქალაქეობის უნარების განვითარება, რაც სრულად ეხმიანება 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგს. ამ თვალსაზრისით, „ფუტურტოპია,“ ერთის მხრივ, მოსწავლეთა წარმოსახვითი უნარის დემონსტრირებაა და ასევე გამოწვევა, შევცვალოთ სამყარო უკეთესობისაკენ. მდგრადი განვითარების ჩვიდმეტ მიზანზე ერთობლივი რეფლექსირების გარდა, პროექტის აქტივობების მიზანია მოსწავლეთა ენობრივი უნარების გაუმჯობესება, განსაკუთრებით კი, მეტყველების უნარის, ასევე მათი მოტივირება, ყოველთვის დაიცვან საკუთარი შეხედულებები და იყვნენ ცვლილების აქტიური შემოქმედნი.

პროექტის თემები და მათი ინტეგრირება სასწავლო გეგმაში

პროექტის იდეა წარმოიშვა მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ წარსულში განხორციელებული აქტივობებისა და პროექტების საფუძველზე. სხვადასხვა ფაქტორები, როგორიცაა კლიმატის კრიზისი, კოვიდ-19 პანდემია, უმუშევრობა, სიღარიბე და კონფლიქტები, მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი სამყარო თანდათან მიდის უკიდურესი წერტილისკენ, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. შესაბამისად, პროექტი შეეცადა, გამოეკვლია არსებობს თუ არა რაიმე ალტერნატივა და სთხოვა მოსწავლეებს, აღეწერათ მათ წარმოსახვაში არსებული უტოპიები.

როგორც ინტერვიუს მონაწილე ორმა მასწავლებელმა აღნიშნა, „ჩვენ უბრალოდ გვჯეროდა და გვჯერა, [რომ] ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდებმა გააცნობიერონ იმ გარემოში არსებული პრობლემები, რომელშიც ცხოვრობენ. განსაკუთრებით მათ ასაკში, რადგან ისინი მალე სრულწლოვნები გახდებიან და მათ აუცილებლად დასჭირდებათ შესაბამისი ცოდნა და უნარები. მათ უნდა ჰქონდეთ გარემოში ნავიგაციის უნარები, იყვნენ ძლიერები, რათა შეასრულონ საკუთარი მოქალაქეობრივი როლი და მიიღონ აქტიური და პოზიტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“. პროექტის დამატებითი თემა იყო მედიანიგნიერება: მოსწავლეები გაეცნენ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს და ფორმებს, ყურადღება გაამახვილეს ნეტიკზე, ითვინინგის ქცევის კოდექსსა და საინფორმაციო წყაროების სანდოობაზე.

სასწავლო გეგმაში ინტეგრაციის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ მდგრადი განვითარება და მოქალაქეობა სასკოლო საგნებად ისწავლება. უტოპია და დისტოპია ასევე არის სასწავლო გეგმის ნაწილი იმ მეთორმეტეკლასელი მოსწავლეებისათვის, რომლებიც საფრანგეთში ცხოვრობენ და არჩევით საგნად უმაღლესი საფეხურის ინგლისურს ირჩევენ. ამავდროულად, პროექტი ეხმიანება მოქალაქეობის/სამოქალაქო განათლებისა და უცხო ენების სასწავლო მიზნებს, ვინაიდან სამოქალაქო განათლების თემები მოცემულია ინგლისურენოვანი ლიტერატურის სახით, სადაც გამოიყენება საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების მეთოდი.

პროექტის აქტივობები და თანამშრომლობა

პროექტში წარმოდგენილი აქტივობების მიზანი იყო მოსწავლეების ჩართულობა, მათი წახალისება, ყოფილიყვნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ასევე კრიტიკული აზროვნებისა და კრეატიულობის განვითარება. მდგრადი განვითარების ჩვიდმეტ მიზანსა და უტოპიის კონცეფციაზე დაყრდნობით, მონაწილე მასწავლებელმა შეიმუშავეს რამდენიმე აქტივობა, მათ შორის გონებრივი შტურმი, ფორუმი და თანამშრომლობა საერთაშორისო გუნდებში.

პროექტის პირველი აქტივობა მომზადდა ჯონ ლენონის სიმღერა „Imagine“-ზე დაყრდნობით, რომელიც რეალურად ომების საწინააღმდეგო მოძრაობის ჰიმნს წარმოადგენს. მოსწავლეებმა განიხილეს და ერთმანეთს გაუზიარეს იდეები სიმღერის ტექსტის შესახებ ფორუმზე და უპასუხეს შეკითხვას „როგორი სამყარო წარმოიდგინა ჯონ ლენონმა? წაიკითხეთ სიმღერის ტექსტი და განიხილეთ მისი შეხედულება რელიგიის, ომის, საკუთრებისა და სიღარიბის შესახებ. რა ეფექტს ახდენს სიმღერაში განმეორებადი სიტყვები: „არა“, „არაფერი“ და „არ“?“ ამის შემდეგ, მოსწავლეებმა ისაუბრეს თავიანთი ოცნებების შესახებ და ერთმანეთს გაუზიარეს აზრები Tricider-ის ან Flipgrid-ის მეშვეობით. დასასრულს, მოსწავლეებმა დაწერეს უკუკავშირი თანატოლების კომენტარების შესახებ. ერთ-ერთი აქტივობა ასევე მომზადდა Liveworksheet-ის გამოყენებით, სადაც მოსწავლეებმა შეასრულეს ლექსიკური სავარჯიშოები სიმღერის ტექსტზე დაყრდნობით.

მეორე აქტივობაში, მოსწავლეები სახალისო ფორმით გაეცნენ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს. თავიდან, მოსწავლეებს სთხოვეს, წაეკითხათ ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, ვებგვერდზე „იმოქმედე“ არსებული მასალისა და რესურსების გამოყენებით. შემდეგ, მოსწავლეებმა უყურეს მასწავლებლების მიერ მომზადებულ ვიდეოს (Playposit-ის მეშვეობით) და უპასუხეს დასმულ შეკითხვებს, რათა შეემოწმებინათ, რამდენად სწორად გაიგეს მდგრადი განვითარების მიზნების შინაარსი. ამის შემდეგ, ეროვნულ ჯგუფებში მუშაობისას, მოსწავლეებმა შექმნეს ინტერაქტიური თამაშები 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების შესახებ (Classtools, Wordwall, Learning Apps, Kahoot!, Quizziz და Quizlet-ის გამოყენებით), გააზიარეს საკუთარი მოსაზრებები სადისკუსიო დაფაზე, მიიღეს მონაწილეობა ინტერაქტიულ

ვიქტორინაში და დაწერეს კომენტარები მიღებული გამოცდილების შესახებ. მოსწავლეებმა შექმნეს შემდეგი თამაშები: „ინფორმაციის შეკავშირება“ (საფრანგეთი), „იღბლიანი ბორბალი“ (საბერძნეთი), არკადული თამაში (იტალია), ვიქტორინა (ნიდერლანდები) და ტექსტური თამაში (პოლონეთი).

ამის შემდეგ, მოსწავლეები გაეცნენ პროექტის ძირითად ცნებებს — უტოპიასა და დისტოპიას, გააცნობიერეს სიტყვების მნიშვნელობა და განიხილეს ისინი Tricider-ზე. მდგრადი განვითარების ჩვიდმეტი მიზნის მიმართ მოსწავლეების მიერ გამოვლენილი ინტერესების გათვალისწინებით, შეიქმნა საერთაშორისო ჯგუფები. აღნიშნული თანამშრომლობის მამოძრავებელი კითხვა იყო: „როგორია შენი იდეალური სამყარო?“

მოსწავლეებმა უყურეს შემაჯამებელ ვიდეო რგოლებს წარმოსახვითი დისტოპიური საზოგადოებების შესახებ:

- ჯორჯ ორუელის „*1984*“
- ოლდოს ჰაქსლის „საოცარი, ახალი სამყარო“
- რეი ბრედბერის „*451* ფარენჰეიტით“
- ხელოვნური ინტელექტი
- „როგორ ამოვიცნოთ დისტოპია“
- ფრანც კაფკას „სასამართლო პროცესი“
- შავი სარკე.)

მოსწავლეებმა ასევე წაიკითხეს ქვემოთ მოცემული ციტატები და დაფიქრდნენ მათ შინაარსზე.

- „და ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ყოველი სიტყვა ხდება განსჯის საგანი იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც საერთოდ ვერ ვხედავთ და ისეთი კანონებით, რომლებსაც საერთოდ არ ვიცნობთ“. *(სასამართლო პროცესი)*
- „ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭი — ოცნების ასრულების უნარია“. *(ხელოვნური ინტელექტი)*
- „ჩვენმა ცივილიზაციამ აირჩია მანქანა-დანადგარები, მედიცინა და ბედნიერება“. (*საოცარი, ახალი სამყარო)*
- „თუ გაინტერესებთ როგორი იქნება ჩვენი მომავალი, წარმოიდგინეთ, ჩექმის ქვეშ მუდამ მოჭყლეტილი ადამიანის სახე“. *(1984)*

ამის შემდეგ, მოსწავლეებმა იმსჯელეს კითხვაზე „როგორი წარმოგიდგენიათ ფუტურტოპია?“ მათ ასევე სთხოვეს, Tricider-ზე დაეწერათ პასუხები კითხვაზე „რა არის ან არ არის თქვენს ფუტურტოპიაში?“. მოსწავლეებმა გამოთქვეს შემდეგი მოსაზრებები:

ჩემს ფუტურტოპიაში, ნებისმიერი ფორმის განათლება ყველასთვის იქნება უფასო, გამონაკლისების გარეშე. შედეგად, ყველა მიიღებს განათლებას და ასევე განივითარებს კრიტიკული აზროვნებისა და იდეებს შორის ლოგიკური კავშირების აღმოჩენის უნარს.
გიორგოსი, საბერძნეთი.

ჩემს ფუტურტოპიაში, ხალხი იცხოვრებს და იმუშავებს ღირსეულად. სიღარიბე არ იარსებებს. სიღარიბე ჰუმანურობას და იმედს კლავს ადამიანებში და თავს არასრულფასოვნად გვაგრძნობინებს.
მარტინა, პოლონეთი.

ჩემს ფუტურტოპიაში, ვისურვებდი, იყოს სამყარო, სადაც აღარ გამოვიყენებთ წიაღისეულ საწვავს და ქვანახშირს ენერგიის მისაღებად. ჩემს ფუტურტოპიაში, ვოცნებობ იყოს სამყარო, სადაც ენერგია ბუნებიდან მიიღება და გამოიყენება ნარჩენი კვალის გარეშე.
ტონი, იტალია.

ჩემს ფუტურტოპიაში, კანონის წინაშე ყველა თანასწორია. არ იქნება ომები რელიგიის, სიღარიბის და გენდერული უთანასწორობის გამო. ინსტიტუტები ყველას თანაბრად მოეპყრობიან.
ქომე, ლუიჯი, ესტელი და ჟუსტინა, საფრანგეთი.

ჩვენს ფუტურტოპიაში, ყველა ბედნიერად გრძნობს თავს. არ არსებობს დეპრესია ან შფოთვა. ადამიანები მუდამ მშვიდად არიან. ყველა ყოველთვის ჯანმრთელია.
კიარა, საფრანგეთი.

ჩემს ფუტურტოპიაში იქნება ჯანსაღი, ეკოლოგიურად სუფთა საკვები; ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ ჩვენს საკვებს, ქიმიკატების გარეშე.
ზოსია, პოლონეთი.

მე რომ შემეძლოს რაიმეს შეცვლა ამ სამყაროში, აუცილებლად შევეცდებოდი, შევცვალო ორივე სქესის, განსაკუთრებით კი ქალების მიმართ, არსებული სექსისტური წარმოდგენები. ჩვენ ვერ ვისაუბრებთ სამყაროს შეცვლასა და გაუმჯობესებაზე, თუკი დღეს, 21-ე საუკუნეში, ადგილი აქვს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას. ორივე სქესი თანასწორია, მათ აქვთ იგივე უფლებები და მოვალეობები და ისინი თანასწორ მოპყრობას იმსახურებენ.

ევანგელია, საბერძნეთი.

მოსწავლეები სრულად იყვნენ ჩართული პროექტში. ჰელოისმა, მოსწავლემ საფრანგეთიდან, აღნიშნა: „სხვა ქვეყნების ხალხთან საუბარი და ჩვენი კულტურისგან განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან გონებრივი შტურმის შესაძლებლობა, მართლაც საინტერესო აღმოჩნდა. ჩვენ განსხვავებული შეხედულებები და ზოგჯერ სრულიად განსხვავებული იდეები გვქონდა, ამიტომ, პროექტი მუდამ სავსე იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლით. უნიკალური გამოცდილება შევიძინეთ!“. მეორე მოსწავლემ აღნიშნა: „პროექტმა გვაგრძნობინა, რომ არ არსებობს ბარიერები კომუნიკაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვადასხვა ქვეყნიდან ვიყავით, მაინც ვახერხებდით ურთიერთობას ინგლისური ენის დახმარებით“.

კავშირი ყოველწლიურ თემატიკასთან

პროექტი მიზნად ისახავდა მოსწავლეებში აქტიური მოქალაქეობის უნარების განვითარებას და ისეთი ქცევების ფორმირებას, რომლებიც ეხმიანება გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგს, ასევე 21-ე საუკუნისთვის საჭირო უნარების ხელშეწყობას ონლაინრეჟიმში, საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. მთავარი თემა, უტოპია, გამოყენებული იქნა მოსწავლეების წასახალისებლად, რათა ისინი ჩართულიყვნენ მათთვის საინტერესო სხვადასხვა თემის შესწავლაში, შემოქმედებითი და კონსტრუქციული ფორმით. პროექტის მონაწილე მასწავლებლების თქმით, „მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, შეესწავლათ სხვადასხვა საკითხები ითვინინგის პროექტის მეშვეობით, გაეაზრებინათ ჩვენი პლანეტის სილამაზის მნიშვნელობა და გაეცნობიერებინათ მდგრადი განვითარების და ერთიანობის აუცილებლობა“.

გარდა ამისა, ფუტურტოპიას ნამდვილად ჰქონდა მჭიდრო კავშირი ყოველწლიურ თემატიკასთან, ვინაიდან პროექტმა მოსწავლეები დააფიქრა მომავალი, იდეალური საზოგადოების შესახებ, დაეხმარა მათ, მოეფიქრებინათ, თუ რა ცვლილებების განხორციელება დასჭირდებათ და რა გზებით შეძლებენ უფრო მდგრადი მომავლის შექმნას. კერძოდ, ბერძენმა პარტნიორმა,



თეოდორა გკენიუმ, აღნიშნა, რომ პროექტში მოსწავლეებმა განიხილეს თემა: „ჩვენი მომავალი: უტოპია თუ დისტოპია?“ ბერძნული წარმოშობის ამ ორი სიტყვის მეშვეობით, მოსწავლეებმა აღწერეს ჩვენ წინაშე არსებული ახალი სამყარო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პერსპექტივიდან“. მან ასევე დაამატა: „ჩვენ გადავწყვიტეთ, პროექტისთვის დაგვერქმია ფუტურტოპია და დაგვეტოვებინა შეკითხვა ღიად, რათა ჩვენ თვითონვე გადავწყვიტოთ მივემართებით კატასტროფისკენ თუ მწვანე, მდგრადი [და] ინკლუზიური სამყაროსაკენ“. კლოდინმა დასძინა, რომ „პროექტი ფუტურტოპია შეესაბამება ყოველწლიურ თემას, რადგან მოსწავლეებმა უპასუხეს ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, როგორიცაა „როგორი მომავალი გსურთ?“, „კონკრეტულად რა განსაზღვრავს თქვენს მომავალს“ [და] „შეუძლია განათლებას, ეკოლოგიას და ფულს უკეთესი ცხოვრების გარანტირება?“. აღნიშნულმა ღია ტიპის კითხვებმა, მოსწავლეების წარმოსახვა გააღვივა. ამავდროულად, ბევრმა მოსწავლემ ეჭვი გამოთქვა იმის შესახებ, საერთოდ გვექნება კი სასურველი მომავალი“.

ქვემოთ მოცემულია საერთაშორისო გუნდების მიერ მომზადებული რამდენიმე ნამუშევარი მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, მათ შორისაა პლაკატი, „ჯენიალის“ (Genially) პრეზენტაცია სიღარიბის შესახებ და „კანვას“ (Canva) პოსტერი. მოსწავლეების მოსაზრებები შეგიძლიათ იხილოთ კომენტარების ნაწილში, ქვეთავში „პროექტის აქტივობები და თანამშრომლობა“.

პროექტის ფარგლებში, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ასევე იმსჯელეს მომავლის განათლების შესახებ და ჩამოაყალიბეს იდეალური სკოლის მოდელი. მოსწავლეებმა განიხილეს, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ყოველწლიური თემა, „ჩვენი მომავალი: ლამაზი, მდგრადი, ერთიანი“ სკოლის ბაზაზე. ქვემოთ გაეცნობით მოსწავლეების პასუხებს.

ვფიქრობ, ყოველწლიური თემა უკავშირდება მხიარულ და ოპტიმისტურ მომავალს, სადაც დაუშვებელია პესიმისტური განწყობა. ეს იქნება ლამაზი გარემო, სადაც ხალხი იქნება ერთიანი. ფაქტია, რომ ჩვენ, ყველამ ვიცით პატარ-პატარა ხრიკები, რითაც შეგვიძლია დავეხმაროთ ბუნებას, მაგალითად, სინათლის გამორთვა, როცა არ გვჭირდება, ნარჩენების გადამუშავება, ავტომობილის ნაცვლად ფეხით სიარული და ოთახების გათბობა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ზოგიერთი მათგანის შესრულება, როგორიცაა სინათლის ან გათბობის გათიშვა, შესაძლებელია სკოლებში ზაფხულის პერიოდში ან მზიან დღეებში. ასევე კარგი იქნება სკოლის სახურავებზე მზის პანელების დამონტაჟება ელექტროენერგიის მისაღებად, ხოლო საკლასო ოთახებში კი მცენარეების მოშენება, მეტი სიცოცხლისა და ჟანგბადის უზრუნველსაყოფად!“

ელოიზი, საფრანგეთი.

უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდები უნდა იყვნენ შემწყნარებლები. ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ და ყველანი ადამიანები ვართ, ამიტომ ვფიქრობ, რომ ერთმანეთს მხარი უნდა დავუჭიროთ და დავეხმაროთ — არავითარი განსჯა, კრიტიკა ან ბულინგი. 2022 წლის ყოველწლიური თემა არის ჩვენი მომავალი, რაც ნიშნავს, რომ უნდა გავხადოთ სამყარო ლამაზი და მდგრადი, ხოლო ამის გაკეთებას მხოლოდ მშვიდობიანი თანაცხოვრებით შევძლებთ! ერთადერთი რაც გვჭირდება, არის სურვილი.

კინგა, საფრანგეთი.



ჩემთვის ეს თემა არის იმედი, ასევე ნიშნავს მომავალს, რომელშიც ყველას შეუძლია თანაცხოვრება, ნიშნავს საზოგადოებას, რომელშიც არავინ გრძნობს თავს გარიყულად, ნიშნავს მოქალაქეებს, რომლებიც ზრუნავენ პლანეტაზე და მეზობლებზე. მე მჯერა, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია სკოლის დონეზე, თუკი მოსწავლეებს ექნებათ ერთმანეთის გაცნობის და ერთობლივი პროექტების შექმნის შესაძლებლობა, თუნდაც სკოლის მიღმა, ისევე, როგორც ეს ფუტურტოპიის პროექტში შევძელით.
აქსელი, საფრანგეთი.

მასწავლებელთა პასუხებშიც გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, მათ შორის, სასწავლო სივრცეების გამოყენება, ინფრასტრუქტურა, მოსწავლეებზე ორიენტირებული მიდგომები, ეკოლოგია და თანამშრომლობა. იტალიელმა პარტნიორმა, პატრიცია რომამ, აღნიშნა, რომ სკოლა უნდა იყოს „ადგილი კომფორტული სივრცეებითა და დამხმარე მოწყობილობებით, სადაც მოსწავლეები და მასწავლებლები თავს იგრძნობენ დაფასებულად და ყველას ექნება ინსტრუმენტები და შესაძლებლობები, განვითარდეს პროფესიული და ადამიანური უნარების გაძლიერებით“. თეოდორა გკენიუმ აღნიშნა: „ჩემი აზრით, ოცნების სკოლა იქნება ციფრული, მოქნილი, ეკოლოგიურად სუფთა, ყოვლისმომცველი, [და] მრავალდისციპლინური საზოგადოება“. ევა გაჯეკი, პროექტის პარტნიორი პოლონეთიდან, აღნიშნავს, რომ მისი ოცნების სკოლა იქნება „ადგილი ყველა კრეატიული, ტოლერანტული ადამიანისათვის, სკოლაში იარსებებს სივრცე მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისათვის და უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული და კომპიუტერული უნარების განვითარების შესაძლებლობები, სადაც პატივისცემით მოეპყრობიან ადამიანებსა და ბუნებას“. დამატებითი იდეები გამოითქვა ასევე ინტერაქტიური წიგნების გამოყენების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის წვდომის უზრუნველყოფის, გენდერული ფაქტორის დაცვის, მეტი და უფრო კვალიფიციური მასწავლებლების მოწვევის აუცილებლობის შესახებ.

ექსპერტის მოსაზრება პროექტის შესახებ

ექსპერტი: პროფესორი სტივენ ჰეპელი, მადრიდის კამილო ჰოსე სელას სახელობის უნივერსიტეტის, ფელიპე სეგოვიას სასწავლო ინოვაციების საბჭოს ხელმძღვანელი და Heppell.net Ltd-ის აღმასრულებელი დირექტორი.

სტივენი არის მადრიდის, კამილო ხოსე სელას სახელობის უნივერსიტეტის, ფელიპე სეგოვიას სასწავლო ინოვაციების საბჭოს ხელმძღვანელი, ანგლია რასკინის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი ახალი სასწავლო გარემოს შექმნის მიმართულებით და Heppell.net Ltd.-ის აღმასრულებელი დირექტორი. ფართომასშტაბიანი, გახმაურებული გლობალური პროექტები მისი 34-წლიანი სადოქტორო მოღვაწეობის შედეგია. კომპანია „მაიკროსოფტი“ მას აღწერს, როგორც „ევროპის წამყვან ექსპერტს ონლაინ განათლების მიმართულებით“. დიდი ბრიტანეთის განათლების დეპარტამენტი მას უწოდებს „ბოლო წლების ყველაზე გავლენიან მეცნიერს ტექნოლოგიებისა და განათლების სფეროში“.

რა განაპირობებს პროექტის თემის აქტუალურობას დღეს?

უზარმაზარმა გლობალურმა პანდემიამ ცხადად დაგვანახა, რომ განათლება ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც გამოწვეული იქნა გაძლიერებული, ჰიბრიდული, ონლაინ თუ პირისპირ სწავლებით ან ოჯახური ცხოვრების წესისა და დინამიკის ცვლილებით, სადაც მშობლები დისტანციურად მუშაობდენ, ხოლო ბავშვები კი დისტანციურად სწავლობდნენ. იმ პირობებში, როცა ჯინი ბოთლიდან გამოშვებულია და აღარ აპირებს უკან დაბრუნებას, იბადება კითხვა, რომელსაც ჩვენ, ყველამ უნდა გავცეთ პასუხი: „და რა მოხდება შემდეგ?“. აღნიშნული პროექტი ავითარებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარს და გამჭრიახობას, რაც მათ ესაჭიროებათ საკუთარ მომავალზე დისკუსირებისას, არა მხოლოდ სწავლის, არამედ სამყაროს სხვა პრობლემების კუთხით, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, უმუშევრობა, დეპრივაცია და კონფლიქტები. თუკი გვსურს, სწრაფად გადავჭრათ მსოფლიოს წინაშე მდგარი, ყოველდღიურად მზარდი პრობლემები ამ ათასწლეულში, ჩვენ დაგვჭირდება თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ძალისხმევა ამ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების საქმეში. ამ პროექტმა ნამდვილად მოახერხა მოსწავლეების დაფიქრება აღნიშნული საკითხების ირგვლივ. ამიტომ, პროექტი უაღრესად მნიშვნელოვანია.

როგორ ფიქრობთ, რა სახის საუკეთესო პრაქტიკას და მაგალითებს გვთავაზობს პროექტი თემის სწავლებისათვის?

აქტივობები შემუშავდა ძალიან მნიშვნელოვან და მრავალფეროვან რესურსებზე დაყრდნობით — ერთის მხრივ, ჯონ ლენონის სიმღერა „Imagine“

და მასში აღწერილი სრულყოფილი სამყარო, ჰაქსლის მღელვარე „საოცარი, ახალი სამყარო“ და კაფკას „სასამართლო პროცესი“, ხოლო მეორეს მხრივ, თანამედროვე პროგრამები, როგორიცაა „შავი სარკე“ და ფილმი „ხელოვნური ინტელექტი“. ამ ყველაფერმა შექმნა მძლავრი პროვოკაციების მთელი სერია. აქტივობები, რომლებსაც მოსწავლეები ასრულებდნენ, მიმდინარეობდა მრავალეროვნულ გუნდებში, რამაც მდიდარი კულტურული გამოცდილების მიღების საშუალება მისცა ბავშვებს. თავად აქტივობები იყო მრავალფეროვანი, დაწყებული უტოპიის შესახებ გონებრივი შტურმით და აკროსტიკული ლექსების შეთხზვით ისეთ თემებზე, როგორიცაა მეგობრობა, თანასწორობა, ჯანმრთელობა და ზრუნვა, დამთავრებული პლაკატების, სტატიებისა და ვიდეოების მომზადებით ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებისათვის. თითოეულ ეტაპზე, აქტივობები ავითარებდა მოსწავლეების უნარს — გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება. ეს არ იყო სპონტანური, ავტორიტარული მოსაზრება, არამედ შეხედულება, რომელიც შემუშავებულ იქნა რეფლექსირების, დებატების, წარმოსახვისა და პროგნოზირების შედეგად. და სწორედ ახლა, უმნიშვნელოვანესია გავითვალისწინოთ შემდეგი: „ისინი, ვინც ივიწყებენ საკუთარ წარსულს, აუცილებლად იმეორებენ იგივე შეცდომებს“.

როგორ ფიქრობთ, რა არის პროექტის ძლიერი მხარე?

როგორც ყველა დიდი საგანმანათლებლო პროცესი, აღნიშნული პროექტიც საკმაოდ კომპლექსურია, თუმცა არც თუ ისე რთული. ძლიერი კომპონენტებია მაგალითად, თანამშრომლობის ინსტრუმენტების ფართო სპექტრი, ხოლო ტექნოლოგიის გადამწყვეტი როლი (ჩვენ ხომ 2022 წელში ვცხოვრობთ!) და თამაშის კომპონენტის გამოყენება ამაღლებს მოტივაციას. პედაგოგიური მეთოდების პალიტრა, მათ შორის, შეკითხვების მთელი სერია, რომლებზეც მოსწავლეებს უნდა ეფიქრათ სიმღერის, ფილმების ან წიგნების წაკითხვის შემდეგ, შეემატა სწავლების მეთოდების ნუსხას. კარგად დისციპლინირებული აქტივობები სრულიად შესაბამისი და საინტერესო აღმოჩნდა პროექტში მონაწილე ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეებისათვის. ამ ყველაფერმა მოსწავლეებს გამოუმუშავა სტრესისადმი მედეგობა, რაც, რა თქმა უნდა, დაეხმარა მათ ლოქდაუნის დროს, როდესაც მასწავლებლები და მოსწავლეები დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ. მუშაობის ეს მეთოდი ნაცნობი აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის გარკვეულ დონეზე, რადგან მასწავლებლებმა პროექტის დაწყებისთანავე შეუქმნეს მოსწავლეებს მყარი საფუძველი.

რა სახის რესურსებს ან მასალებს გვირჩევდით თემის სწავლებისათვის?

ვფიქრობ, საკუთრივ პროექტში გამოყენებული რესურსები შესანიშნავი მასალაა. ჩემი აზრით, ჭკუის სასწავლი ისტორია ტექნოლოგიებზე ზედმეტი დამოკიდებულებისა და შედეგად ჰუმანურობის დაკარგვის შესახებ, მშვენივრად არის გადმოცემული კენ ლოუჩის ფილმში, სახელწოდებით „მე, დენიელ ბლეიკი“. კიდევ ერთი შესანიშნავი რესურსი, რომლის დამატებაც შესაძლებელია ამ აქტივობის დასასრულს არის იმ ადამიანების იმედებისა და ოცნებების შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომლებსაც უმუშავიათ მსგავს პროექტზე, რადგან ოცნებების თანხვედრა, მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის ერთგვარი ნუგეშიც კი შეიძლება გახდეს ჩვენს მშფოთვარე ეპოქაში.

3.6. იყავი ჭკვიანი – მიიღე მონაწილეობა!

მონაწილე ქვეყნები: გერმანია, ესპანეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი და პორტუგალია

მოსწავლეთა ასაკი: 16 -19 წელი

გამოკითხული მასწავლებლების სახელი და გვარი, სკოლა და ქვეყანა: სიმონ ვან ბელკომ-პოპელაარსი, მეფე ვილემ I-ის სახელობის კოლეჯი, ჰერტოჰენბოში, ნიდერლანდები
ლინა მარია ინასიუ პერეირა, გამა ბაროსის დაწყებითი და საშუალო სკოლა, დონა მარია II-ის სკოლების ჯგუფი, სინტრა, პორტუგალია

პროექტის შესახებ

პროექტის ფარგლებში, ხუთი ევროპული ქვეყნის წარმომადგენელმა მოსწავლეებმა შეისწავლეს „ჭკვიანი ქალაქების“ კონცეფცია. აღნიშნული თემატიკა მნიშვნელოვანია, რადგან მომავალში მეტი და მეტი ადამიანი იცხოვრებს ქალაქში, ამიტომ საჭიროა ჭკვიანი კონცეფციების მოფიქრება პლანეტის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად — ჩვენთვის და მომავალი თაობებისათვის. კერძოდ, პროექტის მიმდინარეობისას, მოსწავლეებმა იმუშავეს ჭკვიანი ქალაქებისა და სოფლების კონცეფციაზე. კონცეფცია „ჭკვიანი“ მოიცავს ეფექტურ, მოწინავე და სოციალურად ინკლუზიურ ასპექტებს. ამჟამად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვითარდება რამდენიმე მიმართულება, როგორიცაა რევოლუციური შენობა-ნაგებობები, ინფრასტრუქტურის თანამედროვე ფორმები და კომუნიკაციის ახალი საშუალებები. იქმნება მეტი და მეტი ტექნიკური და ეკონომიკური ინოვაციები. ასე რომ, ჩვენ ჯერ კიდევ გვექნება შესაძლებლობა, ვიცხოვროთ „ჭკვიან“ სამყაროში. მოსწავლეებმა

შეიტყვეს გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ და იმუშავეს საერთაშორისო გუნდებში, რათა მოეფიქრებინათ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების შერბილების გზები. შესაბამისი ისტ-ის ინსტრუმენტების, საერთაშორისო კოლაბორაციისა და შერეული სწავლების დახმარებით, მოსწავლეები გახდნენ ითვინინგის „ჭკვიანი პროექტის“ ნაწილი. პროექტის მიმოხილვა ხელმისაწვდომია Prezi-ის პრეზენტაციის, Wakelet-ის პრეზენტაციის და ვიდეორგოლის სახით, რომელიც მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ერთობლივად მოამზადეს პროექტის დასასრულს.

პროექტის თემები და მათი ინტეგრირება სასწავლო გეგმაში

პროექტის საკვანძო თემაა მდგრადობა და კონცეფცია „ჭკვიანი“, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ასპექტს. მოსწავლეებმა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად გადაწყვიტეს, რომელ ასპექტზე სურდათ ყურადღების გამახვილება. მოსწავლეები დაიყვნენ საერთაშორისო გუნდებად და შეისწავლეს შემდეგი თემები: ჭკვიანი ქალაქები ჭკვიანი ენერგიით, შენობები, ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა, ენერგეტიკა, ბუნება და ბიომრავალფეროვნება, გლობალური დათბობა და ციფრული წიგნიერება (ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენება და ნეტიკეტი). რაც შეეხება სასწავლო გეგმას, პროექტთან დაკავშირებული ძირითადი საგანი იყო ინგლისური ენა; თუმცა, სასწავლო გეგმა აქცენტირდებოდა მთელ რიგ სხვა უნარებზე, როგორიცაა მეწარმეობა და ინტერკულტურული და სოციალური უნარები. ამავდროულად, ყველა თემა შედიოდა სხვადასხვა კურსის პროფესიულ (შუალედური) მიმართულებებში, მათ შორის გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები და მდგრადი პრაქტიკა და ასევე ზოგიერთი სკოლის უფრო ფართო ფილოსოფიაში. სიმონმა აღნიშნა: „ჩვენ ვართ იუნესკოს სკოლა და ასევე სკოლა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში, რადგან ჩვენ გვყავს გუნდი, რომელიც კონკრეტულად ამ საკითხზე მუშაობს. საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოსწავლეებისთვის და პერსონალისთვის. ითვინინგის პროექტი ამ მხრივ ძალიან დაგვეხმარება“.

პროექტის აქტივობები და თანამშრომლობა

როგორც სიმონმა აღნიშნა, „ითვინინგი არის შესანიშნავი პლატფორმა, რომელიც სტრუქტურირებული და უსაფრთხო ფორმით უზრუნველყოფს საერთაშორისო ვირტუალურ თანამშრომლობას. ის ხელს უწყობს მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის ინტერაქციას საერთაშორისო პროექტებზე მუშაობისას.“ მოსწავლეებმა შექმნეს სხვადასხვა მიმართულებებზე მომუშავე საერთაშორისო



გუნდები. თითოეულ გუნდს ჰყავდა ერთი მასწავლებელი, რომელიც კოორდინირებას და მონიტორინგს უწევდა მოსწავლეების მუშაობას „პადლეტის“ მეშვეობით, სადაც ქვეყნდებოდა შესასრულებელი დავალებები. შესაბამისად, საერთაშორისო თანამშრომლობა ნამდვილად წახალისებული იყო. მაგალითად, მოსწავლეებმა შექმნეს ელექტრონული უსაფრთხოების წესები, რომლებიც სხვა მოსწავლეებს გაუზიარეს შემდეგი სახით:

- მოკლე ვიდეო რგოლი ინტერნეტის ლეგალური გამოყენებისა და ელექტრონული უსაფრთხოების შესახებ;
- პრეზენტაციები ინტერნეტის უსაფრთხოებისა და ინტერნეტ საფრთხეებისა და თაღლითობის შესახებ;
- ელექტრონული უსაფრთხოება კომპიუტერში და ქვიზები ელექტრონული უსაფრთხოების შესახებ;
- პოსტერები.

პროექტის საწყისი აქტივობის ფარგლებში, მოსწავლეებმა რეფლექსირება მოახდინეს ჭკვიანი ქალაქისა და სოფლის ცნებაზე, ხოლო თემასთან დაკავშირებული ტერმინები გამოაქვეყნეს Mentimeter-ის და AnswerGarden-ის მეშვეობით და ასევე შექმნეს „სიტყვების არტი“ (WordArt). შემდეგ, მოსწავლეებმა წაიკითხეს და იმსჯელეს „ნეშენალ ჯეოგრაფიკის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაზე „მომავლის ქალაქები“, გამოჰყვეს საინტერესო ასპექტები და გამოაქვეყნეს საკუთარი მოსაზრებები სადისკუსიო ფორუმზე. მოსწავლეებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს სტატიაზე დაყრდნობით შემუშავებულ ლექსიკურ სავარჯიშოებში/თამაშებში (მაგ. ჭკვიანი შენობის ელემენტების ამოცნობა, ორთოგრაფიული და ანანაგრამის თამაშები და სიტყვების ძიება), მოსასმენ აქტივობებში (მომავლის ქალაქები) და ზოგადი სახის ვიქტორინაში, რომლის მიზანი იყო დამახსოვრებული ინფორმაციის გადამოწმება.

ამის შემდეგ, მოსწავლეებმა Mentimeter-ზე ჩამოწერეს ჭკვიანი ქალაქისთვის დამახასიათებელი ყველაზე საინტერესო ელემენტები (იხილეთ სურათზე გამოსახული პასუხები), ხოლო არგუმენტები ფორუმზე გამოაქვეყნეს. ამ აქტივობაზე დაყრდნობით, შეიქმნა მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული საერთაშორისო გუნდები. საერთაშორისო გუნდების მიერ შესრულებული სამუშაოს და დავალებების შედეგები დოკუმენტური სახით აისახა „პადლეტში“ (მაგ. ჭკვიანი



ენერგია, ჭკვიანი შენობები, ჭკვიანი გარემო, ჭკვიანი ინფრასტრუქტურა, ჭკვიანი ჯანდაცვა და ჭკვიანი განათლება).

მოსწავლეებმა ასევე მოიკვლიეს „ჭკვიანი ბუნების“ მაგალითები თავიანთ ქალაქებში. მაგალითად, ნიდერლანდებში, ქალაქგარეთ მდებარე, ერთ-ერთი ბუნებრივი პარკის შუაგულში, შეხვდებით QR კოდს, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას ამ ადგილის ისტორიის შესახებ, რომელიც ექვს საუკუნეზე მეტს ითვლის. ბარსელონაში ბოტანიკურ ბაღში არის QR კოდები, რომლებიც ვიზიტორებს აწვდის ინფორმაციას მცენარეების შესახებ; პორტუგალიაში არის აპლიკაცია ისტორიული ღირსშესანიშნაობებით დაინტერესებული ადამიანებისათვის; ხოლო პოლონეთში კი ბუჩქოვანი ხანძრების მონიტორინგის სისტემა.

ერთ-ერთი აქტივობის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოიძიეს ეროვნული პროექტები, რომელთა მეშვეობით შეისწავლეს და აღმოაჩინეს თავიანთ ქვეყნებში არსებული ჭკვიანი ქალაქები. მოსწავლეებმა პროექტები აღმოაჩინეს შემდეგ ქალაქებში:

- გერმანია;
- დენ ბოში და ამსტერდამი;
- კაზიმიერზ დოლნი;
- ლისაბონი, პროექტში მონაწილე მოსწავლეების მიერ შექმნილ ვიდეოსთან ერთად;
- ბარსელონა.

ამ იდეებსა და შეძენილ ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეებს სთხოვეს, წარმოსახვის მეშვეობით მოეფიქრებინათ „ჭკვიანი საზოგადოებრივი ცენტრის“ საკუთარი ვერსია, იმ ობიექტებისა და მოწყობილობების მითითებით, რაც მათი აზრით საჭირო იქნება ასეთი ადგილისათვის. იდეების დასაფიქსირებლად, მოსწავლეებმა გამოიყენეს Linoit-ი, შექმნეს კონცეპტუალური რუკა და ვიდეორგოლი და მოამზადეს 3D გამოსახულებები SketchUp-ის და Minecraft-ის მეშვეობით.

ამასთან, მოფიქრებული იდეების განსახორციელებლად, მოსწავლეებს დასჭირდათ დაფინანსება. აქტივობის ფარგლებში, მათ უყურეს ვიდეორგოლს „ქრაუდფანდინგის“ კონცეფციის შესახებ, უპასუხეს რამდენიმე სახელმძღვანელო კითხვას ფორუმზე და მონაწილეობა მიიღეს Kahoot! ვიქტორინაში. მოსწავლეებმა ასევე შექმნეს პრეზენტაციები, რათა გაეზიარებინათ საკუთარი ქრაუდფანდინგის გამოცდილება და შეგროვებული თანხა საჩუქრად

გადასცეს ადგილობრივი სურსათის ბანკს ნიდერლანდებში და ცხოველთა ასოციაციას პოლონეთში. ლინამ აღნიშნა: „ძალიან ვაქტიურობდით ჩვენს ჯგუფში, განსაკუთრებით კი კოვიდ-19 პანდემიის დროს, გავმართეთ შეხვედრები. შევიმუშავეთ გეგმა და შემდეგ გავინაწილეთ ამოცანები; უაღრესად აქტიური მონაწილეები გვყავდა. მოკლედ, მთელი სამუშაო ერთად შევასრულეთ“. რაც შეეხება მშობლების ჩართულობას, მათგან ნებართვის მიღების გარდა, მშობლების აქტივობებში ჩართვის საჭიროება არ არსებობდა, რადგან მოსწავლეები ასაკით დიდები არიან და, როგორც ლინამ აღნიშნა, „ისინი საკუთარ თავს ზრდასრულ ადამიანებად მიიჩნევენ“.

კავშირი ყოველწლიურ თემატიკასთან

მასწავლებელთა თქმით, პროექტი სრულიად ეხმიანება ითვინინგის ყოველწლიურ თემას, რადგან მოსწავლეებმა შეისწავლეს ჭკვიანი ქალაქები და ის კონცეფციები, რომლებიც უკავშირდება ტექნოლოგიებს, ბუნებას, მდგრადობას, ინფრასტრუქტურას და კლიმატის ცვლილებას. მათ აღნიშნეს, რომ „პროექტი მოიცავს მდგრადი განვითარების საკითხებს; პროექტი გვთავაზობს ჭკვიან ელემენტებს, მაგ, ჭკვიანი შენობები, ენერგია, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, სწავლა და ა.შ, რაც სრულად შეესაბამება „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ კონცეფციას და ადამიანებს, რომლებიც ერთად არიან შეკრებილნი ახალ იდეებზე სამუშაოდ, მსგავსად თავდაპირველი ბაუჰაუსისა, რომლის დაარსების მიზანი შემოქმედებითობის წასახალისება იყო“.

პროექტის მსვლელობისას, მოსწავლეები ურთიერთობდნენ მათთვის საინტერესო თემებზე და თანამშრომლობდნენ სხვადასხვა შედეგების მისაღებად, როგორიცაა ვიქტორინის, პრეზენტაციის, პლაკატისა და საგაზეთო სტატიების მომზადება, ასევე გაიცნეს მათ გარშემო არსებული ბუნებრივი გარემო და ადგილობრივი მოსახლეობა. ყოველწლიურ თემატიკაში შემავალი მდგრადი განვითარების კომპონენტის გარდა, პროექტი ასევე მოიცავს „ერთიანობის“ ელემენტს, ვინაიდან მასწავლებლები და მოსწავლეები თანამშრომლობდნენ პარტნიორებთან ჭკვიანი საზოგადოებრივი ცენტრის შესაქმნელად. ამ პროექტში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, გამოკითხულმა მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს თავიანთი საოცნებო სკოლების შესახებ და გამოთქვეს მოსაზრებები მოსწავლეებთან დაკავშირებით. მაგალითად, ლინამ აღნიშნა: „ჩვენი საოცნებო სკოლა ხელს უწყობს დიალოგს ყველა მონაწილეს შორის და მხარს უჭერს ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრებას“. ერთ-ერთმა გამოკითხულმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები ამჯობინებენ „დისციპლინების რღვევას, ვიდრე უბრალოდ საგნების სწავლას“, ხოლო მეორემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მართალია, მოსწავლეები ნამდვილად დამოკიდებულნი არიან ტექნოლოგიებზე, მათ სჭირდებათ გარკვეული გამოწვევები ჩვენგან [მასწავლებლებისგან]. თუკი არ შევუქმნით მათ ამ გამოწვევებს, როგორც წესი, ისინი ვერასდროს შეიტყობენ ვებ ინსტრუმენტების არსებობის შესახებ და არ ეცოდინებათ, თუ როგორ და რისთვის გამოიყენონ ისინი“.

ექსპერტის მოსაზრება პროექტის შესახებ

ექსპერტი: ორესტის ტრასანიდისი, ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (EIT) ხელოვნური ინტელექტის ჯგუფი, EIT დიჯითალი.

ორესტისი სამი სამაგისტრო ხარისხის მფლობელია გარემოსდაცვითი ინჟინერიის, მდგრადი განვითარების, ისტ-ის და ჭკვიანი ქალაქების განვითარების მიმართულებით. ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებაში ინოვაციების მდგრადი განვითარების კონსულტანტის და პროექტების მენეჯერის პოზიციებზე მუშაობის შემდეგ, მან შეიმუშავა ამბიციური ურბანული სტრატეგიები და პროექტები ევროკავშირისათვის. ის ამჟამად ხელმძღვანელობს ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (EIT) ხელოვნური ინტელექტის ჯგუფს.

რა განაპირობებს პროექტის თემის აქტუალურობას დღეს?

დღესდღეობით, სწრაფი ურბანიზაცია და ჭარბი მოხმარება დიდ ზეწოლას ახდენს არსებულ ურბანულ გამოწვევებზე. შედეგად, დაიბადა იდეა ჭკვიანი ქალაქებისა და ჭკვიანი მოქალაქეების შესახებ, მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტების შესამცირებლად. შესაბამისად, პროექტის თემა სრულად ემთხვევა მოქალაქეებისა და პროფესიონალების გაძლიერების აუცილებლობას, რომლებიც მზად იქნებიან, ერთად შეიმუშავონ და შექმნან ეფექტური და მდგრადი გადაწყვეტილებები სმარტ ტექნოლოგიების გამოყენებით.

როგორ ფიქრობთ, რა სახის საუკეთესო პრაქტიკას და მაგალითებს გვთავაზობს პროექტი თემის სწავლებისათვის?

პროექტის სწავლა-სწავლების პრაქტიკული ფორმა საკმაოდ საინტერესო და ამავდროულად რთული საქმეა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და ამოცანების აუთენტურობას. კრიტიკულად მნიშვნელოვანია კავშირის დამყარება მოსწავლეების გარემოსა და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის და ასევე იმასთან, რასაც ისინი სკოლაში სწავლობენ. გარდა ამისა, პროექტის მიერ დანერგილი უაღრესად სასარგებლო პრაქტიკაა თანამშრომლობითი აქტივობების ადაპტირება. ამასთან დაკავშირებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჭკვიანი ქალაქი იძლევა სხვადასხვა ურბანული გამოწვევების მოგვარების საშუალებას კონსტრუქციული აზრთაშეპირისპირების, ბევრი დაინტერესებული ადამიანის და, რა თქმა უნდა, მოქალაქეების ურთიერთქმედების გზით, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ პროცესში.

როგორ ფიქრობთ, რა არის პროექტის ძლიერი მხარე?

პროექტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კომპონენტია ის, რომ ახალგაზრდებმა

გააანალიზეს ისეთი მრავალასპექტიანი საკითხი, როგორიცაა ჭკვიანი ქალაქი. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტანდარტული აზროვნების დარღვევა და მოსწავლეებში სექტორული მიდგომის და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება. მეტიც, პროექტში საერთაშორისო გუნდების ჩართულობა სწავლების აქტიურ მიდგომებთან ერთად, ხელს უწყობს ჭკვიანი მოქალაქეობის განცდის დანერგვას. და ბოლოს, შერეული სწავლების მეთოდი მოსწავლეებს აძლევს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, მიიღონ მაქსიმალური სარგებელი ორივე სამყაროსაგან. ერთის მხრივ, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, გაიუმჯობესონ ციფრული წიგნიერება სხვადასხვა ინსტრუმენტების მეშვეობით, ხოლო მეორეს მხრივ, მათ ეძლევათ შანსი, ისწავლონ საკუთარი ქალაქების მაგალითზე და გააცნობიერონ ციფრული ასპექტების ფიზიკურ სამყაროში ინტეგრაციის გზები.

რა სახის რესურსებს ან მასალებს გვირჩევდით თემის სწავლებისათვის?

მსოფლიოს მრავალი ქალაქის მაგალითზე ვხედავთ, თუ როგორ უნდა მოხდეს კოლექტიური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება, რათა განვავითაროთ ტექნოლოგიები და ქალაქები მართლაც ჭკვიან დასახლებებად ვაქციოთ. „კროუფორდის მეთოდი“ და გადაწყვეტილების მატრიცის ანალიზი არის გონებრივი შტურმის მარტივი, თუმცა ეფექტური მაგალითები. ხელოვნური ინტელექტი ჭკვიანი ტექნოლოგიების ქვაკუთხედს წარმოადგენს, ამიტომ ქვემოთ მოცემული ინსტრუმენტები სასარგებლო იქნება ახალი უნარებისა და პროფესიული ფუნქციების შესასწავლად.

ხელოვნური ინტელექტი — პროფესიონალებისთვის საჭირო უნარები. ეს არის ხელოვნური ინტელექტი, რომლის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია შეისწავლოს საკუთარი პროფესიული პროფილი და მოიძიოს ის კურსები, რომლებიც მას შესაფერისი სამუშაოსთვის აუცილებელი უნარების ათვისებაში დაეხმარება.

ხელოვნური ინტელექტი — განათლების რუკა . ეს არის საკვლევ-საანალიზო მექანიზმი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს ურთიერთკავშირი ტექნოლოგიების სახეობებს, ხელოვნური ინტელექტის როლებსა და კურსებს შორის, ინტერაქტიური და ვიზუალური მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

4

მეთოდები

წლევანდელი ითვინინგის თემა — „ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ — აერთიანებს წინა ითვინინგის თემებს: მედია წიგნიერება და დეზინფორმაცია, ინკლუზია, დემოკრატიული ჩართულობა, კლიმატის ცვლილება, კულტურული მემკვიდრეობა, და სხვა. როგორც კომისარმა, მარია გაბრიელმა თავის წინასიტყვაობაში აღნიშნა, „ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ გვაძლევს ოცნების, წარმოსახვისა და ექსპერიმენტირების საშუალებას იმაზე, თუ როგორ შევქმნათ მდგრადი და ინკლუზიური მომავალი, საერთო ევროპულ ღირებულებებზე დაყრდნობით.

წლევანდელი თემა ასევე ემთხვევა ერასმუს+ პროგრამის პრიორიტეტებს, რომელთა მიზანია უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა, ინკლუზიურობა და მრავალფეროვნება ყველა აქტივობაში. თემა ასევე ეხმიანება კოვიდ-19 პანდემიის გამოწვევებს, როგორიცაა ევროპის ციფრული ტრანსფორმაციის საჭიროება. პედაგოგებს და მოსწავლეებს ესაჭიროებათ ციფრული უნარების განვითარება, რათა შეძლონ ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენება.

როგორც სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, ითვინინგი აერთიანებს ციფრულ და არაციფრულ პრაქტიკას, სხვადასხვა სასწავლო სივრცისა და აქტიური სასწავლო მიდგომების დანერგვით. მასწავლებლები და მოსწავლეები გადიან „სკოლის მიღმა“ და ივითარებენ კომპეტენციებს სხვადასხვა პედაგოგიური მეთოდების მეშვეობით, როგორებიცაა კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და შებრუნებული საკლასო ოთახი. სასწავლო გარემოსა და მიდგომების მრავალფეროვნება შეესაბამება ევროპული საბჭოს რეკომენდაციას შერეული სწავლების შესახებ — „შერეული სწავლება“ არის სასწავლო პროცესი, რომლის დროსაც გამოიყენება ერთზე მეტი პედაგოგიური მიდგომა და რომელიც გულისხმობს სწავლებას საკლასო ოთახში და გარე სივრცეში — მაგალითად, ორგანიზაციებში, სასწავლო ცენტრებში, დისტანციურ სწავლებას ღია სივრცეებში ან კულტურულ ადგილებში – და სხვადასხვა ციფრულ და არაციფრულ სასწავლო ინსტრუმენტებს. როგორც ითვინერებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, შერეული სწავლება გვთავაზობს ყველაფერს, რაც მოსწავლეებს სჭირდებათ, მოქნილი, მრავალმხრივი და ინკლუზიური სასწავლო გამოცდილების მისაღებად. ამ პუბლიკაციაში აღწერილი პროექტები წარმოადგენს საუკეთესო მაგალითებს იმისა, თუ როგორ შეიძლება წარმატებით გაერთიანდეს სასკოლო გარემო, ციფრული გარემო და გარე და საზოგადოებრივი სივრცეები.

პროგრამა „ერასმუს+“ ხელს უწყობს სოციალური და ინტერკულტურული კომპეტენციების, კრიტიკული აზროვნებისა და მედიაწიგნიერების განვითარებას, რაც მკაფიოდ დადასტურდა წინამდებარე წიგნში წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითებით, ვინაიდან სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებმა შეისწავლეს სხვადასხვა თემები, მონაწილეობა მიიღეს ჯგუფურ მუშაობაში და ეფექტურად ითანამშრომლეს სხვა ქვეყნების მოსწავლეებთან. სკოლამდელი ასაკის მოსწავლეებმა შექმნეს ჰაბიტატი ფუტკრებისათვის

სკოლის ეზოში და სკოლების კედლები მოხატეს ლამაზ ფერებში. დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა მოაწყვეს მჯდომარე აქცია და მარში პლანეტის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლების და ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის მიზნით, ხოლო საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეიტყვეს „ქრაუდფანდინგის“ შესახებ, შეაგროვეს თანხა, რომელიც საჩუქრად გადასცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

„ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ ასევე აღიარებს ბუნებასთან დაბრუნების აუცილებლობას — რაც ნათლად აისახა ითვინინგის პროექტებში „მისია #ბუნების მკვლევრები,“ და „ევროპული ხელოვნება 2.0.“ პროექტების, „მისია #ბუნების მკვლევრები“ და ფარგლებში მასწავლებლებმა გაკვეთილები სკოლის სათამაშო მოედნებზე ჩაატარეს, ხოლო „ევროპული ხელოვნება 2.0.“ პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეებმა ვირტუალური სამუზეუმო გამოფენები დაათვალიერეს. ითვინინგში მოსწავლეების დიდი დაინტერესება გამოიწვია ისეთმა თემებმა, როგორიცაა ჭკვიანი ქალაქები და მდგრადი განვითარება, რომლებიც უკავშირდება ცნებას „15-წუთიანი ქალაქი“, სადაც მოქალაქეებს წვდომა აქვთ სასიცოცხლო სერვისებსა და ობიექტებზე თავიანთ საცხოვრებელ სახლებთან ახლოს, როგორც ეს აღწერილია „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ ინიციატივაში.

მოცემული წიგნი ნათლად გვიჩვენებს, რომ არსებობენ სკოლები, მასწავლებლები და პროექტები, რომლებიც უმზადებენ მყარ ფუნდამენტს ახალგაზრდებს, რათა მათ ააშენონ ლამაზი, მდგრადი და ინკლუზიური მომავალი. მოსწავლეები ოცნებობენ ცისარტყელას ფერებში შეღებილ ეკოლოგიურად სუფთა სკოლებზე, სოკოს ფორმის სახურავებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებით. ისინი ასევე ოცნებობენ სკოლაზე, რომელშიც სხვადასხვა კულტურის ადამიანები ისწავლიან, სადაც ყველა ბედნიერი იქნება და სადაც მოსწავლეებს ექნებათ სივრცე აქტუალური საკითხების განსახილველად, ერთმანეთის გასაცნობად და ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად. როდესაც ჰკითხეს საოცნებო სკოლის შესახებ, ექვსივე პროექტში მონაწილე მოსწავლეების უმეტესობამ აღნიშნა ის პრინციპები და ღირებულებები, თუმცა არა მხოლოდ, რომლებიც „ახალი ევროპული ბაუჰაუსის“ მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენს. ის თუ რა გზებით მოხდება ამ ყველაფრის ფიზიკური სივრცის განახლების სახელმძღვანელოდ გადაქცევა, ჯერ კიდევ კვლევის საგნად რჩება. „ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ იძლევა ფიზიკური სივრცის რემოდელირების და მომავალზე ფიქრის შესაძლებლობას, ხოლო ითვინინგი სთავაზობს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სივრცეს, სადაც მათ შეუძლიათ გაერთიანდნენ, შეიმუშავონ სამოქმედო გეგმა თავიანთი ოცნებების რეალიზებისათვის.

ბიბლიოგრაფია

ევროკავშირის საბჭო (2021), საბჭოს 2021 წლის 29 ნოემბრის რეკომენდაცია შერეული სწავლების შესახებ, ხარისხიანი და ინკლუზიური დაწყებითი და საშუალო განათლების უზრუნველსაყოფად, OJC 504, 14.12.2021, გვ. 21 (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX %3A32021H1214 %2801 %29).

ევროკომისია (2022), წინადადება ევროსაბჭოს რეკომენდაციაზე გარემოსდაცვითი მდგრადობის სწავლების შესახებ COM(2022) 11 საბოლოო (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX %3A52022DC0011&qid=1647944342099).

ევროკომისია (თარიღი უცნობია), „ევროპული მწვანე შეთანხმება: ვეცადოთ გავხდეთ პირველი კლიმატნეიტრალური კონტინენტი“ (https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en).

ევროკომისია (თარიღი უცნობია), „პროგრამა ერასმუს+ პრიორიტეტები“ (https://erasmus-plus.ec.europa.eu/programme-guide/part-a/priorities-of-the-erasmus-programme).

!ქვემოთ მოცემულია ითვინინგის პროექტებში ჩართული ყველა პარტნიორი მასწავლებლის სახელი და გვარი..

მისია #ბუნების მკვლევრები

კლაუდია მურელი (დამფუძნებელი), დანტე ალიგიერის სახ. საჯარო სკოლა, ოპერა, მილანი, იტალია

კრისტინა ბერნანე (დამფუძნებელი), პრიკულის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება „მეჟმალინა“, ცესის მუნიციპალიტეტი, ლატვია

ანა მონოპოლი, დანტე ალიგიერის სახ. საჯარო სკოლა, ოპერა, მილანი, იტალია

ანტონელა მილანა, ლეონარდო და ვინჩის სახ. საჯარო სკოლა, ისპიკა, რაგუზა, იტალია

ანტონინა კალვო, ლეონარდო და ვინჩის სახ. საჯარო სკოლა, ისპიკა, რაგუზა, იტალია

კატერინა ჩატჯოული, 14-ე გახანგრძლივებული დაწყებითი სკოლა, ვოლოსი, საბერძნეთი

ლინა პასტუხოვა, პრიკულის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება „მეჟმალინა“, ცესის მუნიციპალიტეტი, ლატვია

ლორედანა ბრანკა, ლეონარდო და ვინჩის სახ. საჯარო სკოლა, ისპიკა, რაგუზა, იტალია

ლუსია მარია ბარბარა, დანტე ალიგიერის სახ. საჯარო სკოლა, ოპერა, მილანი, იტალია

მალვინა გრამენი, 14-ე გახანგრძლივებული დაწყებითი სკოლა, ვოლოსი, საბერძნეთი

მანუელა რასტელი, პესკარას საჯარო სკოლა №8 , პესკარა, პესკარა, იტალია

მანუელა სარტა, ლეონარდო და ვინჩის სახ. საჯარო სკოლა, ისპიკა, რაგუზა, იტალია

ნატალინა კალდინი, ლეონარდო და ვინჩის სახ. საჯარო სკოლა, ისპიკა, რაგუზა, იტალია

როზამარია მონაკა, ლეონარდო და ვინჩის სახ. საჯარო სკოლა, ისპიკა, რაგუზა, იტალია

სილვია გისონდა, დანტე ალიგიერის სახ. საჯარო სკოლა, ოპერა, მილანი, იტალია

შტეინუნ სიგურგეისდოთირი, ალფაჰეიდის საბავშვო ბაღი, კოპავოგური, ისლანდია

ვალერია ჯაკომელი, დანტე ალიგიერის სახ. საჯარო სკოლა, ოპერა, მილანი, იტალია

ვასილიკი ზიაგკა, სკიათოსის 1-ლი დაწყებითი სკოლა, სკიათოსი, საბერძნეთი

დედამიწა არ არის ტაფა! (ESBF)

ანჯელიკი კუგიურუკი (დამფუძნებელი), 1-ლი ექსპერიმენტული დაწყებითი სკოლა, ალექსანდროპოლი, საბერძნეთი

მარინა სკრეპანტი (დამფუძნებელი), კიეთის 3 საჯარო სკოლა, კიეთი, კიეთი, იტალია

დანიელ აჩეტო, კიეთის 3 საჯარო სკოლა, კიეთი, კიეთი,

რაფაელა დამიკოდატრი, კიეთის 3 საჯარო სკოლა, კიეთი, კიეთი,

ჯადოსნობით შთაგონებული სასწავლო გამოცდილება (SMILE)

ლილიანა ნედერიტა (დამფუძნებელი), ლიმბის თანამედროვე ენებისა და მართვის სკოლა, კიშინიოვი, მოლდოვა

სანდრა სტეინბოკი (დამფუძნებელი), ბუნდესგიმნაზია და ინის ბრაუნაუს ბუნდესგიმნაზია, ინის ბრაუნაუ, ავსტრია

ანტონიო ბონაჩერა, წმინდა მაესტროს სახ. კოლეჯი, გრანადა, ესპანეთი

ქეროლ ფინი, მიდლტონის ქრისტიანი ძმების სახ. სკოლა, მიდლტონი, ირლანდია

დანიელა სკარლი, ხელოვნების უმაღლესი სკოლა "შტეფან ლუჩიანი", ბოტოშანი, რუმინეთი

ფატმა ბარლასი, ემინე ემირშაჰბაზ ბილიმი და სანატ მარკეზი, ოდუნპაზარი, თურქეთი

მანუელ კადეტი, დომინგუშ სეკეირას სკოლების ჯგუფი, ლეირია, ლეირია, პორტუგალია

მარია ლუკა, თანამედროვე ენებისა და მენეჯმენტის უმაღლესი სკოლა, კიშინიოვი, მოლდოვა

მელანი დათენდორფერი, ბუნდესგიმნაზია და ინის ბრაუნაუს ბუნდესგიმნაზია, ინის ბრაუნაუ, ავსტრია

მიროსლავა ბოროვცოვა, ვისოკო მიტოს საშუალო სკოლა, ვისოკო მიტო, ჩეხეთი

მონიკა ხანი, ვისოკა გლოგოვსკას სკოლების კომპლექსი, ვისოკა გლოგოვსკა, პოლონეთი

ევროპული ხელოვნება 2.0

ანდრეა ულრიხი (დამფუძნებელი), გეორგინუმის გიმნაზია, ჰილდბურგჰაუზენი, გერმანია

ანდრეას გალანოსი (დამფუძნებელი), ადენდროუს გიმნაზია (ყოფილი მე-2 ქსალკიდონას გიმნაზია), ქსალკიდონა სალონიკი, საბერძნეთი

ანდრეა როსტი, გეორგინუმის გიმნაზია, ჰილდბურგჰაუზენი, გერმანია

ანეტ ბოკი, გეორგინუმის გიმნაზია, ჰილდბურგჰაუზენი, გერმანია

არიანა ბლაჟიჩი, ზაგრების IX გიმნაზია, ზაგრები, ხორვატია

ედიტა ბიენიეკი, კროსნიცას ჯოზეფა ფონ ეიხენდორფას სახ. სკოლა, კროსნიცა, პოლონეთი

ნადინ შმიდტი, გეორგინუმის გიმნაზია, ჰილდბურგჰაუზენი, გერმანია

იყავი ჭკვიანი – მიიღე მონაწილეობა!

სიმონე ვან ბელკომ-პოპელაარსი (დამფუძნებელი), მეფე ვილემ I-ის სახ. კოლეჯი, დენ ბოში, ნიდერლანდები

ულრიკე კალი (დამფუძნებელი), ფრეიერ ვომ შტეინის პროფესიული კოლეჯი, მინდენი, გერმანია

აიდა ლოპესი, ლა-გინეუეტას ინსტიტუტი, ბარსელონა, ესპანეთი

ამანდა ვან დეიკი, კაროლუს კლუზიუსის სახელობის კოლეჯი, ზვოლე, ნიდერლანდები

ლინა მარია პერეირა, დონა მარიას მეორის სახ. სკოლების ჯგუფი, სინტრა, კაჩემი, პორტუგალია

მარიონ ვან კემპენი, მეფე ვილემის I-ის სახ. კოლეჯი, დენ ბოში, ნიდერლანდები

მარლენ სერასი, დონა მარიას მეორის სკოლების ჯგუფი, სინტრა, კაჩემი, პორტუგალია

მარზენა მიაზეკ-ბანაჩი, ლუკოვის იოანე პავლე II-ის სახ. მე-4 საშუალო სკოლა, ლუკოვი, პოლონეთი

მერსე როდრიგესი, ფრეიერ ვომ შტეინის პროფესიული სასწავლებელი, მინდენი, გერმანია

სანდრა ლობო, დონა მარია მეორის სახ. სკოლების ჯგუფი, სინტრა, კაჩემი, პორტუგალია

ვერენა ვაისი, ფრეიერ ვომ შტეინის პროფესიული სასწავლებელი, მინდენი, გერმანია

ფუტურტოპია

კლოდინ კოატანეა (დამფუძნებელი), მიშლეს საშუალო სკოლა, ვავი, საფრანგეთი

პატრიცია რომა (დამფუძნებელი), ალესანდრო ვოლტას სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ინსტიტუტი, პერუჯა, პერუჯა, იტალია

ევა გაჯეკი, კარპაჩის ქვედა სილეზიის სკოლების კომპლექსი, კარპაჩი, კარპაჩი, პოლონეთი

იურგიტა შტეინბუხი, ბერგენ ოპზუმის საშუალო სკოლა, ბერგენ ოპზუმი, ნიდერლანდები

ლუსინა ნოკონ-კობიორი, პშჩინას სასკოლო კომპლექსი N1, პშჩინა, პოლონეთი

თეოდორა გკენიუ, პენტაპოლის სერესის საჯარო სკოლა, სერესი, საბერძნეთი

კონტაქტი ევროკავშირთან

პერსონალურად

ევროკავშირის მასშტაბით არსებობს მრავალი „Europe Direct საინფორმაციო ცენტრი“. უახლოესი ცენტრის მისამართი შეგიძლიათ მოიძიოთ ვებგვერდზე (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

ტელეფონით ან წერილობით

სერვისი „ევროპა დირექტი“ უპასუხებს თქვენს ნებისმიერ შეკითხვას ევროკავშირის შესახებ. სერვისთან დაკავშირება შესაძლებელია:

— ტელეფონის ნომერზე: 00 800 6 7 8 9 10 11 (ზოგიერთი სატელეფონო ოპერატორის შემთხვევაში, ზარი ფასიანია),

— სტანდარტულ ნომერზე: +32 22999696,

— ამ ბლანკის საშუალებით: european-union.europa.eu/contact-eu/write-us_en.

მოიძიეთ ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ

ონლაინ რეჟიმში

ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე ხელმისაწვდომია ევროპის ვებგვერდზე (europa.eu).

ევროკავშირის პუბლიკაციები

გაეცანით ან შეუკვეთეთ ევროკავშირის პუბლიკაციები შემდეგ ელექტრონულ მისამართზე op.europa.eu/en/publications. უფასო პუბლიკაციების ასლების მისაღებად დაუკავშირდით Europe Direct-ს ან ადგილობრივ ოფიციალურ ცენტრს (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

ევროკავშირის კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები

ევროკავშირის იურიდიული მასალის, მათ შორის, ევროკავშირის კანონების გასაცნობად, რომელიც ხელმისაწვდომია 1951 წლიდან ყველა ოფიციალურ ენაზე, ეწვიეთ EUR-Lex (eur-lex.europa.eu).

ღია მონაცემები ევროკავშირის შესახებ

ვებგვერდი data.europa.eu უზრუნველყოფს წვდომას ევროკავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სააგენტოების ღია მონაცემებთან. მასალების ჩამოტვირთვა და გამოყენება შესაძლებელია უსასყიდლოდ, როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული მიზნებისათვის. ვებგვერდი

EC-07-22-150-KA-N

დაგვიკავშირდით

ითვინინგის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს:
www.etwinning.net

ითვინინგის შესახებ შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელექტრონულ ფოსტაზე:
eacea-eplus-etwinning@ec.europa.eu

„ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმა," რომელიც 2022 წელს ამოქმედდა, წარმოადგენს სკოლის პერსონალის (მათ შორის, ადრეული განათლებისა და ზრუნვის, დაწყებითი და საშუალო განათლების, საწყისი პროფესიული განათლებისა და გადამზადების საფეხური) და ასევე სასკოლო განათლების მიმართულებით მომუშავე მკვლევრების, პოლიტიკოსებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შეხვედრის ადგილს.

„ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმა" არის ერთიანი სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია ითვინინგის მანამდე არსებული პლატფორმები და სერვისები, „სასკოლო განათლების ჰაბი" და „მასწავლებლის აკადემია". 2022 წელს, ითვინინგის საზოგადოება „ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმაზე" შეიკრიბა. სივრცე ხელმისაწვდომია მხოლოდ ეროვნული მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერ დარეგისტრირებული სასკოლო პერსონალისათვის. 2005 წელს დაარსების დღიდან, ითვინინგი საბაზისო ინიციატივიდან იქცა აქტიურ სასკოლო საზოგადოებად და ამჟამად ითვლის 1 053 000-ზე მეტ სკოლის თანამშრომელს, რომლებიც მუშაობენ 233 000-ზე მეტ სკოლაში, 40-ზე მეტ ქვეყანაში. ითვინინგი უზრუნველყოფს უსაფრთხო ციფრულ გარემოს, სადაც მასწავლებლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობაში: ერთობლივი ევროპული პროექტების შემუშავება და განხორციელება, კავშირების დამყარება, ასევე ვირტუალურ ჯგუფებში მონაწილეობა, პროფესიული განვითარება და გამოცდილების გაზიარება. ოცდაათზე მეტ ენაზე ხელმისაწვდომი პლატფორმის მეშვეობით, ითვინინგი მასწავლებლებს აწვდის უამრავ რესურსს და სასწავლო შესაძლებლობას. აღნიშნული რესურსების თემებია: ითვინინგთან თანამშრომლობის სიკეთეები, 21-ე საუკუნის უნარები, ისტ-ის გამოყენება სწავლების პროცესში, ასევე წარმოდგენილია პროექტების სამუშაო კომპლექტები შთაგონებისა და რჩევების მისაღებად. დარეგისტრირებულ მასწავლებლებს შეუძლიათ დაუბრკოლებლად შესვლა პლატფორმის შეზღუდულ სივრცეში, სახელწოდებით, „ითვინინგის სივრცე".

„ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმა" და ითვინინგის საზოგადოება ფინანსდება განათლების, ტრენინგების, სპორტისა და ახალგაზრდობის ევროპული პროგრამის, „ერასმუს+"-ის მიერ, რომელიც წარმოადგენს ევროკომისიის განათლების, ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის გენერალური დირექტორატის ინიციატივას. პლატფორმის მართვას ახორციელებს „ევროპული სქულნეტი" (უზრუნველყოფს კოორდინაციას, კონტენტს და სერვისებს) და Tremend Software Consulting SRL (უზრუნველყოფს ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამართულობას). ორივე დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსთან (EACEA). გარდა ამისა, ითვინინგი ფუნქციონირებს „ეროვნული მხარდამჭერი ორგანიზაციების" დახმარების წყალობით, რომლებიც ფინანსდება „ერასმუს+"-ის მიერ, ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსა და მხარდამჭერ პარტნიორებთან გაფორმებული საგრანტო შეთანხმების საფუძველზე.

Publications Office
of the European Union

ISBN 978-92-9484-861-1
doi: 10.2797/412885